

დ. კაკაბაძე

**მეცნიერულ-ტექნიკური
პროგრესი და მისი
იდეოლოგიური
უზრუნველყოფა**

კითხვები და პასუხები



გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი — 1988

ცნობარი ოთხი თავისაგან შედგება. პირველ სამ თავში კითხვა-პასუხების სახით გაშუქებულია ისეთი აქტუალური საკითხები, როგორცაა: მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების პირობებში; მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მართვა; მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაგეგმვა და სტიმულირება. მეოთხე თავი კი ეძღვნება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების იდეოლოგიური უზრუნველყოფის საკითხებს.

ცნობარი დახმარებას გაუწევს პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო ხელმძღვანელებს, იდეოლოგიურ და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს, ამ საკითხით დაინტერესებულ მკითხველებს.

რეცენზენტები: ეკონომიკურ მეცნიერებათა
კანდიდატები — თ. ჩიკვაძე და
გ. მაღაშხია

რედაქტორი: ეკონომიკურ მეცნიერებათა
კანდიდატი ნ. არევაძე

0605010000—159

ჩ. ————— 21—1983.

M 601 (08)—88

ISBN 5-529-00191-2.

© გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“ 1984

წინასიტყვაობა

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება, მისი შედეგების სწრაფი დანერგვა ჩვენი ღრევიანდელი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. ამიტომაც იყო, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმმა, სკკპ XXVII ყრილობამ კარდინალური ამოცანები დასახეს მეცნიერებისა და ტექნიკის როლის გადაჭრით ამაღლებისათვის საწარმოო ძალების თვისებრივ გარდაქმნაში, ეკონომიკის გადაყვანისათვის ყოველმხრივი ინტენსიფიკაციის რელსებზე. ღროის მოთხოვნაა მეცნიერებასთან, ტექნიკასთან და წარმოებასთან შემაერთებელი ყველა რგოლის განმტკიცება, იმის მიღწევა, რომ სწრაფად გავუკეთოთ რეალიზაცია ყოველივე პროგრესულსა და მოწინავეს, მთელი ყურადღება გადავიტანოთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მთავარ მიმართულებებზე — ენერგეტიკის, ატომური ენერგეტიკის, კომპლექსური ავტომატიზაციის, წარმოების განახლებისა და რეკონსტრუქციის, არსებული ტექნოლოგიების ახალი მასალების დამუშავებაზე და სხვ.

პარტიის მიერ შემუშავებული მეცნიერულ-ტექნიკური პოლიტიკის გარდაქმნის იდეა რომ ყოველდღიურად ვითარდებოდეს და ღრმავდებოდეს, აქტიურად უწყობდეს ხელს ჩვენი სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების წარმატებით გადაწყვეტას, ქვეყნის გაყვანას მსოფლიო მოწინავე პოზიციებზე, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ადამიანს, მის ცოდნას, გამოცდილებასა და უნარს თავისი წვლილი შეიტანოს ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიების შექმნასა და ათვისებაში.

ღრევიანდელი ცხოვრება, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების ინტერესები მოითხოვენ არა მარტო ადამიანთა პროფესიულ დაოსტატებას, არამედ იდეურ გამოწრთობასაც, პოლიტიკური კულტურის ამაღლებასაც, იმიტომ, რომ ასეთი ადამიანები არიან სწორედ მზად ფეხდაფეხ მიჰყვნიენ გარდაქმნის კურსს, იაზ-

როვნონ შემოქმედებითად, ჰქონდეთ ახლის გრძნობა, გაუკეთებელი და შეუსრულებელი არაფერი დატოვონ. ამისათვის კი საჭიროა თითოეულ ადამიანს ჩამოვუყალიბოთ მეცნიერული მსოფლმხედველობა, კომუნისტური ზნეობა, რაშიც უდიდესია ყოველდღიური იდეოლოგიური, მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის როლი და მნიშვნელობა.

ამ მიზნებს — ერთი მხრივ, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის აქტუალური საკითხების ცოდნასა და დაუფლებას, ხოლო, მეორე მხრივ, ამ საკითხების იდეოლოგიურ უზრუნველყოფას ემსახურება სწორედ წინამდებარე ნაშრომი, რომელშიც უამრავი საკითხებიდან შევარჩიეთ და პასუხი გავეცით სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმის, სკკპ XXVII ყრილობისა და XIX საკავშირო პარტკონფერენციის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე კითხვებს, რომლებიც, ვფიქრობთ, დაეხმარება დაინტერესებულ მკითხველს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, მისი იდეოლოგიური უზრუნველყოფის საკითხებში გარკვევასა და გადაწყვეტაში.

**მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი ჰვეანის სოციალურ-
ეკონომიკური განვითარების დაჩქარების პირობებში**

1. როგორ უნდა გვესმოდეს ცნებები: „მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი“ და „მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია?“

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი (შემდეგში მტპ) არის მეცნიერებისა და ტექნიკის ერთიანი, ურთიერთგანპირობებული, აღმაველი განვითარება. მისი სათავე იწყება მანუფაქტურულ წარმოებაში XVI-XVIII საუკუნეებში, როცა მეცნიერულ-თეორიული და ტექნიკური საქმიანობა იწყებს დაახლოებას.

XVII საუკუნის ბოლოს მანქანური წარმოების წარმოშობა მომზადებული იყო მათემატიკოსების, მექანიკოსების, ფიზიკოსებისა და გამომგონებლების დიდი არმიის მეცნიერული შემოქმედებითი შედეგებით. თავის მხრივ, მანქანურმა წარმოებამ გადაგვიშალა ახალი, პრაქტიკულად განუსაზღვრელი შესაძლებლობები მეცნიერების ტექნოლოგიური გამოყენებისათვის. მისი პროგრესი უმთავრესად განისაზღვრება მეცნიერების პროგრესით. ყოველივე ეს ნიშნავს მტპ-ის ახალ, მეორე ეტაპზე გადასვლას, რაც ხასიათდება იმით, რომ მეცნიერება და ტექნიკა ერთად ასტიმულირებენ ერთმანეთის განვითარებას დაჩქარებული ტემპებით.

მტპ-ის მესამე ეტაპი დაკავშირებულია თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკურ რევოლუციასთან (შემდეგში მტრ). მისი ზემოქმედებით ფართოვდება მეცნიერული დისციპლინების ფრონტი, რომლებიც ორიენტაციას აძლევენ ტექნიკის განვითარებას.

სულ უფრო აშკარა ხდება მეცნიერების წამყვანი როლი ტექნიკის მიმართ. ახალი მეცნიერული მიმართულებებისა და აღმოჩენების შედეგად წარმოიშვა წარმოების მთელი რიგი დარგები: რადიოტექნიკის, ატომური ენერგეტიკის, სინთეტიკური მასალების ქიმიის, ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანების და სხვ. მეცნიერება იქცა ძალად, რომელიც განუწყვეტლივ არევოლუციონერებს ტექნიკას, თავის მხრივ, ტექნიკაც ნიადაგ ასტიმულირებს მეცნიერების პროგრესს.

თანამედროვე მტპ-ის ნიშანია ის, რომ იგი მოიცავს არა მარტო მრეწველობას, არამედ საზოგადოების საქმიანობის ბევრ სხვა მხარესაც: სოფლის მეურნეობას, ტრანსპორტს, მშენებლობას, კავშირგაბმულობას, საყოფაცხოვრებო მომსახურებას, ვაჭრობასა და სხვ. მეცნიერული და ტექნიკური მიღწევების ერთიანობის ნათელი განსახიერებაა ადამიანის მიერ კოსმოსური სივრცის დაპყრობა. მტპ წარმოადგენს სოციალური პროგრესის საფუძველს.

ყოველივე ამის გამოა, რომ მტპ-ს პარტია განიხილავს როგორც თავისი ეკონომიკური სტრატეგიის მთავარ მიმართულებას, სახალხო მეურნეობის ინტენსიფიკაციის ძირითად ბერკეტს.

მტპ, რომელსაც ასეთ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ, მრავალმხრივი პროცესია. იგი მოიცავს მეცნიერებასა და ტექნიკას, მათი მიღწევების წარმოებაში დანერგვას, კადრების მომზადებას, ხელს უწყობს საწარმოო ძალების სწრაფად განვითარებას, წარმოებითი ურთიერთობების სრულყოფას. ტექნიკური პროგრესი საშუალებას იძლევა უკეთ გამოვიყენოთ საზოგადოებრივი შრომა, მატერიალური და ფინანსური რესურსები, ბუნებრივი სიმდიდრე. მტპ-ის ტემპებზე დიდადაა დამოკიდებული მატერიალური წარმოების დონე და მისი სტრუქტურის სრულყოფის მიმართულება, საწარმოო სიმძლავრეთა წარმადობის გამოყენების ეფექტიანობის მნიშვნელოვანი ამალგა. ჩვენს ქვეყანაში შექმნილი უდიდესი ეკონომიკური პოტენციალი, მრავალდარგოვანი ინდუსტრია, კვალიფიციური კადრები გადაქცეულია მტპ-ის დაჩქარების მატერიალურ საფუძველად.

მტპ-ის ზემოქმედებით ხდება წარმოების ტექნიკური ბაზის გარდაქმნა, დაწყებული ახალი სახეობის ნედლეულის, მასალების, ენერჯის, მანქანების ახალი სისტემიდან და დამთავრებული წარმოების ორგანიზაციისა და მართვის ფორმების სრულყოფით. რაც უფრო ვითარდება მეცნიერება, მით უფრო მეტ გავლენას ახდენს იგი მატერიალური სიკეთის წარმოების გადიდებაზე. ეს ერთი ჯაჭვის ორი რგოლია. მეცნიერება ტექნიკის წინაშე გადაგვიშლის ახალ შესაძლებლობებს და ქმნის რაც შეიძლება მეტი საზოგადოებრივი ეფექტის მიღების პოტენციურ წყაროს ნაკლები დანახარჯებით.

ჩვენში მკვიდრად მოიკიდა ფეხი გამოთქმამ „მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება“. რას ნიშნავს ეს? ეს არის მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების კანონზომიერება. ეს არის მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების სტრატეგია სოციალიზმის

განვითარების თანამედროვე ეტაპზე. მტპ-ის დაჩქარებას აქვს ორი მხარე — ფუნდამენტური მეცნიერების განვითარების დაჩქარება და მეცნიერული იდეების მოძრაობის დაჩქარება ციკლში „მეცნიერება—ტექნიკა — წარმოება“, ე. ი. მეცნიერული და ტექნიკური იდეების დანერგვა პრაქტიკაში. მეცნიერული იდეების მოძრაობის დაჩქარება თეორიიდან პრაქტიკისაკენ დაკავშირებულია მეცნიერების უშუალო საწარმოო ძალად გადაქცევის პროცესთან და პირდაპირი კავშირების წარმოქმნასთან, რომლებიც აყალიბებენ სისტემას „მეცნიერება — ტექნიკა—წარმოება“. მტპ-ის დაჩქარების მაგისტრალური მიმართულებაა მისი ინტენსიფიკაცია, მეცნიერებისა და ტექნიკის გადაყვანა განვითარების ინტენსიურ გზაზე. ინტენსიფიკაციის მიზანია სოციალური ხარჯების ერთეულზე საზოგადოებისათვის საჭირო ცოდნისა და ტექნიკური გადაწყვეტების მეტი მოცულობით მიღება, მეცნიერების ეფექტიანობის ამაღლება მისი პოტენციალის უფრო რაციონალურად გამოყენების ხარჯზე და აქცენტის გადატანა მისი რაოდენობრივი ზრდიდან მისი ხარისხის სრულყოფაზე (მეცნიერული კადრების, მოწყობილობის ხარისხი, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და საინჟინრო-საკონსტრუქტორო საქმიანობის შედეგები). მტპ-ის ინტენსიფიკაციის უმნიშვნელოვანესი რეზერვებია მეცნიერების დაგეგმვისა და მართვის სრულყოფა (წვრილთემიანობაზე ხელის აღება და გამოკვლევების პრობლემატიკის გამსხვილება, თემების დაქუცმაცებისა და დუბლირების დაძლევა და სხვ.).

როგორ უნდა გვესმოდეს მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია? ეს არის საწარმოო ძალების ძირეული, თვისებრივი გარდაქმნა მეცნიერების საზოგადოებრივი წარმოების განვითარების წამყვან ფაქტორად გადაქცევის საფუძველზე. მტპ-ის მსვლელობაში, XX საუკუნის შუა პერიოდში რომ დაიწყო, სწრაფად ვითარდება და მთავრდება მეცნიერების უშუალო საწარმოო ძალად გადაქცევის პროცესი. მტპ ცვლის საზოგადოებრივი წარმოების მთელ სახეს, შრომის პირობებს, ხასიათსა და შინაარსს, საწარმოო ძალების სტრუქტურას, შრომის საზოგადოებრივ დანაწილებას, საზოგადოების დარგობრივ და პროფესიულ სტრუქტურას, მიჰყავს იგი შრომის ნაყოფიერების სწრაფი ზრდისაკენ, მტპ-ის მკვეთრი დაჩქარებისაკენ, ზემოქმედებას ახდენს საზოგადოების ცხოვრების ყველა მხარეზე.

უკანასკნელ ათწლეულებში მეცნიერებისა და ტექნიკის გან-

ვითარების მასშტაბები საშუალებას გვაძლევს ვილაპარაკოთ მტრ-ის გაშლის, განვითარების შესახებ. მტრ თანამედროვე პირობებში წარმოადგენს ისტორიული პროცესის კანონზომიერ შედეგს, მეცნიერების, ტექნიკის, მატერიალური წარმოების ძირეული გარდაქმნის ახალ მნიშვნელოვან ეტაპს. სწორედ მტრ-მ შექმნა მეცნიერების, ტექნიკისა და წარმოების ურთიერთშელწევის ერთიანი სისტემის „მეცნიერება—ტექნიკა—წარმოება“—კაცობრიობის მოღვაწეობის ამ მნიშვნელოვანი ფორმის ჩამოყალიბების წანამძღვრები. ასე შეიქმნა მეცნიერებისა და წარმოების ღრმა ინტეგრაციის მყარი საფუძველი, რაც განპირობებულია მტპ-ის პოტენციური შესაძლებლობების სრული რეალიზაციის მოთხოვნებით.

მტრ, უწინარეს ყოვლისა, ხასიათდება იმით, რომ ტექნიკა გადის თავისი განვითარების ახალ ეტაპზე — ავტომატიზაციის ეტაპზე, რომელიც წარმოადგენს მტრ-ის შედეგების საწარმოო გამოყენების გენერალურ მიმართულებას. მტრ-ის მსვლელობაში იცვლება წარმოების ტექნოლოგიური მეთოდებიც. შრომის საგნის დამუშავების მექანიკური ტექნოლოგიის ადგილს იკავებს უფრო ეფექტიანი მეთოდები. ამ დროს იცვლება არა უბრალოდ საგნის ფორმა, არამედ ნივთიერების მოლეკულარული და ატომური სტრუქტურა, მინიჭებული თვისებებით. ხდება მისი გარდაქმნა ახალ ნივთიერებად. აქეთკენ მიმავალი გზა გადის სახალხო მეურნეობის მართვის რადიკალურ რეფორმაზე, მტპ-ის ავანგარდული მიმართულებების ათვისებაზე, როგორც ეს დაგვისახა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმმა.

2. რა როლს ასრულებს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი როგორც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მძლავრი ბერკეტი?

მტპ-ის წარმატებული განვითარება ხელს უწყობს სკკპ XXVII ყრილობის მიერ დასახული უმნიშვნელოვანესი ამოცანის გადაწყვეტას — ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებას. სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებებით გათვალისწინებულია: „უზრუნველვყოთ საკვანძო პოლიტიკური და სამეურნეო ამოცანების გადაწყვეტა — ყოველი ლონისძიებებით დავაჩქაროთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი. მნიშვნელოვნად გავზარდოთ მეცნიერებისა და ტექნიკის როლი საწარ-

მოო ძალების თვისებრივ გარდაქმნაში, ყოველმხრივი ინტენსიფიკაციის რელსებზე ეკონომიკის გადაყვანაში, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებაში. გავაძლიეროთ მეცნიერულ-ტექნიკური განვითარების ორიენტაცია სოციალური ამოცანების გადასაწყვეტად¹.

საქიროა ეს დიდი ამოცანა გადავწყვიტოთ გადაუდებლად და შეუფერხებლად, რისთვისაც უნდა დავეყრდნოთ მტკ-ის თანამედროვე ეტაპის უდიდეს შესაძლებლობებს, აღვგავოთ ამ გზაზე ყველაზე ხელშემშლელი მიზეზი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მტკ დავაჩქაროთ პრიორიტეტული მიმართულებებით, უზრუნველვყოთ ყოველივე მოწინავეს სწრაფი და მასშტაბური ათვისება, საწარმოო ძალების გარდაქმნა, პროდუქციის ხარისხის ძირეული ამაღლება. სწრაფად და მიზანმიმართულად უნდა ვქმნიდეთ მეცნიერულ, საპროექტო და საკონსტრუქტორო ნამუშევრებს, რომლებიც უზრუნველყოფენ პრინციპულად ახალი ტექნიკისა და პროგრესული ტექნოლოგიების შექმნა-ათვისებას, რამდენჯერმე რომ აამაღლებს შრომის ნაყოფიერებას.

ჩვენს ქვეყანაში ისტორიულად მოკლე დროში შეიქმნა მძლავრი მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალი. საბჭოთა მეცნიერება ბუნების კანონზომიერებისა და საზოგადოებრივი განვითარების ბევრი უმნიშვნელოვანესი მიმართულების მიხედვით მოწინავე პოზიციებზე გავიდა.

მეთორმეტე სთოწლედში მტკ-ის მიღწევების საფუძველზე საქიროა თანდათანობით გავაუმჯობესოთ ტექნიკური პროგრესის პარამეტრები და პროდუქციის ხარისხი, მისი განახლება, დავაჩქაროთ წარმოების ხელახალი შეიარაღება, გავზარდოთ პროგრესული ტექნიკის დანერგვის მასშტაბები და საბოლოო ანგარიშში ავამაღლოთ საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის მაჩვენებლები. გარდა ამისა, მტკ-მა სულ უფრო მეტად უნდა შექმნას საფუძველი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სოციალური ამოცანების — ცხოვრების დონის ამაღლების, წარმოების საშუალებების უფრო რაციონალური გამოყენების, ხელის შრომის შემცირებისა და შემდგომში ლიკვიდაციის გადასაწყვეტად.

მეთორმეტე სთოწლედში და 2000 წლამდე პერსპექტიულ პერი-

¹ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობის მასალები. თბილისი, გამომც. „საბჭოთა საქართველო“, 1986, გვ. 432.

ოდში მტბ-ის დაჩქარების, ერთიანი მეცნიერულ-ტექნიკური პოლიტიკის გატარების საფუძველზე უნდა მივალწიოთ უდიდესი სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტას. ეს ამოცანები შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ:

პირველი, გავიყვანოთ სახალხო მეურნეობა მეცნიერების, ტექნიკისა და ტექნოლოგიის მოწინავე მიჯნებზე, უზრუნველვყოთ წარმოების ტექნოლოგიური გარდაქმნა მოწინავე ტექნიკის, რესურსდამზოგავი ტექნოლოგიების, უმაღლესი მეცნიერულ-ტექნიკური მოთხოვნების დონეზე. მეორე, მივალწიოთ საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების კარდინალურ ამაღლებას წარმოების ტექნიკური აღჭურვისა და ორგანიზაციის საფუძველზე, დავამთავროთ გაფართოებული კვლავწარმოების უპირატესად ინტენსიურ ტიპზე გადასვლა. მესამე, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების საფუძველზე უზრუნველვყოთ საბჭოთა ადამიანების ცხოვრების თვისებრივად ახალი დონის მიღწევა და სხვ.

8. რატომ არის წარმოების ინტენსიფიკაცია ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების საფუძველი?

ამ თემასთან დაკავშირებით შეიძლება გამოვყოთ სამი ძირითადი საკითხი:

ეკონომიკის დაჩქარებული განვითარების სტრატეგია;

წარმოების ინტენსიფიკაციის არსი;

ეკონომიკის ინტენსიფიკაციის ძირითადი ფაქტორები.

როგორც სკკპ XXVII ყრილობაზე აღინიშნა, მიუხედავად მიღწევებისა, სოციალიზმის ეკონომიკური სისტემის პოტენციურ შესაძლებლობათა გამოყენების დონე უკვე აღარ აკმაყოფილებს საბჭოთა საზოგადოებას. ამან განაპირობა ენერგიული და გადაძვრებული ღონისძიებების სწრაფად განხორციელება, რათა დაგვეძლია ნეგატიური ტენდენციები, ახალი იმპულსი მიგვეცა სოციალურ-ეკონომიკური პროცესებისათვის. პარტიის XXVII ყრილობამ დასახა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების მასშტაბური ამოცანა, რომლის მიზანია სახალხო მეურნეობის გადაყვანა დაჩქარების ტრეკტორიაზე, მტკიცე საფუძვლის ჩაყრა წარმოების ინტენსიფიკაციისათვის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის კარდინალური დაჩქარების ბაზაზე, პირობების შექმნა ეკონომიკური და სოციალური განვითარების ყველა მიმართულების სწრაფი ტემ-

პით ზრდასათვის. ამიტომაცაა, რომ მეთორმეტე ხუთწლედ ი გადამწყვეტილ როგორც განვითარების ტემპებით, ისე ეფექტიანობითაც.

რა არის წარმოების ინტენსიფიკაციის არსი? ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების პროგრამის შესრულებაში განსაკუთრებული როლი უნდა შეასრულოს ეკონომიკის გადაყვანამ ინტენსიური განვითარების ბაზაზე, ქვეყნის საწარმოო პოტენციალის სრულმა გამოყენებამ. ეკონომიკის ინტენსიფიკაცია, მისი ეფექტიანობის გადიდება პრაქტიკულად იმას ნიშნავს, რომ წარმოების შედეგები უფრო მეტად იზრდებოდეს, ვიდრე მისი დანახარჯები. ამასთან წარმოების მოცულობა უნდა მატულობდეს ბუნებრივი, მატერიალური და შრომითი რესურსების უკეთ გამოყენების გზით.

მეთორმეტე ხუთწლედში წარმოების ინტენსიური განვითარების დიდ მნიშვნელობაზე მიგვანიშნებს ის, რომ შრომის ნაყოფიერების ზრდის ხარჯზე უნდა მივიღოთ ეროვნული შემოსავლის ნაშაბის 90%, სამრეწველო პროდუქციის, სატრანსპორტო გადაზიდვებისა და მთელი სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების ნაშაბი. შრომის ნაყოფიერება სახალხო მეურნეობაში 20—23%-ით, ხოლო კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანობა 16%-ით გაიზრდება და სხვ.

რა ძირითადი ფაქტორები განაპირობებს ეკონომიკის ინტენსიფიკაციას? წარმოების ინტენსიფიკაციას, რომელიც გამოხატულებას პოულობს ისეთ მაჩვენებლებში, როგორცაა შრომის ნაყოფიერების ზრდა, ფონდუკუბების ამალგება, პროდუქციის მასალატევალობის შემცირება, ხარისხის გაუმჯობესება, მეთორმეტე ხუთწლედში განაპირობებს მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა ფართოდ გამოყენება. პროგრესული ძვრების განხორციელება წარმოების სტრუქტურასა და ორგანიზაციაში, ეკონომიკის მართვის გაუმჯობესება, შრომის, ტექნოლოგიური და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცება, საწარმოო აპარატის განახლება და სხვ. წარმოების ინტენსიფიკაციის პროგრამის რეალიზაციაში განსაკუთრებულ როლს ასრულებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებები, რომელმაც ეკონომიკის მართვის კარდინალური გარდაქმნის კურსი შეიმუშავა.

4. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი როგორ ასრულებს წარმოების ინტენსიფიკაციის მთავარი ფაქტორის როლს?

როგორც ცნობილია, ინტენსიფიკაციის არსი ის არის, რომ და-

აკმაყოფილოს საზოგადოების ნიადაგ მზარდი მოთხოვნილებები რესურსების, ცოცხალი და განივთებული შრომის უფრო ეფექტიანი გამოყენების ხარჯზე. ამის მიღწევა კი შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სისტემატურად და ფართო მასშტაბით გამოვიყენებთ წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებს. კ. მარქსი წარმოების უფრო ეფექტიანი საშუალებების გამოყენებაში ხედავდა ინტენსიური გაფართოებული კვლავწარმოების განსხვავებულ თვისებას. ამიტომ არის სწორედ მტპ-ის დაჩქარება წარმოების ინტენსიფიკაციის, ეკონომიკური და სოციალური განვითარების მნიშვნელოვანი ამალების გადამწყვეტი ფაქტორი. „პარტია სახალხო მეურნეობის ინტენსიფიკაციის მთავარ ბერკეტად აყენებს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის კარდინალურ დაჩქარებას, ახალ თაობათა ტექნიკის, პრინციპულად ახალი ტექნოლოგიების ფართოდ დანერგვას, რომლებიც უზრუნველყოფენ უდიდეს მწარმოებლობასა და ეფექტიანობას“¹.

მეცნიერებისა და ტექნიკის დაჩქარების დიდი მნიშვნელობა აიხსნება შემდეგი მიზეზებით:

პ ი რ ვ ე ლ ი, ახალი, მაღალეფექტიანი ტექნიკის, რესურსებდამზოგავი ტექნოლოგიის ბაზაზე შეიძლება მივალწიოთ ეროვნული შემოსავლისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპების დაჩქარებას. სკკპ XXVII ყრილობის მიერ დაყენებული ამოცანა — ავამალლოთ საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერება სამ ხუთწლედში 2,3—2,5-ჯერ — შეიძლება გადავწყვიტოთ მხოლოდ ტექნიკის ახალი თაობების ათვისებისა და ფართოდ გავრცელების ბაზაზე. ასეთი ტექნიკა ჭერჭერობით ინერგება დუნედ და არასაკმარისი მასშტაბებით.

მ ე ო რ ე, მტპ-ის დაჩქარება, საწარმოო პროცესების კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზაცია საშუალებას იძლევა თვისებრივად გავაუმჯობესოთ შრომის პირობები, რამდენჯერმე შევამციროთ მძიმე ფიზიკური და მონოტონური ხელის შრომის წილი, დავიყვანოთ იგი საწარმოო სფეროში 15—20%-მდე 2000 წლისათვის. მაგალითად, თბილისის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ანალიზხელსაწყოს“ საცდელი წარმოების ექსპერიმენტულ ლაბორატორიაში 1987 წელს პროგრამული მართვის ახალი საღარავი-საბურღი ათვისეს, რომელიც ელექტრონული კვანძის ძირითად ნა-

¹ სკკპ XXVII ყრილობის მასალები, გვ. 158.

წილს — ელექტრონულ ფილებს მექანიკური მეთოდით ამზადებს. ტექნოლოგიურმა სიახლემ გამოათავისუფლა საწარმოო ფართობი, რამდენჯერმე გაზარდა დეტალების დამზადების მოცულობა. შემცირდა საჭირო მუშახელის რაოდენობა. არანაკლებ მნიშვნელოვანია ყოველნაირად გამოვიყენოთ მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები, რათა გავადიდოთ წარმოება, გავაუმჯობესოთ სახალხო მოხმარებას საქონლის ხარისხი და ასორტიმენტი.

მესამე, მოძვე სოციალისტური ქვეყნების ყოველმხრივი თანამშრომლობის შემდგომი განმტკიცება და ეფექტიანობის ამაღლება, ექსპორტისა და იმპორტის სტრუქტურის გაუმჯობესება და მოკიდებულია წარმატებებზე მტრის უმაღლესი მიღწევების ათვისებაში.

მეოთხე, არ შეიძლება ანგარიში არ გავუწიოთ საერთაშორისო დაძაბულობას. ეს მოითხოვს ვეუფლებოდეთ მაღალ მეცნიერულ-ტექნიკურ პოტენციალს.

ამგვარად, ეკონომიკური, სოციალური, საგარეო-პოლიტიკური და თავდაცვითი პოლიტიკის საკვანძო საკითხების გადაწყვეტა, ჩვენი ხალხის მომავალი დიდადაა დამოკიდებული მტკის დაჩქარებაზე.

5. რატომ არის მეცნიერება საზოგადოების მძლავრი საწარმოო ძალა, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის ბრძოლის მოწინავე ხაზი?

რაც უფრო დიდი იქნება მეცნიერული საქმიანობის მასშტაბები, მით უფრო ფართოდ იქნება გამოყენებული საწარმოებში მეცნიერული შრომის შედეგები, მით უფრო სწრაფად მოხდება მეცნიერთა შრომის შედეგების მატერიალიზაცია. ახალი ტექნიკის, პროგრესული ტექნოლოგიის, წარმოებისა და მართვის ორგანიზაციის მოწინავე ფორმების სახით მეცნიერული რეკომენდაციები სულ უფრო მეტად გახდება საინჟინრო შრომის თეორიული საფუძველი. მეცნიერების გადაქცევა უშუალო საწარმოო ძალად ნიშნავს, რომ იგი ღრმად შეიჭრა წარმოების ყველა სფეროში, ტექნიკასა და ტექნოლოგიაში, შრომისა და წარმოების ორგანიზაციაში. მეცნიერული ცოდნა წარმოების მოთხოვნათა უშუალო გავლენით ვითარდება. მეცნიერებამ დაიწყო ტექნიკასა და წარმოებასთან შედარებით უფრო სწრაფი ტემპით განვითარება. წარმოების პროცესი მუშის უშუალო ოსტატობას კი არ ექვემდებარება, არამედ წარმოადგენს მეც-

ნიერების ტექნოლოგიურ გამოყენებას. ამას ხელს უწყობს ის, რომ მეცნიერება ხდება სულ უფრო ფართო ფართო წრის ადამიანთა კუთვნილება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმზე მ. ს. გორბაჩოვმა აღნიშნა: „რეალურ მიღწევებს განსაზღვრავს მეცნიერული ცოდნის მდგომარეობა, ორიგინალური იდეების წამოყენება, რომლებსაც უნარი შესწევთ ხორცი შეისხან პრინციპულად ახალ მანქანებსა და ტექნოლოგიაში, საშუალებას მოგვცემენ წინ გავიჭრათ მეცნიერებისა და ტექნიკის მთავარი მიმართულებებით. ასეთია სტრატეგიული ამოცანა, რომელიც გარდაქმნამ დაუსახა მეცნიერებას“¹.

ბოლო წლებში მეცნიერებაში უფრო ფართოდ იჩენს თავს ინტეგრაციის პროცესები. რომელიმე ღრმა თეორიული პრობლემის დასამუშავებლად მეცნიერ მუშაკს უხდება მეცნიერების ცალკეული ვიწრო დარგების საკითხთა სავალდებულო შესწავლა, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს ამ მეცნიერ მუშაკის ჩამორჩენა ცოდნის სხვა დარგში. ეს კი მსხვილი სამეცნიერო პრობლემების გადაჭრისას მეცნიერთა შორის შრომის კოოპერირების აუცილებლობას ქმნის. სწორედ ამით აიხსნება, რომ საწარმოში იქმნება სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, სხვადასხვა სახის სამეცნიერო ორგანიზაციები, ლაბორატორიები, საკონსტრუქტორო და საექსპერიმენტო ქვეგანაყოფების ფართო ქსელი.

ჩვენ ვლაპარაკობთ, რომ მეცნიერება წარმოადგენს უშუალო საწარმოო ძალას. იგი უშუალო საწარმოო ძალად იქცევა მაშინ, როცა წარმოების პროცესი გადაიქცევა მეცნიერულ პროცესად. მაგრამ მეცნიერება ასეთად გადაიქცევა იმდენად და იმ ზომით, რამდენადაც და როგორცაა იგი უკვე გამოყენებული საწარმოებში როგორც ცოდნათა ჯამი პრაქტიკაში დანერგილი ბუნების კანონებისა და ძალების შესახებ. მეცნიერება იქცევა საწარმოო ძალად, როცა იგი ხორცს ისხამს მანქანებში, წარმოების მეთოდებში, მექანიკურ, ქიმიურ, ბიოლოგიურ და სხვაგვარ ტექნოლოგიურ პროცესებში. აქედან გამომდინარეობს, რომ მტპ-ს არ უნდა ვიხილავდეთ როგორც რაღაც განსაკუთრებულ, დამოუკიდებელ პრო-

¹ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მასალები, 1987 წლის 27-28 იანვ.რ. თბილისი, გამომც. „საბჭოთა საქართველო“, 1987, გვ. 75.

ცეს, წარმოების პროცესის განვითარებასთან გვერდით და ერთად რომ მიმდინარეობს. იგი წარმოადგენს თანამედროვე წარმოებისათვის შინაგანად დამახასიათებელ წესს და ამავე დროს მისი განვითარების საფუძველს.

მეცნიერება, მტპ-ის დაჩქარების მძლავრი ფაქტორი რომ არის, ეს ცნობილია. ამას ეხება, მაგალითად, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1987 წლის დადგენილება „ქვეყანაში აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარების მეცნიერული უზრუნველყოფის შესახებ“. დადგენილება მოგვიწოდებს დავაჩქაროთ სოფლად მეცნიერულ-ტექნიკური განვითარება, მივცეთ ზელში მიწათმოქმედებს, მეცხოველეებს თანამედროვე ტექნიკა და ტექნოლოგია, შევაიარალოთ ისინი შრომის ორგანიზაციის პროგრესული ხერხებით. ეს საბოლოო ჯამში საშუალებას მოგვცემს მნიშვნელოვნად გავაუმჯობესოთ ქვეყნის სურსათით უზრუნველყოფა.

ცნობილია, რომ მეცნიერება წარმოადგენს ახალი რევოლუციური იდეების გენერატორს, ტექნიკური გარდაქმნის გამოსავალ პუნქტსა და ბერკეტს. პრიორიტეტული მნიშვნელობა ენიჭება ფუნდამენტურ მეცნიერებათა განვითარებას, რომელიც წარმოადგენს იდეების გენერატორს, გზას გვიკაფავს ახალი დარგებისაკენ, გაკყავს ქვეყანა ეფექტიანობის ახალ მაღალ დონეზე. ამ მეცნიერებათა განვითარებაში კი წამყვანი როლი ეკუთვნის სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიას, რესპუბლიკურ აკადემიებს. ამასთან დაკავშირებით მალდდება აკადემიური ინსტიტუტების როლი და პასუხისმგებლობა პრიორიტეტულად ახალი სახეობის ტექნიკისა და ტექნოლოგიების თეორიული საფუძვლების შესაქმნელად. უფრო აქტიურად უნდა იქნეს გამოყენებული უმაღლესი სასწავლებლების მეცნიერული პოტენციალი. მათში მეთორმეტე ხუთწლედში მეცნიერული გამოკვლევების მოცულობა გაფართოვდება 2—2,5-ჯერ, ხარჯები მეცნიერებაზე გაიზრდება 33%-ით.

მთელ ამ სქემაში ქრონოლოგია ასეთია. აკადემიურ ინსტიტუტებში წარმოიშობა ფუნდამენტური მეცნიერული იდეები, რომლებიც, გაივლიან რა დარგობრივ სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტებს, ხელს უწყობენ ახალი, უფრო სრულყოფილი მანქანებისა და მოწყობილობის გამოჩენას. მათ კონსტრუქციებში კი გამოყენებულია ახლად აღმოჩენილი ფიზიკური, ქიმიური და სხვა პრინციპები და კანონზომიერებანი. მეცნიერება — ტექნიკა — წარმოება, აი

არსებითად მთელი წრე, რაზეც შევაჩერეთ ზემოთ ყურადღება. ეს სამი სიტყვა შეიძლება ითქვას მტპ-ის თანამედროვე ეტაპის ფორმულაა.

6. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების რა გზები არსებობს?

ტექნიკაში რევოლუციური გადატრიალება წარმატებით რომ მოვახდინოთ, ნათლად უნდა გვეკონდეს წარმოდგენილი მტპ-ის დაჩქარების გზები. ეს გზები შემდეგია:

ა) მეცნიერების წინგამსწრები განვითარება, მეცნიერული პოტენციალის სტრუქტურის გარდაქმნა. მტპ-ის ერთ-ერთი კანონზომიერებაა მეცნიერების წინგამსწრები განვითარება, რომელიც კმნის მეცნიერული იდეების, აღმოჩენებისა და გამოგონებების, ახალი ტექნიკის მატერიალიზებული ნიმუშების კარბნაკეთს. ამ ამოცანის გადაწყვეტისათვის საჭიროა ძირეულად გვაუზმჯობესოთ ქვეყნის მძლავრი მეცნიერული პოტენციალის გამოყენება. მაგრამ უკანასკნელ წლებში მეცნიერების განვითარება შეფერხდა, რაც განდა ეკონომიკური ზრდის ტემპების საერთო დაქვეითების ერთ-ერთი ფაქტორი. ამიტომ საჭიროა დავაჩქაროთ მეცნიერების განვითარება, ამასთან მისი ექსტენსიური გაფართოებიდან (დასაქმებულთა რაოდენობის გაზრდის გზით) საჭიროა გადავიდეთ ინტენსიურ განვითარებაზე, ავამაღლოთ მეცნიერული პოტენციალის უკუგება, მნიშვნელოვნად გავზარდოთ მეცნიერული და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციების ტექნიკური აღჭურვა. სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლების ძირითადი მიმართულებებით დასახულია ღონისძიებები მეცნიერული პოტენციალის გარდაქმნისა და უფრო ეფექტიანი გამოყენებისათვის;

ბ) დიდი გამოგონებების ფართომასშტაბურად და სწრაფად დანერგვა მნიშვნელოვანი სახალხო-სამეურნეო ეფექტის მიღების მიზნით. თვით კოლექტივში უნდა შეექმნათ ისეთი პირობები, რომლებიც გააღვივებენ გამომგონებლებისა და რაციონალიზატორების შემოქმედებითს აზრს, ხელს შეუწყობენ მათ მიერ წამოყენებული ეფექტიანი იდეების ათვისების დაჩქარებას;

გ) მანქანათმშენებლობის პროდუქციის ზრდის ტემპებისა და განახლების მნიშვნელოვანი დაჩქარება. მეცნიერებისა და ტექნიკის უახლოეს მიღწევათა მატერიალიზაციაში პარტია საკვანძო როლს მიაკუთვნებს მანქანათმშენებლობას, — აღნიშნულია სკკპ პროგრა-

მის ახალ რედაქციაში. საბჭოთა მანქანათმშენებლობის დაჩქარებული განვითარება იყო და არის ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საფუძველი, განაპირობებს შრომის ნაყოფიერების ზრდის მაღალ ტემპებს;

დ) სახალხო მეურნეობის ძირეული ტექნიკური რეკონსტრუქცია პრინციპულად ახალი ტექნიკისა და პროგრესული ტექნოლოგიების ბაზაზე. კეშმარიტად ისტორიული მნიშვნელობის ამოცანაა სახალხო მეურნეობის ახალი ტექნიკური რეკონსტრუქცია მტრის მიღწევების საფუძველზე. მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება მკვიდრ საფუძველზე დაყრდნობილი ყოველმხრივი ინტენსიფიკაცია. საქმე შეეხება ქვეყნის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სწრაფ განახლებასა და თვისებრივ სრულყოფას. ძალზე მნიშვნელოვანია, რომ მისი მაღალი დონე ნიადაგ მტკიცდებოდეს და შეესაბამებოდეს მსოფლიო მიღწევებს. ეს მოითხოვს საინვესტიციო პოლიტიკის თვისებრივ გაუმჯობესებას.

დიდი მნიშვნელობა აქვს ახალი ტექნიკის სახალხო-სამეურნეო ფექტიანობის ამღლებას, მისი აბსოლუტური და შედარებითი გაიფების თანმიმდევრულ უზრუნველყოფას, ეუს წევრ-ქვეყნებთან მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის განვითარებას და სსკ.

7. ახალი ტექნიკა და პროგრესული ტექნოლოგია რა პირობებში ხდება ინტენსიფიკაციის მძლავრი ბერკეტი?

რა ფაქტორები განსაზღვრავს შრომის ნაყოფიერების ზრდას? ისინი ბევრია, მაგრამ უმნიშვნელოვანესია წარმოებაში ახალი, უფრო მწარმოებლური მანქანებისა და მექანიზმების, პროგრესული მასალებისა და ტექნოლოგიური პროცესების დანერგვა. ახალი ტექნიკა შრომის ნაყოფიერების ზრდის საფუძველია. იმაზე, თუ როგორაა ადამიანი შეიარაღებული ტექნიკით, რამდენად ცვლის იგი თავის მეცადინეობას მანქანების ენერგიით, გადამწყვეტადაა დამოკიდებული, რამდენ სამუშაო დროს დახარჯავს იგი დეტალების დამზადებაზე.

ასევეა პროგრესული ტექნოლოგია. მაგალითად, ვინც იცნობს ელექტროვაკუუმისა და ნახევრადგამტარ ხელსაწყოებს, ინტეგრალურ სქემებს, იცის, რომ მათი ხარისხი და შრომატევადობა ბევრად განისაზღვრება შედუღების ტექნოლოგიით. იმპულსური ლაზერული შედუღება უზრუნველყოფს არა მარტო დიდ სიზუსტეს, არამედ

შრომის ნაყოფიერების არსებით ამადლებასაც, ნაწარმის შრომატევადობის შემცირებასაც, მათი ხარისხის გაუმჯობესებასაც.

მოვიყვანთ ერთ ასეთ მაგალითს. საწარმოო გაერთიანება „საქელექტრომანქანის“ ხელმძღვანელებმა, დუნედ რომ გარდაქმნიან მუშაობას, ახლებურად რომ არ უდგებიან მას, შედეგად ის მიიღეს, რომ ახალი ტექნიკისა და პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვის გეგმით გათვალისწინებული 26 ღონისძიებიდან 10-მა არავითარი ეკონომიკური ეფექტი არ მისცა გაერთიანებას, ამასთან შემცირების ნაცვლად, რასაც აღნიშნულ ღონისძიებათა დანერგვა ითვალისწინებდა, გაიზარდა ხელის შრომით დასაქმებულ მუშათა რიცხვი.

ტექნიკა და ტექნოლოგია წარმოების ინტენსიფიკაციის ფაქტორი რომ გახდეს, საკმარისი არ არის უბრალოდ რაოდენობრივი მაჩვენებლები, არც მანქანებისა და მოწყობილობათა ნაწილობრივი მოდერნიზაცია, არც არსებული ტექნოლოგიების სრულყოფა. საჭიროა რევოლუციური ძვრები, პრინციპულად ახალ ტექნოლოგიურ სისტემაზე, უკანასკნელ თაობათა ტექნიკაზე გადასვლა.

არსებობს ტექნიკის თაობათა დამახასიათებელი ნიშნები, რომლებიც განასხვავებენ მას ახალი მოდელისაგან, მოდერნიზაციისაგან: **ქ ე რ ე რ თ ი**, ახალი ტექნიკური იდეის რეალიზაცია—მეცნიერული აღმოჩენა, დიდი გამოგონება. **მ ე ო რ ე ც**, ეფექტიანობის ნახტომისებური ზრდა — შრომის ნაყოფიერების მრავალჯერ ამადლება, მატერიალური რესურსების მნიშვნელოვანი ეკონომია, თვისებრივად ახალი მოთხოვნების დაკმაყოფილება და ა. შ.

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ დღეს სულ ახალი ფუნქცია ეკისრება თანამედროვე ტექნოლოგიას, ე, არის მცირეოპერაციიანი, უნარჩენო და მცირენარჩენიანი სახის ტექნოლოგიაზე გადასვლა; ტექნოლოგიური პროცესების დაჩქარება, მათში მაღალეფექტიანი კატალიტიკური რეაქციების უფრო ფართოდ გამოყენება; წარმოების ელექტრიფიკაციისა და ქიმიზაციის ღონის ამადლება; ტექნოლოგიური პროცესების დანერგვა, რომლებიც უზრუნველყოფენ პროდუქციის უწყვეტ განახლებას და ხარისხის ამადლებას; ტექნოლოგიური პროცესების ავტომატიზაცია.

ახლა ქვეყანაში მასობრივი მასშტაბით ინერგება პროგრესული ტექნოლოგიები, უწინარეს ყოვლისა დარგთაშორისი მნიშვნელობის, და მანქანების შესაბამისი სისტემები. ახლა ცნობილი პროგრესული საბაზო ტექნოლოგიების საერთო რაოდენობა ქვეყანაში დაახლოებით 120-130-ია. ყველა სამრეწველო სამინისტროს დავა-

ლებული აქვს ხელი შეუწყოს პროგრესული ტექნოლოგიების და-
ნერგვის დაჩქარებას.

8. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი რატომ არის ეკონომიკური განვითარების მთავარი ფაქტორი?

თანამედროვე ეკონომიკა მტპ-ს უყენებს მოთხოვნათა კომპ-
ლექსს, რომელთა შესრულების გარეშე შეუძლებელია სახალხო მე-
ურნეობის ბალანსირებული და ეფექტიანი განვითარება. პირველ-
ხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს საწარმოო აპარატის სწრაფ განახ-
ლებას ახალი ტექნიკის ბაზაზე. მტპ-მა ასევე უნდა უზრუნველ-
ყოს ქვეყნის რესურსების ყველა სახეობის ყოველნაირი ეკონომია,
რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში მკვეთრად შემცირდება საზოგა-
დობრივი წარმოების განვითარების ეფექტიანობა. ამოცანა ის არის,
რომ სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებების მატება სათბობზე,
ენერგიაზე, ნედლეულსა და მასალებზე 75-80%-ით დავაკმაყოფი-
ლოთ ეკონომიის ხარჯზე. ახლა ეს წილი რესურსების უმნიშვნელო-
ვანესი სახეობების მიხედვით არ აღემატება 50%-ს.

უდიდესი როლი აქვს მტპ-ს რესურსების ეკონომიაში. ამას-
თან საჭიროა კიდევ უფრო გაძლიერდეს მტპ-ისა და სოციალურ-
ეკონომიკური განვითარების რესურსებდამზოგავი მიმართულება.
გასათვალისწინებელია, რომ სანედლეულო ბაზის გაფართოებაში
სულ უფრო იჩენს თავს ეკონომიკური ხასიათის სიძნელები. ყუ-
რადღება რესურსტევადობის შემცირების პრობლემისადმი ჯერ კი-
დეც მაინც სუსტია. ჩვენთან გამოშვებული მასობრივი მოთხოვნილე-
ბის მთელი რიგი მარტივი ნაწარმი ზედმეტად ენერგოტევადია.
XXVII ყრილობამ ამოცანად დასახა 1986-1990 წლებში და 2000
წლამდე პერიოდში მტპ-ის ბაზაზე ეროვნული შემოსავლის ენერგო-
ტევადობა შემცირდეს არანაკლებ, ვიდრე 1,4-ჯერ და ლითონტევა-
დობა — თითქმის 2-ჯერ და სხვ.

როგორ შეიძლება ასეთი უზარმაზარი დავალების შესრულება?
ეკონომიის გზები ბევრია. მოკლედ რომ ვთქვათ, მათი შესრულება
შეიძლება მხოლოდ ტექნიკური პროგრესის მიღწევების ყოველნა-
ირი დაწერგვის, რესურსებდამზოგავ ღონისძიებათა მთელი კომპ-
ლექსის ჩატარების საფუძველზე. მაგალითად, მეთორმეტე ხუთწ-
ლედში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების დაწერგვის ხარჯ-
ზე დასახულია უზრუნველყოთ შრომის ნაყოფიერების მატების
არანაკლებ 2/3, მექანიზებული გავხადოთ იმ 50 მილიონი მშრო-

მელის მნიშვნელოვანი ნაწილის შრომა, რომლებიც დასაქმებული არიან ხელის შრომით. ცნობილია, რომ მატერიალური დანახარჯები შეადგენენ სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულების დაახლოებით 80%. აქედან გამომდინარე, საჭიროა მასალებისა და სხვა მატერიალური რესურსების ყოველნაირი ეკონომია. მატერიალური, ენერგეტიკული და შრომითი რესურსების ეკონომისათვის უდიდესი შესაძლებლობები აქვს მიკროელექტრონიკის გამოყენებას. მაგალითად, საზოგადოებრივი პროდუქციის ყოველ ერთ მანეთზე მატერიალური დანახარჯების ერთი კაპიკით შემცირება საშუალებას მოგვცემს დამატებით მივიღოთ მილიარდობით მანეთი ეროვნული შემოსავალი. დიდია მეორადი ნარჩენების ეკონომიური გამოყენების, ფონდუქუგების ამალღები მნიშვნელობა და სხვ.

ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის აუცილებელია მოქმედი საწარმოო აპარატის ნიადაგ განახლება და მისი შენარჩუნება მტპ-ის თანამედროვე მოთხოვნების დონეზე. მნიშვნელოვანია ძირითადი ფონდების განახლება, სტრუქტურული ცვლილებები ეკონომიკაში, მანქანათმშენებლობის განვითარება, როგორც სკკპ პროგრამის ახალ რედაქციაშია აღნიშნული, სახალხო მეურნეობამ მოქნილად უნდა მოახდინოს რეაგირება და დროულად გარდაიქმნას მეცნიერებასა და ტექნიკაში, საზოგადოებრივ და ინდივიდუალურ მოთხოვნილებებში პროგრესული ძვრების შესაბამისად. დღეისათვის უკვე ჩამოყალიბებულია, მაგალითად, არსებითი პოტენციალი მეცნიერებისა და ტექნიკის ახალ დარგში — რობოტტექნიკაში. 1981—1985 წლებში სახალხო მეურნეობამ მიიღო 100 მოდელზე მეტი „მოწყობილობა-მანიპულატორის“ ტიპის ავტომატური მანიპულატორები და ავტომატიზებული ტექნოლოგიური კომპლექსები. დღეისათვის ეს ციფრი, ცხადია, გაცილებით მეტია. ინტენსიურად მატულობს სამრეწველო რობოტების გამოშვება.

მოქნილი საწარმოო სისტემები (მსს), რომელთა დამუშავებაც დაიწყო 60-იანი წლების მეორე ნახევარში, გახდა წარმოების ხელახალი ტექნიკური შეიარაღების ახალი ეტაპის რეალური ძალა. მსს წარმოების ეფექტიანობის ამალღების ძლიერი საშუალებაა. იგი შეიცავს ისეთ უპირატესობას, როგორიცაა მასობრივი წარმოების ავტომატური ხაზების მაღალი მწარმოებლობა და დაბალი თვითღირებულება. ეკონომიკაში სწრაფი სტრუქტურული ცვლილებების კიდევ ერთ მაგალითს იძლევა მტპ-ის ისეთი ახალი მიმართულება, როგორიც არის ბიოტექნოლოგია, რომელსაც უნარი შესწევს 90-

იან წლებში ისეთივე გავლენა მოახდინოს წარმოების ტექნიკური საფუძვლების გარდაქმნაზე, როგორსაც ახდენს ახლა ელექტრონიკა.

თანამედროვე ბიოტექნოლოგია წარმოადგენს სოფლის მეურნეობაში არსებული მთელი მტკ-ის საფუძველს და ამიტომ აქვს მას სტრატეგიული მნიშვნელობა მთელი სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის. ამაზე გამახვილებულია ყურადღება სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1987 წლის .ცნობილ დადგენილებაში აგროსამრეწველო კომპლექსის შესახებ. არის გარკვეული საფუძველი იმისა, რომ ბიოტექნოლოგიის ბაზაზე წარმოიშობა მრეწველობის სრულიად ახალი დარგები ენერჯისა და მინერალური ნედლეულის დაბალი გამოყენებით, რომლებიც შეიძენენ საკვანძო მნიშვნელობას მომავალი ასწლეულის მსოფლიო ეკონომიკაში.

მ. რით არის გამოწვეული თანამედროვე პირობებში ტექნიკაში რევოლუციური გადატრიალების აუცილებლობა და რა შინაარსი აქვს მას?

თაობათა ცვლის პროცესი ხდება ტექნიკის ყოველ დარგში: ელექტრონულ-გამოთვლითი მანქანების ახალ თაობებზე, სამრეწველო რობოტებზე, ელექტროძრავებზე, ავტომობილებზე, თვითმფრინავებზე, ტრაქტორებზე, სამედიცინო ტექნიკაზე გადასვლა და სხვ. ტექნიკის თაობათა ცვლის პერიოდულობა საშუალოდ 8-10 წელია. ტექნიკის განვითარებაში ხდება უფრო დიდი რევოლუციური ნახტომები, როდესაც ყალიბდება ტექნიკის ახალი მიმართულებები, მაგალითად, მიკროელექტრონიკა, ბიოტექნოლოგია, რობოტტექნიკა, ლაზერული ტექნიკა და ა. შ. თითოეული ეს მიმართულება შეიცავს მთელ რიგ თაობებს, განსხვავდება წარმოების ტექნიკური ბაზის გარდაქმნის სივრცითა და სიღრმით და მოიცავს რამდენიმე ათწლეულის პერიოდს.

როცა წარმოების წამყვან დარგებში წარმოიშობა ტექნიკის ახალი თაობები, ტექნიკის ახალი მიმართულებები, ხდება საერთო ტექნიკური რევოლუცია. XX საუკუნეში იგი მკიდროდაა გადაჯაჭვული გადატრიალებასთან მეცნიერებაში. ამ გადატრიალებამ წარმოშვა მტრ-ის ერთიანი პროცესი, რომელსაც თან ახლავს თვისებრივი ცვლილებები ზოგად და პროფესიულ განათლებაში, წარმოების ორგანიზაციის ფორმებში.

მტრ-ს აქვს ეტაპები. პირველი ეტაპი დაიწყო 40—50-იან წლებ-

ში უდიდესი გადატრიალებებიდან ტექნიკაში. წარმოიშვნენ ატომური ენერგეტიკა, ეგმ, რაკეტები, რეაქტიული ძრავები, სინთეტიკური მასალები და სხვ. ამან განაპირობა შრომის ნაყოფაერების ზრდის დაჩქარება, წარმოებული პროდუქციის მნიშვნელოვანი გაფართოება და ასორტიმენტის გაუმჯობესება. 70-იანი წლებისათვის მტრ-ის პირველ პერიოდში შექმნილი ტექნიკის თაობების ეკონომიკური პოტენციალი მნიშვნელოვანწილად ამოწურული აღმოჩნდა. წარმოიშვა მორიგი საერთო-ტექნიკური გადატრიალების აუცილებლობა. ასეთი გადატრიალება დაიწყო ყველაზე განვითარებულ ქვეყნებში 70-იანი წლების მეორე ნახევარში. ახალი მტრ-ის საბაზისო მიმართულებას წარმოადგენს მიკროელექტრონიკა და ბიოტექნოლოგია. მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებმა შექმნა პირობები შექმნილიყო მიკროპროცესორები. ახლა მიკროპროცესორები და ბიოტექნოლოგია თანამედროვე მეცნიერების უდიდესი მონაპოვარია. პირველი საშუალებას იძლევა წარმოებისა და მართვის პროცესი გაეზადოთ ოპტიმიზებული, ფართოდ დავნერგოთ რესურსდამზოგავი ტექნოლოგიები. მეორე, რომელსაც საფუძვლად უდევს გენური ინჟინერიის მიღწევები, საშუალებას იძლევა გარდავქმნათ მემკვიდრეობითი ნივთიერება, შევქმნათ ახალი მიკროორგანიზმები, ხოლო შედეგად — მცენარეები და ცხოველები სასარგებლო თვისებების მაღალი კონცენტრაციით.

თვისებრივად იცვლება საწარმოო ტექნიკა. მისი ძირითადი თვისებებია კომპლექსური ავტომატიზაცია რობოტტექნიკისა და მოქნილი საწარმოო სისტემების ბაზაზე; ენერგოდამზოგავი ტექნოლოგიები და არატრადიციული ენერგორესურსების ათვისება; მასალების ახალი თაობები წინასწარ მინიჭებული თვისებებით; უნარჩენო და მცირენარჩენიანი ტექნოლოგიები.

ტექნიკაში რევოლუციური გადატრიალება ხდება საფუძველი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ტემპების დაჩქარებისა და წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის.

დღეს არც ერთ კოლექტივს არ შეუძლია განზე იდგეს მტრ-ის დაჩქარების, ტექნიკის ახალ თაობათა ათვისების ძირეული ამოცანების გადაწყვეტისაგან: სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, საკონსტრუქტორო ბიუროები, უმაღლესი სასწავლებლები, სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებები ქმნიან მათ და მონაწილეობენ ათვისებაში; მანქანათმშენებლობის გაერთიანებები და საწარმოები პრინციპულად ახალ ტექნიკას აწარმოებენ წარმოების, არასაწარ-

მოო სუეროს ყველა დარგში და ეს ტექნიკა არეალიზებს თავის ეფექტს. ამიტომ თითოეული კოლექტივისათვის, თითოეული მუშაკისათვის მნიშვნელოვანია განსაზღვრონ თავიანთი ადგილი პარტიის მიერ შემუშავებული მტპ-ის დაჩქარების სტრატეგიის განხორციელებაში.

10. რაში გამოიხატება წარმოების კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დიდი მნიშვნელობა და რა არის საკურო ამისათვის?

პარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე მეთორმეტე ხუთწლედში უფრო ენერგიულად, ვიდრე წინათ, უნდა განხორციელდეს ეკონომიკის სტრატეგიული გარდაქმნა, კაპიტალურ დაბანდებათა კონცენტრაცია სახალხო მეურნეობის განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებებზე. აქცენტი პირველ რიგში აღებულია ხელის შრომის წილის ყოველნაირად შემცირებაზე, საწარმოების კომპლექსურ მექანიზაციისა და ავტომატიზაციაზე. წარმოების კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის საშუალებების გავრცელება და ყველგან დანერგვა საშუალებას მოგვცემს თანმიმდევრობით განვახორციელოთ საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების ძირეული, ფონდუკუგების მნიშვნელოვანი ამაღლება, ძირითადი ფონდების განახლების პროცესების დაჩქარება. ამასთან ერთად ზემოაღნიშნული პროცესების რეალიზაცია ხელს შეუწყობს მძიმე და ნაკლებკვალიფიციური შრომის, შრომითი რესურსების დეფიციტის შემცირებას, ე. ი. ერთდროულად გადაწყვეტს ორ უმნიშვნელოვანეს ამოცანას — ეკონომიკურს, სოციალურს.

ამ საკითხის გადაწყვეტის ეკონომიკური ასპექტი ის არის, რომ რაც დრო გადის, შრომითი რესურსების პრობლემა მწვავედ დგება, მათზე მოთხოვნილება იზრდება, ხოლო ქვეყნის მოსახლეობის სრული დასაქმების პირობებში სახალხო მეურნეობის დარგებში დამატებითი შრომითი რესურსების ჩაბმის შესაძლებლობები თითქმის ამოწურულია. ხელის შრომის შემცირების საკითხის გადაწყვეტის სოციალური ასპექტი ის არის, რომ, ჯერ ერთი, თანამედროვე წარმოების მაღალგანვითარებული დონე ავიწროებს ხელის შრომას და ობიექტურად მოითხოვს შრომითი პროცესების კომპლექსურ მექანიზაციისა და ავტომატიზაციას, წარმოების კულტურის, მასი ორგანიზაციულ-ტექნიკური დონის მნიშვნელოვან ამაღლებას. მეორე, თანამედროვე წარმოების მუშაკი, მაღალკვალიფი-

ციური სპეციალისტი აღარ ეგუება ხელის მძიმე და მომქანცველ შრომას და იგი კანონზომიერად მოითხოვს შრომის იმ პირობებს, რაც ხელს შეუწყობს მაღალნაყოფიერ შრომითს საქმიანობას, უფრო მიმზიდველსა და შინაარსიანს გახდის შრომის პროცესებს.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის დარგებში და საწარმოებში სატრანსპორტო, სარემონტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის, დაკომპლექტების, საკონტროლო და სხვა ოპერაციებზე ხელის შრომას ეწევა ათასობით მუშა, მათ შორის მუშა-ქალები. ამჟამად რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში ხელის შრომაში ჩაბმულია მუშათა საერთო რაოდენობის 55%, თბილისის სახალხო მეურნეობის ძირითად დარგებში — 52%. ამიტომ შრომის მექანიზაცია და ავტომატიზაცია ახლა უდიდესი სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობის ამოცანაა.

სახალხო მეურნეობის, კულტურის, მეცნიერების სხვადასხვა დარგში მტპ-ის დაჩქარება, კერძოდ, კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზაცია, ხელის შრომის წილის მნიშვნელოვანი შემცირება. შრომითი რესურსების ეკონომია და მათი ეფექტიანი გამოყენება უდიდესი მნიშვნელობის საქმეა. ამისათვის საჭიროა ყოველ საწარმოს, კოლმეურნეობას, საბჭოთა მეურნეობასა და სხვ. ჰქონდეს კარგად შედგენილი მტპ-ის მიზნობრივი პროგრამა, რომელშიც გამოკვეთილად გამოჩნდება ხელის შრომის მექანიზაციის, მძიმე და მავნე შრომის პირობების ლიკვიდაციის ღონისძიებები და მათი დანერგვით მოსალოდნელი ეკონომიკური და სოციალური შედეგები.

საწარმოებმა თავიანთ გეგმა-პროგრამებში უნდა გაითვალისწინონ და დანერგონ ის ღონისძიებები, რომლებიც მიმართულია წარმოების ტექნიკური და ორგანიზაციული ღონის ამადლების, ახალი ტექნიკისა და პროგრესული ტექნოლოგიური პროცესების, შრომის ორგანიზაციის მოწინავე ფორმების დანერგვისაკენ. ამასთან მთავარი ყურადღება უნდა მიაქციონ ხელის შრომიდან მექანიზებულზე, მექანიზებულიდან ავტომატურ შრომაზე გადასვლას, წარმოებისა და ტექნიკური მომსახურების შრომატევადი სამუშაოების მექანიზაციას, სადაც უფრო დიდია ხელის შრომით დასაქმებულთა ხვედრითი წონა. მაგალითად, 1987 წელს რესპუბლიკაში კომპლექსურ მექანიზაციასა და ავტომატიზაციაზე გადაყვანილია 59 უბანი, საამქრო და წარმოება.

11. რას ნიშნავს მოქმედი წარმოების ტექნიკური განახლება და რეკონსტრუქცია და რა შედეგები მოაქვს მას?

მოქმედი საწარმოების რეკონსტრუქცია გულისხმობს წარმოების სრულ ან ნაწილობრივ გარდაქმნას, დამხმარე და მომსახურე მშენებლობის ახალი ობიექტების მშენებლობას და არსებულის გაფართოებას. საწარმოში ტექნიკური რეკონსტრუქციის ამოცანებია: მოქმედი საწარმოების სიმძლავრეთა გადიდება, ასორტიმენტის გაფართოება, პროდუქციის ხარისხის ამაღლება, ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესება ნაკლები კაპიტალური დანახარჯებით და უფრო მოკლე ვადებში, ვიდრე ახალი საწარმოების მშენებლობისა თუ მოქმედი საწარმოებისთვისაა საკვირო. საწარმოთა რეკონსტრუქციის პროცესი რთული ტექნიკური და ორგანიზაციული ამოცანაა, რომლის გადაწყვეტა დიდ საინჟინრო მომზადებას, საწარმოს საინჟინრო-ტექნიკური სამსახურების მუშაობის ზუსტ და გეგმვას, ორგანიზაციასა და მაღალ ხარისხს მოითხოვს.

სკკპ XXVII ყრილობამ დასახა სახალხო მეურნეობის ძირეული რეკონსტრუქციის განხორციელება მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევათა საფუძველზე. ამ მიზნით გათვალისწინებულია: შეიცვალოს სტრუქტურული და საინვესტიციო პოლიტიკა, რაოდენობრივი მაჩვენებლებიდან გადავიდეთ ხარისხსა და ეფექტიანობაზე, შუალედურიდან — საბოლოო შედეგებზე, საწარმოო ფონდების გაფართოებიდან — მათი გამოყენების გაუმჯობესებაზე.

რეკონსტრუქციის განმასხვავებელი ნიშანია ის, რომ მის პროცესში წარმოებს ფონდების არა მარტო აქტიური, არამედ პასიური ნაწილის განახლებაც. რეკონსტრუქციის დროს ხდება მოძველებული შენობებისა და ნაგებობების ლიკვიდაცია, ხორციელდება საწარმოო საამქროების ტექნიკური განახლება და დაგეგმარების პროცესების მექანიზაციის, ავტომატიზაციის, ახალი ტექნოლოგიის დანერგვის, ვიწრო აღგილების აღმოფხვრის, წარმოების ორგანიზაციის სრულყოფის სამუშაოები. ამგვარად, წარმოების რეკონსტრუქცია მოიცავს სამუშაოების უფრო ფართო წრეს, ვიდრე ტექნიკური განახლება.

მოქმედ საწარმოთა ტექნიკური განახლებისა და რეკონსტრუქციის სამუშაოების მოცულობის გადიდების შესახებ არაერთხელ ითქვა. ამაზე განსაკუთრებით გამახვილდა ყურადღება სკკპ XXVII ყრილობაზე. ახალი ხუთწლედის დამახასიათებელი ნიშანია ის, რომ

უმთავრესად ყურადღება მიეპყრობა მოქმედი წარმოების განახლებასა და რეკონსტრუქციას. ამ მიზნით გამოყოფილ კაპიტალდაბანდებათა წილი 1985 წლის 37 პროცენტიდან 1990 წელს 50 პროცენტამდე გაიზარდა. დღეს ეკონომიკის მართვის ახალ სისტემაზე გადასვლის პერიოდში ტექნიკურ განახლებასა და რეკონსტრუქციაში ძირითად როლს შეასრულებენ საწარმოთა და გაერთიანებათა განვითარების ფონდები, რომლებსაც შრომითი კოლექტივები გამოიმუშავენ.

საინვესტიციო-სტრუქტურული პოლიტიკის გარდაქმნის პირობებში იცვლება თანაფარდობა რეკონსტრუქციასა და ტექნიკურ განახლებას, ტექნიკურ აღჭურვასა და ძირითადი ფონდების განახლების სხვა ფორმებს შორის. წარმოების ტექნიკური რევოლუცია ახალ შინაარსს იძენს. რეკონსტრუქცია უფრო ფართოვდება, ვიდრე ტექნიკური განახლება. ტექნიკური აღჭურვისა და განახლების დროს იცვლება ცალკეული მანქანები ან რგოლი მოქმედ მანქანათა სისტემაში. წარმოების ტექნიკური რეკონსტრუქციის პირობებში კი ღდება ახალი ტექნიკური გადაწყვეტების სრული რეალიზაცია, იქმნება ახალი ტექნიკისა და პროგრესული ტექნოლოგიის შესაბამისი საწარმოო პირობები.

როგორც ცხოვრება გვიჩვენებს, უკვე მომწიფდა ნიადაგი იმისათვის, რომ წარმოების ტექნიკური რეკონსტრუქციის ეფექტიანობის შეფასებისას ტრადიციულ ეკონომიკურ მაჩვენებლებთან ერთად გამოვიყენოთ სოციალური ეფექტიანობის მაჩვენებლებიც, კერძოდ, ხელის და მძიმე შრომით დასაქმებულთა რაოდენობის შემცირება, წარმოების ავტომატიზაციის დონე, შრომის პირობების გაუმჯობესება და სხვ.

1989 წლისთვის დაგეგმილია რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ძირეული რეკონსტრუქციის დაწყება, ელექტროფლადსადნობი საამქროს მშენებლობა. მომავალი რუსთავის მეტალურგიული ქარხანა — ეს იქნება სუფთა, მაღალი კულტურის წარმოება, სადაც ადვილი იქნება მუშაობა, რადგან იგი აღიჭურვება მეცნიერებისა და ტექნიკის უკანასკნელი მიღწევების გათვალისწინებით, გაუქმდება ისეთი საამქროები, რომლებიც მოძველებულია, გამოყოფს მათე გამონაბოლქვებს და მეტალურგიულ მტვერს. დაახლოებით 2.000 მუშა განთავისუფლდება ხელის მძიმე შრომისაგან, რითაც გადაწყდება მუშახელის ნაკლებობა საამქროში. საბოლოო ეკონომიკური ეფექტი გაიზომება 150 მილიონი მანეთის მოგებით ყო-

ველწლიუჩად. ამ თანხის მნიშვნელოვანი ნაწილი მოხმარდება შრომითი კოლექტივის კეთილდღეობის ამაღლებას. ძალზე გაფართოვდება სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვება, 1990 წლისთვის იგი ორჯერ გადააქარბებს 1987 წლის დონეს.

1987 წელს რესპუბლიკაში მოქმედი საწარმოების ტექნიკური განახლებისა და რეკონსტრუქციისათვის გამოყენებული იყო 537 მილიონი მანეთი სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებანი, ანუ 12 პროცენტით მეტი, ვიდრე წინა წელს. ამავე დროს მთლიანად არ არის ათვისებული ამ მიზნით გამოყოფილ კაპიტალურ დაბანდებათა ლიმიტები. ათვისებული კაპიტალური დაბანდებების საერთო მოცულობიდან მხოლოდ 22 პროცენტი შეადგინა საწარმოთა და ორგანიზაციათა ფონდების სახსრებმა.

საერთოდ, ტექნიკური განახლება და რეკონსტრუქცია ყოველთვის არ არის მიზანშეწონილი. საწარმოებს, რომლებიც დიდი ხნის წინათ მოსალოდნელი რეკონსტრუქციის წინასწარ გათვალისწინების გარეშე არის აშენებული, არ შეუძლიათ მოგვეცენ მსოფლიო სტანდარტების დონის პროდუქცია. ასეთი საწარმოები დროებით უნდა დაიხუროს და შეიძლება თამამად წავიდეთ ახლის მშენებლობაზე, ვინაიდან საქმე ეხება ახალი ტექნიკის, პროგრესული ტექნოლოგიის, დარგისა და სხვ. შექმნას.

12. მანქანათმშენებლობა რატომ არის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის წამყვანი ბერკეტი და რა არის საჭირო მისი შემდგომი განვითარებისათვის?

როცა ლაპარაკია ერთიან ტექნოლოგიურ პოლიტიკაზე, იმაზე, თუ რა როლი განეკუთვნება მის განხორციელებაში სხვადასხვა დარგს, პირველ პლანზე აუცილებლად დგება მანქანათმშენებლობა. რაში იჩენს თავს ამ დარგის პრიორიტეტული ფუნქციები, მაგალითად, ქიმიის, მეტალურგიის, სამთომომპოვებელი მრეწველობის წინაშე? რატომ ანიჭებენ მას განსაკუთრებულ როლს მტკ-ში?

ამის შესახებ ძალზე ზუსტად და გარკვეულადაა ნათქვამი პარტიის XXVII ყრილობისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ მოხსენებაში: „ცხადია, რომ რეკონსტრუქციის ეფექტიანობა. ეკონომიკური ზრდის ტემპი გადამწყვეტწილად დამოკიდებულია მანქანათმშენებლობაზე. სწორედ აქ ესხმება ხორცი ფუძემდებელ სამეცნიერო-ტექნიკურ იდეებს, იქმნება ახალი შრომის იარაღები, მანქანათა სისტემები, რომლებიც განსაზღვრავენ პროგ-

რესს სახალხო მეურნეობის სსხვა დარგებში. აქ ეყრება საფუძველი პრინციპულად ახალ რესურსდამზოგავ ტექნოლოგიებზე ფართო გავლას, შრომის ნაყოფიერების მატებასა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას¹. სკკპ პროგრამის ახალ რედაქციაში უახლესი მეცნიერებისა და ტექნიკის მატერიალიზაციაში საკვანძო როლი მინიჭებული აქვს მანქანათმშენებლობას.

მანქანათმშენებლობა ტექნიკის, წარმოების ინტენსიფიკაციისა და ეფექტიანობის, მტპ-ის დაჩქარების საფუძველია. მისი სწრაფი გარდაქმნა დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა. მით უმეტეს, რომ უკანასკნელ ათწლეულში მანქანათმშენებლობის ზრდის ტემპები და პროდუქციის განახლება დაქვეითდა. ამან გააძნელა მთელ რიგ დარგებში მოძველებული ძირითადი ფონდების შეცვლა და მოიძიოვა მანქანების, მოწყობილობისა და სატრანსპორტო საშუალებების იმპორტის მნიშვნელოვანი გადიდება. ამიტომ XXVII ყრილობამ ამოცანად დასახა მანქანათმშენებლობის განვითარებას მიენიჭოს პრიორიტეტული ხასიათი. ამ მიზნით მეთორმეტე ხუთწლეულში მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავების პროდუქციის გამომშვება გაიზრდება 43%-ით, უფრო მაღალი ტემპით განვითარდება ჩარხმშენებლობა, გამოთვლითი ტექნიკის წარმოება, ხელსაწყომშენებლობა, ელექტრონული და ელექტროტექნიკური მრეწველობა და სხვ. ამოცანად დასახულია 1991-1993 წწ. მთლიანად გადავიდეთ ისეთი მანქანების, ხელსაწყოებისა და აპარატების წარმოებაზე, ყველაზე მაღალ მსოფლიო მიღწევებს რომ უპასუხებს. 1987 წლის ივლისში სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გამართულ თათბირზე განიხილეს მანქანათმშენებლობის მოდერნიზაციის პროგრამა; ამ დარგში არის ძვრები, მაგრამ მოდერნიზაციის პროგრამა ისე არ სრულდება ყველგან, როგორც ამას დაჩქარების კურსი მოითხოვს. თათბირზე დაისახა მანქანათმშენებლობის კარდინალური წინსვლის პროგრამა.

ჩვენს რესპუბლიკაში მანქანათმშენებლობის მრეწველობა დინამიკურად ვითარდება. მაგრამ პროდუქციის განახლების მიღწეული დონე არ შეესაბამება თანამედროვე წარმოების მოთხოვნებს და მნიშვნელოვნად ჩამორჩება მეთორმეტე ხუთწლეულისათვის დასახულ

¹ სკკპ XXVII ყრილობის მასალები, გვ. 38.

მაჩვენებლებს, დიდია ათი წლის და უფრო მეტი ხნის წინ ათვისებული ნაწარმის წილი. 1987 წელს სამრეწველო პროდუქციის განახლების დონემ გათვალისწინებული 5,3%-ის ნაცვლად 4,9% შეადგინა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმზე ხაზი გაესვა იმ ფაქტს, რომ შედგენილია სამამულო მანქანათმშენებლობის მოდერნიზაციის პროგრამა. ამ მხრივ გაჩაღებულია მასშტაბური მუშაობა, რომელიც მიზნად ისახავს სერიოზული საბოლოო შედეგების მიღწევას. მაგრამ დამაფიქრებელია შექმნილი მდგომარეობა ჩარხმშენებლობის, ელექტროტექნიკური მრეწველობის, მსუბუქი და კვების მრეწველობის, მანქანათმშენებლობისა და საყოფაცხოვრებო ხელსაწყოთა სამინისტროებში. ზემოჩამოთვლილი სამინისტროებისა და საერთოდ მანქანათმშენებლობის სხვა დარგების საწარმოები განლაგებულია ჩვენს რესპუბლიკაშიც. ბოლო ხანებში მნიშვნელოვნად დაჩქარდა ამ დარგების საწარმოების რეკონსტრუქციისა და ტექნიკური განახლებისათვის გამოყოფილი სახსრების ათვისება. ბევრი გაკეთდა წარმოების ინტენსიფიკაციისათვის. განხორციელდა პროგრესული ტექნოლოგიების, საწარმოო ციკლების მექანიზაცია-ავტომატიზაციასთან დაკავშირებული ბევრი ღონისძიება. მაგალითად, 1987 წელს რესპუბლიკაში მანქანათმშენებლობის პროდუქციის წარმოებამ 4 პროცენტით მოიმატა. გაიზარდა პროგრესული მოწყობილობის, მათ შორის რიცხველ-პროგრამული მართვის ლითონსაჭრელი ჩარხების, გამომთვლელი და მმართველი ელექტრონული მანქანების კომპლექსების, სამეცნიერო კვლევისათვის საჭირო ხელსაწყოებისა და ავტომატიზაციის საშუალებების კომპლექსების გამოშვება. საწარმოებში დაინერგა ერთი მოქნილი საწარმოო სისტემა, ორი — საროტორო-საკონვეიერო ხაზი, ორი — რობოტიზებული ტექნოლოგიური კომპლექსი, 55—სამრეწველო რობოტი.

რესპუბლიკის მანქანათმშენებლობამ ნამდვილად რომ შეასრულოს მტპ-ის წამყვანი ბერკეტის როლი, ბევრი ნაკლოვანების აღმოფხვრა, ახალი მიჯნების დაპყრობაა საჭირო. მანქანათმშენებლები მოწოდებული არიან დაჩქარებული ტემპებით გაზარდონ ახალი თაობების ტექნიკის გამოშვება, რაც საშუალებას მოგვცემს რამდენჯერმე ავამაღლოთ შრომის ნაყოფიერება და მნიშვნელოვნად შევეამციროთ რესურსების ხარჯები. ისიც გასათვალისწინებელია,

რომ დღეს მანქანათმშენებლობაში გარდაქმნის აქტიურ რგოლადაა ქცეული პროდუქციის სახელმწიფო მიღება.

13. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი როგორ უწყობს ხელს შრომის ნაყოფიერების ამაღლებას?

შრომის ნაყოფიერება, როგორც ცნობილია, ეს არის ადამიანთა საწარმოო საქმიანობის პროდუქტიულობა. იგი განიზომება პროდუქციის რაოდენობით, რომელიც წარმოებულია მუშაკის მიერ მატერიალური წარმოების სფეროში სამუშაო დროის ერთეულში (საათი, ცვლა, წელი), ან დროის რაოდენობით, რომელიც დაიხარჯა ერთეული პროდუქციის წარმოებაზე.

შრომის ნაყოფიერების დონე და მისი ამაღლების ტემპი საწარმოო ძალების განვითარების, მათი ეფექტიანი გამოყენების ხარისხის უმნიშვნელოვანესი და ყველაზე განზოგადებული მაჩვენებელია. რაც მაღალია შრომის ნაყოფიერება, მით მეტ მატერიალურ სიკეთეს იღებს საზოგადოება მის წარმოებაზე იმავე დანახარჯებით, მით მეტია შესაძლებლობა ავამაღლოთ ხალხის კეთილდღეობა, განვავითაროთ მეცნიერება, კულტურა, ხელოვნება, შევამციროთ მუშაკის სამუშაო დრო, გავადიდოთ თავისუფალი დრო. ი. ე. ი. ლენინი წერდა: შრომის ნაყოფიერება, ეს, საბოლოო ანგარიშში, ყველაზე მნიშვნელოვანი, ყველაზე მთავარია ახალი საზოგადოებრივი წყობილების გამარჯვებისათვის.

შრომის ნაყოფიერების ზრდას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დღეს, როცა ვდგევართ საბჭოთა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ახალ, მაღალ ეტაპზე, როცა ვწყვეტთ სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებს, როცა პარტიამ ამოცანად დასახა შრომის ნაყოფიერების უმაღლეს მსოფლიო დონეზე გასვლა. ამისათვის დაგეგმილია მეთორმეტე ხუთწლედში შრომის ნაყოფიერების საშუალო წლიურმა მატებამ მიაღწიოს 4,2—4,5%-ს.

იმის გამო, რომ ჩვენს რესპუბლიკაში შრომის ნაყოფიერების დონე ჯერ კიდევ ჩამორჩება შესაბამის საშუალო საკავშირო მაჩვენებელს, ხოლო გამოუყენებელი რეზერვები საკმაოდაა, მიმდინარე ხუთწლედში გათვალისწინებულია უზრუნველყოფილ იქნეს მისი ზრდის წინგამსწრები ტემპი ისე, რომ უახლოეს დროში დაეძლიოთ ჩამორჩენა ამ დარგში, აგრეთვე ეროვნული შემოსავლის წარმოებაში ერთ სულ მოსახლეზე. ღდასახული ამოცანის გადაწყვეტის ძირითად გზას დღეს წარმოადგენს მტპ-ის დაჩქარება, უწი-

ნარეს ყოვლისა მძიმე ფიზიკური და ნაკლებკვალიფიციური ხელის შრომის მექანიზაცია და ავტომატიზაცია.

ამასთან, საჭიროა ვიცოდეთ, რომ სკკ XXVII ყრილობის მიერ დასახული ამოცანა შრომის ნაყოფიერების კარდინალური ამაღლების შესახებ მოითხოვს საზოგადოების საწარმოო ძალების ძირეულ გარდაქმნას. აქ გამოსავალია სახალხო მეურნეობის ღრმა რეკონსტრუქცია მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების ბაზაზე, სამეურნეო მექანიზმის, მართვის სისტემის კარდინალური გარდაქმნა, რაც სკკ ცენტრალური კომიტეტის იენისის პლენუმმა შეიმუშავა. ამასთან ყურადღების ცენტრი უნდა გადავიტანოთ საწარმოო ფონდების გაფართოებიდან მათ განახლებაზე, იმ დარგების დაჩქარებულ განვითარებაზე, რომლებიც განსაზღვრავენ მტპის განვითარებას. მიმდინარე ხუთწლედში წარმოების ტექნიკურ განახლებასა და რეკონსტრუქციაზე გამოყოფილია 230 მილიარდ მანეთზე მეტი კაპიტალური დაბანდება, რაც გაცილებით მეტია, ვიდრე გასულ ათ წელიწადში.

რეკონსტრუქციის ეფექტიანობა, ეკონომიკური ზრდის ტემპები გადამწყვეტადაა დამოკიდებული მანქანათმშენებლობაზე, რომელშიც მატერიალიზდება ძირითადი მეცნიერულ-ტექნიკური იდეები, იქმნება შრომის ახალი იარაღები, მანქანების სისტემა, რომლებიც განაპირობებენ პროგრესს სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში. ამ ხუთწლედში მანქანათმშენებლობას კაპიტალური დაბანდების საერთო მოცულობიდან გამოეყოფა 30 მილიარდი მანეთი მოქმედი საწარმოების ტექნიკური განახლებისა და რეკონსტრუქციისათვის. აქ იგულისხმება მანქანების, მოწყობილობის, ხელსაწყოების ტექნიკურ-ეკონომიკური დონის მკვეთრი ამაღლება. დიდი ყურადღება მიექცევა ჩვენი ეკონომიკის ელექტრონიზაციას, გამოთვლითი ტექნიკის გამოშვების გადიდებას. ეს საშუალებას მოგვცემს ავამაღლოთ მანქანებისა და მოწყობილობების ხვედრითი წონა, რომლებიც აღქურვილი იქნებიან მართვის ელექტრონული საშუალებებით, მათ შორის მიკროპროცესორებით. გამოშვებული მანქანებისა და მოწყობილობათა ტექნიკური დონის, ხარისხისა და კონკურენტუნარიანობის ძირეული ამაღლების შედეგად სახალხო მეურნეობაში მკვეთრად გაიზრდება შრომის ტექნიკური შეიარაღება და, მაშასადამე, მისი შრომის ნაყოფიერება.

აღსანიშნავია, რომ წარმოებისა და უწინარეს ყოვლისა მანქანათმშენებლობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გარდაქმნა და-

კავშირებულია პრინციპულად ახალი ტექნოლოგიის (ელექტრო-ეროზიულის, ელექტროსაიჯურის, ლაზერულის, პლაზმურის, ელექტროქიმიურის, ბიოლოგიურის, რადიაციულის და სხვ.) დანერგვასთან. პროგრესული საბაზო ტექნოლოგიების გამოყენება მეთორმეტე ხუთწლედში გაფართოვდება 1:5-2-ჯერ. ყველაფერმა ამან უნდა უზრუნველყოს ყველა სახეობის რესურსების, განსაკუთრებით შრომის ეკონომიკური გამოყენება, შექმნას ე. წ. უხალხო ტექნოლოგიაზე გადასვლის წინამძღვრები. მაგალითად, ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპი კლებულობს წინა ხუთწლედთან შედარებით, რაც იმაზე მეტყველებს, რომ სიახლეთა დანერგვა დღემდე არ არის სათანადო დონეზე დაყენებული.

ა უნდა აღვნიშნოთ, რომ შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპების დაჩქარებას შეიძლება მივალწიოთ და უნდა მივალწიოთ კიდევ ინტენსიფიკაციის ფაქტორების გააქტიურებით, რომელთა შორის უმნიშვნელოვანესია წარმოებაში ახალი ტექნიკური საშუალებებისა და ტექნოლოგიების დაჩქარებული დანერგვა, ეკონომიკის მართვის სისტემის სერიოზული გარდაქმნა, მსხვილი კომპლექსური პროგრამების განხორციელება, რომლებიც უზრუნველყოფენ ეფექტიანობის ამაღლებას, შრომითი, მატერიალურ-საწვდელულო და სათბობ-ენერგეტიკული რესურსების ეკონომიას, საწარმოო სიმძლავრეების სრულ დატვირთვას და სხვ. ყველაფერი ეს კი ხელს შეუწყობს შრომის ნაყოფიერების ამაღლებას. ა

14. ხელის მძიმე და ნაკლებკვალიფიციური შრომის შემცირების რა გზები არსებობს და როგორ უნდა გამოვიყენოთ ისინი?

ხელის მძიმე და ნაკლებკვალიფიციური შრომის შემცირების, ხოლო შემდეგ ლიკვიდაციის, წარმოების მძიმე და შრომატევადი პროცესების მექანიზაციის პრობლემა, ცხადია, ჯერ კიდევ არ არის გადაწყვეტილი სახალხო მეურნეობაში. ძალზე დიდია ხელის შრომით დასაქმებულ ადამიანთა რაოდენობა. ხელის და ნაკლებკვალიფიციური შრომის მუშაკთა მნიშვნელოვანი კონტინგენტის არსებობა წარმოადგენს წარმოების შემდგომი ზრდის არსებით შემაფერხებელს, ერთ-ერთ მთავარ მიზეზს, შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპზე რომ ახდენს გავლენას. მართალია, შრომითი პროცესების მექანიზაციის დონის ამაღლების შესაბამისად ამ პროცესების ხვედრითი წონა თანდათან ეცემა, მაგრამ მუშაობის მასშტაბების კოლო-

საღურ ზრდასთან დაკავშირებით საერთოდ შესამჩნევად იზრდება ხელის შრომით დასაქმებულ პირთა რაოდენობა. მსგავსი ტენდენცია დამახასიათებელია არა მარტო ჩვენი რესპუბლიკის, არამედ მთელი ქვეყნის ეკონომიკისათვის. ხელის შრომის ხვედრითი წონა მნიშვნელოვნად მალალია დამხმარე წარმოებებში. ვიდრე ძირითადში. ამჟამად მუშების ჩაბმა მძიმე ხელის შრომის პირობებში სამუშაოდ უმთავრესად ხდება შრომის მალალი ანაზღაურების სტიმულირების ხარჯზე, რაც უარყოფით გავლენას ახდენს ინჟინერთექნიკური პერსონალის მატერიალურ დაინტერესებაზე და საერთოდ მუშაკების კვალიფიკაციის ამაღლებაზე. ახალგაზრდების მიერ საშუალო, სპეციალური და უმაღლესი განათლების მიღებაზე.

მძიმე ხელის შრომის ლიკვიდაცია წარმოადგენს არა მარტო ეკონომიკურ, არამედ დიდ სოციალურ პრობლემასაც. 2000 წლამდე პერიოდისათვის დასახულია შემცირდეს იგი შრომის დანახარჯების წილში 15-20 პროცენტამდე. ამიტომ ამ წლებში დიდი ყურადღება მიექცევა საწარმოო პროცესების მექანიზაციას. ხელის შრომის გამოყენების არსებითი შემცირების მთავარი მიმართულებაა მტპ-ის დაჩქარება. წარმოების მექანიზაციასა და ავტომატიზაციაში კომპლექსურობის მიღწევა. სახალხო მეურნეობაში არსებობს პოტენციური შესაძლებლობები მექანიზება გავუკეთოთ 20-25 მილიონი კაცის შრომას. უკვე დამუშავებულია პროფესიების ჩამონათვალი, რომლებიც ექვემდებარებიან მექანიზებულ განრიგში პირველ რიგში გადაყვანას. ეს ჩამონათვალი მოიცავს დაახლოებით ხუთ მილიონ სამრეწველო მუშას.

ჩვენს ქვეყანაში არსებული მდგომარეობა შრომის ნაყოფიერების ზრდის დარგში რადიკალურად უნდა შეიცვალოს მანიპულიატორების — სამრეწველო რობოტების ფართოდ გამოყენებით, განსაკუთრებით, წარმოების იმ უბნებში. სადაც ჭერ კიდევ ფართოდ გამოიყენება ხელის, მძიმე ფიზიკური, ნაკლებკვალიფიციური და მონოტონური შრომა. სხვა დიდ უპირატესობებთან ერთად რობოტების თავისებურება ის არის, რომ ისინი ავად არ ხდებიან, საკმელს არ მოითხოვენ, შესვენებით არ სარგებლობენ. არ საჭიროებენ კვალიფიკაციის ამაღლებას და სხვ. ეს პერსპექტიული ტექნიკა თანდათანობით ინერგება ჩვენს რესპუბლიკაში. მაგალითად, თბილისის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ელვაში“ შრომის ნაყოფიერების მთელი ზეგეგმითი ზრდა გათვალისწინებულია რო-

ბოტებისა და რობოტტექნიკური კომპლექსების ავტომატიზებული ხაზების დანერგვით. 20 კაცს ცვლის ერთდროულად დმანისის რაიონის ვარდისუბნის საბჭოთა მეურნეობის მეცხოველეობის ფერმაში სამამულო წარმოების თანამედროვე უნიკალური საწველი აგრეგატი „უდს-ვა“.

მრეწველობის მუშაკთა მძიმე ფიზიკური შრომის წილი თანდათან მცირდება. მაგრამ იგი ჯერ კიდევ აღწევს 40 პროცენტს, ხოლო სოფლის მეურნეობასა და მშენებლობაში ბევრად მეტია. ასეთივე მდგომარეობაა შახტებში, სატყეო მრეწველობაში, კვების მრეწველობაში და სხვ.

ამგვარად, ჩვენი მშრომელი ადამიანის უნარის უფრო სრული რეალიზაციის აუცილებელი პირობაა ხელის ნაკლებკვალიფიციური და მძიმე ფიზიკური შრომის თანმიმდევრული ლიკვიდაცია. მიმდინარე ხუთწლედში მისი შემცირების მასშტაბები და ტემპები ორჯერ და მეტად გაიზრდება. მივცეთ ასპარეზი ნოვატორთა იდეებს, დაუყოვნებლივ შევასხათ ხორცი ამ იდეებს ახალ ტექნიკაში, ტექნოლოგიაში — ასეთია დღეს ამოცანა. უნდა ავამოქმედოთ ქვეყნის მთელი სამეცნიერო პოტენციალი — საქარხნო სექტორიდან დაწყებული სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიით დამთავრებული. მტკ-ის დაჩქარებას უზრუნველყოფს სსრ კავშირის კანონი სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ. იგი მეცნიერების საქარხნო სექტორის, საწარმოო და სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებებში შემავალი ინსტიტუტებისა და ორგანიზაციების განვითარებას უშუალოდ უკავშირებს მათი მუშაობის შედეგებს.

15. რა როლს ასრულებს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი მატერიალური და ბუნებრივი რესურსების, ნედლეულის, მასალეობის, სათბობისა და ენერჯის მომჭირნეობაში?

უზარმაზარია მატერიალური რესურსების მომჭირნეობის პოტენციური შესაძლებლობები, მრავალფეროვანია მათი რეალიზაციის გზებიც. ერთ-ერთი ეფექტიანი მეთოდია პროგრესული მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების რეალიზაცია, კერძოდ, მოპოვების გეოტექნოლოგიური მეთოდები. მათი არსია მაგარი სასარგებლო წიაღისეულის მოძრავ მდგომარეობაში გადაყვანა. მეთორმეტე ხუთწლედში მტკ-ის მნიშვნელოვანი მიმართულებაა მადნისა და კონცენტრატების გამოყენების კომპლექსურობის ამოღება.

წარმოების ინტენსიფიკაცია განაპირობებს ლითონის მომპირ-
ნეობის განსაკუთრებულ მნიშვნელობას. ლითონი ხომ მთავარი კონ-
სტრუქციული მასალაა, რომელიც პრაქტიკულად ყველგან გამოი-
ყენება. ლითონის მაღალი ხარისხის, მისი ყოველნაირი ეკონომიის
გზა გადის წარმოების ტექნიკურ რეკონსტრუქციაზე, მოწინავე ტექ-
ნოლოგიების დანერგვაზე. ჩვენს ქვეყანაში ფოლადს ადნობენ გა-
ცილებით მეტს, ვიდრე იაპონიაში, ხოლო ნაგლინს აწარმოებენ
პრაქტიკულად იმდენსავე, მიზეზი — ფოლადის გამოდნობის პროგ-
რესული. ხერხების სუსტად დანერგვა. მეთორმეტე ხუთწლედში
გათვალისწინებულია თვით პროდუქციის ხარისხის მკვეთრად გაუმ-
ჯობესება. ეს საშუალებას მოგვცემს დავზოგოთ ლითონი. მაგა-
ლითად, 1987 წელს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში დაი-
ზოგა 29 ათასი ტონა შავი ლითონის ნაგლინი, 61 ათასი ტონა ცე-
მენტი, 178 ათასი ტონა პირობითი საქვაბე საღუმელე სათბობი,
375 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერჯია. შესრულდა სათბობ-
ენერგეტიკული რესურსების მომპირნეობის დადგენილი დავალე-
ბები. მათზე სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებების მატების 50%-
ზე მეტი მომპირნეობის ხარჯზეა უზრუნველყოფილი.

როგორ ვიყენებთ ლითონის ნარჩენებს? აქ გადამწყვეტი სიტ-
ყვა ახალ ტექნოლოგიებს ეკუთვნის. ჩვენი მეტალურგია მთელი
რიგი წლების მანძილზე პირველ რიგში ორიენტაციას იღებდა პირ-
ველადი ლითონის წარმოებაზე, იმ დროს, როცა ნარჩენების გამო-
ყენებას ნაკლები მნიშვნელობა ეძლეოდა. გარკვეულ დრომდე ასე-
თი ტექნიკური პოლიტიკა ამართლებდა. მაგრამ ლითონის წარმო-
ების კვალობაზე იზრდებოდა მისი ფონდიც. ახლა იგი შეადგენს
დაახლოებით 1,8 მილიარდ ტონას. შესაბამისად გაიზარდა ლითონის
ნაწარმი. რომელმაც უკვე მოკამა თავისი დრო. ეს ამწვავებს მე-
ორადი მეტალურგიული ნედლეულის ეფექტიან გამოყენებას.

პროდუქციის მასალატევადობა შეიძლება შემცირდეს მრავალი
ფაქტორის ზეგავლენით. ეკონომიისათვის ბრძოლაში საჭიროა გა-
მოვიყენოთ კომპლექსური მიდგომა: პროდუქციის ერთეულის მა-
სალატევადობის შემცირება, საბოლოო პროდუქციის გამოშვების
გადიდება, დანაკარგების შემცირება საწარმოო პროცესში, მეო-
რადი რესურსების სრული გამოყენება. ამ მიზნის მისაღწევად უნ-
და განხორციელდეს უფრო სრულყოფილი ტექნიკისა და პროგ-
რესული ტექნოლოგიური პროცესების დანერგვა, წარმოებისა და
შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესება, შრომისა და ტექნოლოგი-

ური დისციპლინის დონის ამალგება, შრომითი კოლექტივების და-
ინტერესების გაძლიერება მატერიალური რესურსების მომჭირნე,
რაციონალური გამოყენებით.

ყურადსაღებია, რომ ნედლეულისა და მასალების ეკონომიის
ხარჯზე მიმდინარე ხუთწლედში მიღებული იქნება ეროვნული შე-
მოსავლის მატების 25 პროცენტი. მაგრამ სახალხო მეურნეობაში
პროდუქტებისა და ნედლეულის დანაკარგები ჯერ კიდევ დიდია.
მაგალითად, რკინიგზაზე გადატანისას იკარგება მილიონობით ტონა
ქვანახშირი. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დანაკარგი მო-
სავლის აღებისა და გადატანის დროს 20%-ს უდრის და სხვ.

სამშენებლო მასალების, სამშენებლო კონსტრუქციებისა და
დეტალების მრეწველობაში მუშავდება ენერგოდამზოგავი ტექნო-
ლოგიები, ცემენტის, შუშის, კირის, რკინა-ბეტონის თბური დამუ-
შავების ეკონომიკური მეთოდები. ხარჯების არსებით ეკონომიას
იძლევა ნაცრისა და წიღისაგან დამზადებული სამშენებლო მასა-
ლების გამოყენება.

ნედლეულისა და მასალების კომპლექსური გამოყენება, პრო-
დუქციის ენერგო და მასალატევადობის შემცირება. აი, დღევანდე-
ლი დღის პრობლემა. ამ პრობლემის გადაწყვეტა ძირითადად და-
მოკიდებულია ტექნიკურ პროგრესზე, როგორც ენერგომწარმოე-
ბელ, ისე ენერგომომხმარებელ დარგებში. ენერგომწარმოებლური
დარგებისათვის განსაკუთრებით აქტუალური მინერალური ნედ-
ლეულის კომპლექსური გამოყენება მძიმე მრეწველობის 90%-
ზე მეტი პროდუქციის წარმოების საფუძველია. დეფიციტური
ნედლეულისა და მასალების დიდი ეკონომია მიიღწევა მეორადი
გადამუშავების გაფართოებისა და უნარჩუნო ტექნოლოგიაზე გა-
დასვლის შედეგად.

ზშირად გვესმის: მეორადი რესურსები — წარმოებას. მასა-
ლატევადობის შემცირების ძირითად მიმართულებებს შორის მნიშ-
ვნელოვანი ადგილი უკავია მეორადი რესურსებისა და ნარჩენების
უფრო სრულად გამოყენების უზრუნველყოფას. მეორადი ნედლე-
ული არაფრით ჩამოუვარდება ძირითადს, თუ გამოყენებული იქნება
მისი შეკრებისა და გადამუშავების სათანადო ხერხი.

**16. რა ძირითადი მიმართულებები და თავისებურებები აქვს მც-
ნიერულ-ტექნიკურ პროგრესს სოფლის მეურნეობაში?**

სოფლად მტპ-ის საფუძველია დარგის მეცნიერულ-ტექნიკური

ბაზის განმტკიცების დაჩქარება, მისი ენერგოაღქურვილობის სწრაფი ზრდა. კერძოდ, მემცენარეობაში მტკ ხასიათდება სასოფლო-სამეურნეო კულტურების ახალი მაღალპროდუქტიული ჯიშების დანერგვით, მინერალური სასუქების ნომენკლატურების გაფართოებით, უფრო სრულყოფილი ძალისა და მუშა სასოფლო-სამეურნეო მანქანების გამოყენებით, პროგრესული ტექნოლოგიის, წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის და სტიმულირების ეფექტიანი ფორმების გამოყენებით. მეცხოველეობაში მტკ-ის უმნიშვნელოვანესი დამახასიათებელია წარმოების მექანიზაციის დონის ამაღლება, ქიმიური საკვები დანამატების მზარდი გამოყენება, ცხოველების ახალი მაღალპროდუქტიული ჯიშების გამოყვანა, სანაშენო მუშაობის სრულყოფა და სხვ.

ახლა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში მიმდინარეობს მტკ-ით გამოწვეული ახალი ეკონომიკური გარდაქმნები. მათგან უმთავრესია: აგრარულ-სამრეწველო გაერთიანებათა ფართო ქსელის შექმნა, მსხვილი მანქანური სისტემის დანერგვა, წარმოების კონცენტრაციის დონის ამაღლება, მართვის სტრუქტურის კარდინალური გარდაქმნა და სხვ. ყოველივე ამას, ცხადია, უნდა მოჰყვეს სასიკეთო შედეგები.

მაგრამ, როგორც გამოკვლევები გვიჩვენებს, ჯერჯერობით რესპუბლიკაში მტკ-ის დონე და ტემპი არ არის დამაკმაყოფილებელი, საგრძნობლად ჩამოვრჩებით როგორც საშუალო-საკავშირო, ისე ცალკეული მოკავშირე რესპუბლიკების მაჩვენებლებს. მაგალითად, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის საზოგადოებრივ წარმოებაში შრომის ტექნიკური შეიარაღება 9,0 ცხენის ძალას უდრის, მაშინ, როცა სსრ კავშირში იგი 29,7 ცხენის ძალას აღემატება, ე. ი. 3,3-ჯერ მეტია, შრომის ელექტროშეიარაღება შესაბამისად შეადგენს 833 და 3084 კილოვატსაათს. საერთოდ მექანიზაციის დონე რესპუბლიკის მიწათმოქმედებაში 60%-ს არ აღემატება. უფრო ნაკლებად არის გამოყენებული მექანიზაცია მეცხოველეობაში. მისი დონე მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ფერმებში არ აღემატება 30%-ს. მელორეობაში შესაბამისად — 22%-ს. საკავშირო მაჩვენებლები კი შესაბამისად 50-60%-ია. ხელით სრულდება ბალ-ვენახების მოვლის ბევრი სამუშაო. ძალზე დაბალია სამთო მიწათმოქმედების მექანიზაცია. თანამედროვე პროგრესს ჩამორჩება სოფლის მეურნეობის მექანიზაციის საშუალებების შექმნა და მათი ხარისხი. ცუდადაა ინტენსიური ტექნოლოგიის გამოყენების საქმე.

ყოველივე ეს კიდევ უფრო მტკიცედ მოითხოვს კარგად გავერ-
კვეთ სოფლად მტპ-ის მიმართულებებში, თავისებურებებში, არსე-
ბულ ნაკლოვანებებში და ვიზრუნოთ საქმის წინ წაწვევისათვის, ე. ი.
ტექნიკური პროგრესის რეალურად ხორცშესხმისათვის.

ამ მიმართულებებიდან ძირითადია წარმოების მექანიზაცია. ეს
არის ხელის შრომის მანქანურით, ნაკლებად სრულყოფილი მანქანე-
ბის უფრო სრულყოფილით, ცალკეული მანქანების — მათი სის-
ტემით შეცვლის სულ უფრო მზარდი პროცესი. ამასთან დაკავში-
რებით საჭიროა ვიცოდეთ, რომ სოფლის მეურნეობის ტექნიკური
განახლების პროგრამის განხორციელების შედეგად მეთორმეტე
ხუთწლედში ქვეყნის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები
მიიღებენ 1 900 ათას ტრაქტორს, 1 600 ათას სატვირთო ავტომო-
ბილს, 17 000 ტრაქტორის მისაბჟელს, არანაკლებ 43 მილი-
არდი მანეთის ღირებულების სასოფლო-სამეურნეო მანქანებსა და
მოწყობილობას, მათ შორის 17 მილიარდი მანეთისას მეცხოველეო-
ბისა და საკვებწარმოებისათვის.

ძალზე მნიშვნელოვანი მიმართულებაა წარმოების ქიმიზაცია.
ეს უწინარეს ყოვლისა არის მინერალური სასუქებისა და დაავა-
დებათა და სარეველებისაგან მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუა-
ლებების გამოყენება. თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვთ მათ მოსავ-
ლიანობის გადიდებისათვის, ჩანს ასეთი ციფრებიდან: სტანდარ-
ტული მინერალური სასუქების თითოეული ცენტნერი უზრუნველ-
ყოფს დამატებითი მოსავლის მიღებას: 1-2 ცენტნერ მარცვალს
ჰექტარზე; ჰერბიციდებით დამუშავებული ნათესების თითოეული
ჰექტარი იძლევა თავთავიანი კულტურების 2-2,5 ცენტნერს, 5-10—
სიმინდისას.

1987 წელს რესპუბლიკაში ინტენსიური ტექნოლოგიით დაი-
თესა საშემოდგომო ხორბალი, სამარცვლე სიმინდი, ლობიო, სოია,
ბოსტნეული, კარტოფილი და სხვ. ნათესებში მინერალური სასუ-
ქები, შხამქიმიკატები და ჰერბიციდები აგროწესების დაცვით შეი-
ტანეს. რესპუბლიკის ქიმიზაციის საპროექტო-საძიებო სადგურები
ინტენსიური ტექნოლოგიით ნათესი ფართობებისათვის ადგენენ მინ-
დვრის პასპორტებს და სასუქების გამოყენების რეკომენდაციას,
რომელიც საფუძვლად ედება ქიმიზაციის საშუალებათა მეცნიერულ
საფუძვლებზე გამოყენებას.

მნიშვნელოვანი სახალხო-სამეურნეო ეფექტიანობა აქვს მიწე-

ბის მედიორაციას, რაც საშუალებას იძლევა მივიღოთ სასოფლო-სამეურნეო კულტურების დიდი და მთავარი მოსავალი.

ძალზე ეფექტურია სელექციის განვითარება და მისი მიღწევების წარმოებაში დანერგვა. ჩვენი მეცნიერ-სელექციონერების წინაშე დიდი ამოცანები დგას ისეთი ჯიშების შესაქმნელად, რომლებსაც ექნებათ ძვირფასი ბიოლოგიური თავისებურებებისა და მეურნეობრივად სასარგებლო თვისებების მთელი კომპლექსი: მაღალმოსავლიანი, მალმწიფობადი, ყინვაგამძლე, გვალვის ამტანი და სხვ.

ტექნიკური პროგრესი სოფლის მეურნეობის მაღალ ეფექტიანობას მხოლოდ მაშინ უზრუნველყოფს, როცა მას აქვს კომპლექსური ხასიათი, ე. ი. თავს იჩენს არა მარტო წარმოების ახალ საშუალებებში, არამედ მათი გამოყენების ხერხებშიც. აქ გადამწყვეტი როლი ეკუთვნის სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროგრესულ ტექნოლოგიებს, რომლებშიც კომპლექსურად რეალიზდება მტკპ-ის მიღწევები. პროგრესულ ტექნოლოგიებს განეკუთვნება ინდუსტრიული და ინტენსიური ტექნოლოგიები. თუ ინდუსტრიული ტექნოლოგიები ძირითადად დაფუძნებულია მანქანების სისტემაზე ამა თუ იმ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების კომპლექსური მექანიზაციისათვის, ინტენსიურმა ტექნოლოგიამ უნდა უზრუნველყოს პროდუქციის მაქსიმუმის წარმოება მის ერთეულზე დანახარჯების ერთდროული შემცირების პირობებში. ინტენსიური ტექნოლოგიის ათვისებამ მარტო 1987 წელს საშუალება მისცა ქვეყანას დამატებით მიეღო 16 მილიონი ტონა მარცვალი, სხვა პროდუქციის მნიშვნელოვანი რაოდენობა.

აღსანიშნავია, რომ რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსში გასულ წელს ინტენსიური ტექნოლოგიებით მოიყვანეს საშემოდგომო ხორბლის 17%, სიმინდის — 37%, ლობიოს — 47% და მზესუმზირას — 77%. მოსავლიანობა ამ ფართობებზე მეტია, ვიდრე საშუალოდ რესპუბლიკაში: საშემოდგომო ხორბლისა — 38%-ით, ლობიოსი — 3%-ით და მზესუმზირასი — 9%-ით. მიმდინარე ხუთწლედის ორ წელიწადში ინტენსიური ტექნოლოგიებით დამუშავებული საშემოდგომო კულტურების ნათესები 4,4 ათასი ჰექტარით, ანუ 44%-ით გაიზარდა.

17. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი როგორ უწყობს ხელს პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას?

მტპ-ის დაჩქარება წარმოადგენს პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების გადამწყვეტ ფაქტორს. პრინციპულად ახალი ტექნიკისა და პროგრესული ტექნოლოგიის ათვისება საშუალებას იძლევა გამოვუშვათ უფრო მწარმოებლური, საიმედო და დიდხანს მოქმედი, მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანი მანქანები, ხელსაწყოები და მოწყობილობა, დღევანდელი მოთხოვნების შესაბამისი მასალები, სახალხო მოხმარების საქონელი, მოსახლეობის მაღალი მოთხოვნილებით რომ სარგებლობს.

ხშირად განასხვავებენ ტექნიკური დონის ცნებას და დამზადებული პროდუქციის ხარისხის ცნებას. ტექნიკური დონე ასახავს მანქანათმშენებლობის, ქიმიური მრეწველობის და ა. შ. პროდუქციის საფუძველში მოქცეული მეცნიერული იდეის სიახლის ხარისხს. ხარისხი ფართო გაგებით გულისხმობს ტექნიკის თანამედროვე მსოფლიო დონის შესაბამისობას. სწორედ ეს კრიტერიუმია გადამწყვეტი ნაწარმისათვის სახელმწიფო ხარისხის ნიშნის მინიჭებისას.

პროდუქციის ხარისხზე მტპ-ის ზემოქმედების რამდენიმე მიმართულებაა. პირველი — შრომის იარაღების სრულყოფა, ახალი, უფრო მწარმოებლური მანქანების, მოწყობილობის, ინსტრუმენტების შექმნა და დანერგვა; მეორე — ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფა; მესამე — შრომის საგნების. მათი ასორტიმენტის სრულყოფა, მასში ნედლეულისა და მასალების პროგრესული სახეობების გადიდება.

პროდუქციის ხარისხის არსებითი გაუმჯობესება შეუძლებელია მტპ-ის მნიშვნელოვანი დაჩქარების გარეშე. ჩამორჩენას რომელიმე დარგში არარაობამდე დაჰყავს მთელი ჩვენი მეცადინეობა პროდუქციის ხარისხისათვის.

პროდუქციის ტექნიკური დონის ფორმირება, მისი გასვლა მოწინავე მსოფლიო მიჯნებზე, უწინარეს ყოვლისა, დამოკიდებულია მეცნიერებზე, კონსტრუქტორებზე, გამომგონებლებზე, საცდელ-ექსპერიმენტული სამსახურების მუშაკებზე, ახალი ტექნიკის ნიმუშებს რომ ქმნიან, რომლებშიც მატერიალიზებულა ეფექტიანი მეცნიერულ-ტექნიკური მიიღწევები. არანაკლებ მნიშვნელოვანია ინჟინრების, ტექნოლოგების, ტექნიკოსების, ოსტატების, მუშების, სამეურნეო ხელმძღვანელების როლი, რომლებიც მოწოდებული არი-

ან მთლიანად შეასხან ხორცი პროგრესულ იდეებს წარმოებულ ტექნიკაში, მაქსიმალური უკუგებით გამოიყენონ თანამედროვე მოწყობილობის პოტენციალი მისი ექსპლოატაციის სფეროში.

პროდუქციისა და მომსახურების მაღალი სტაბილური და სამომხმარებლო თვისებების მიღწევა მოითხოვს მოწყობილობის გარკვეულ ტექნიკურ დონეს, საწყისი მასალების სათანადო ხარისხს, ყველა საჭირო შრომითი ოპერაციის შესრულებას. მაგრამ სასურველისაგან ჯერ კიდევ შორს ვართ. საკმარისია ითქვას, რომ გასულ წელს მრეწველობის ცალკეულმა გაერთიანებებმა და საწარმოებმა ვერ შეასრულეს ხარისხის უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის გამოშვების გეგმა. ამ წელს საბოლოოდ დაიწუნეს 440 ათასი მანეთის პროდუქცია. უარესი მდგომარეობაა სოფლის მეურნეობაში. შარშან სავაჭრო ქსელმა მიიღო არასტანდარტული და წუნდებული კარტოფილი — 24%, სტაფილო — 11%, ნიორი — 6%. აქ პრეტენზიები, ცხადია, მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესსაც უნდა წავეყენოთ.

18. როგორ ზემოქმედებს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება სოციალური სფეროს განვითარებაზე?

საწარმოო ძალების თვისებრივად ახალ დონეზე აყვანა მოითხოვს ჩქარა და მიზანსწრაფულად ვაწარმოოთ მეცნიერული, საპროექტო და საკონსტრუქტორო სამუშაოები პრინციპულად ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიების შესაქმნელად და ასათვისებლად; ამასთან საჭიროა გავაძლიეროთ მტკ-ის ორიენტაცია სოციალური ამოცანების გადაწყვეტაზე, მისი ადამიანის უნარისა და ცოდნის ჩამოყალიბებისა და უკეთ გამოყენების სამსახურში ჩაყენებაზე.

პარტია თავის სოციალურ პოლიტიკას განიხილავს როგორც მშრომელთა შრომითი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტიურობის ამაღლების, ახალი ადამიანის ჩამოყალიბების, სოციალისტური ცხოვრების წესის დამკვიდრების, საზოგადოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფის ქმედით საშუალებას, როგორც მისი პოლიტიკური და იდეოლოგიური სიმტკიცის მნიშვნელოვან ფაქტორს. ზრუნვა ადამიანზე, მის ყოველდღიურ საჭიროებებსა და მოთხოვნილებებზე სკკპ-ს ყოველდღიური ყურადღების ცენტრშია. სწორედ სოციალურ სფეროში ისხამს ხორცს ეკონომიკური საქმიანობის შედეგები. სკკპ XXVII ყრილობამ ამოცანად დასახა 2000 წლისათვის მოსახლეობის თითოეულ სულზე რეალური შემოსავალი გაიზარდოს 1,6—1,8-ჯერ, საბაზრო საქონელბრუნვა — 1,2-ჯერ, ექსპლოატა-

ციაში შევიდეს საცხოვრებელი სახლები 2 მილიარდი კუბური მეტრი საერთო ფართობით და სხვ. კონკრეტული პრაქტიკის ანალიზი ადასტურებს ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის ორგანულ ურთიერთკავშირს, გადაჯაჭვას.

ჩვენი ქვეყნის წინაშე მდგომი ამოცანების გადაწყვეტაში დიდი წვლილის შეტანა შეუძლია მტპ-ის დაჩქარებას, მეცნიერებისა და პრაქტიკის შემოქმედებითი თანამეგობრობის გაძლიერებას, მეცნიერული და საწარმოო კოლექტივების მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის მკვეთრ ამაღლებას.

თანამედროვე მტრ რთული სოციალური მოვლენა, ხანგრძლივი ისტორიული, დიალექტიკური პროცესია. მისი მიზნები, ფორმები, სტიმულები, მამოძრავებელი ძალები და ძირითადი ტენდენციები სხვადასხვანაირია კაპიტალიზმისა და სოციალიზმის დროს. შესაბამისად მას აქვს საწინააღმდეგო სოციალური შედეგები.

სოციალიზმი მტრ-ს აყენებს ადამიანის სამსახურში, იყენებს რა მის შესანიშნავ მიღწევებს პიროვნების გონივრული მოთხოვნილებებისა და ყოველმხრივ განვითარების უფრო სრული დაკმაყოფილებისათვის. მაგრამ სოციალიზმის დროს მეცნიერულ-ტექნიკური და სოციალური პროგრესის ობიექტურად არსებული ერთიანობა არ ნიშნავს, რომ მტრ-ის შემდგომი განვითარება აქ მოხდება სტიქიურად, თვითღინებით. პირიქით, მისი განვითარებისა და კომუნისტური საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის ჩამოყალიბების ლოგიკა გვკარნახობს სუბიექტური ფაქტორის როლის ზრდის საპირობას ამ პროცესებისადმი ხელმძღვანელობაში.

სოციალიზმი შეიმუშავებს მტრ-ის პროგრესის და მისი მიღწევების ამ წყობილების უპირატესობასთან შეერთების თავის გზებს, ფორმებსა და მეთოდებს, მაგალითად, მტპ-ის განვითარებისადმი კომპლექსური მიდგომა, ყველა მშრომელის ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული მომზადების დონის შემდგომი ამაღლების საკითხის გადაწყვეტა, მუშაკების მასობრივად ჩაბმა მტპ-ის ორბიტაში და სხვ.

მტპ-ის სოციალური არსია წარმოებაში ადამიანის ადგილისა და როლის შეცვლა. ავტომატიზაციის დანერგვა პრინციპში არა მარტო არ ამცირებს ამ როლს, არამედ, პირიქით, მკვეთრად ამაღლებს მას, რადგან, თავისუფლდება რა მექანიკური, ტექნიკური ფუნქციების შესრულებისაგან, ადამიანს საშუალება ეძლევა ხელი მოჰკიდოს უფრო შინაარსიან, შემოქმედებითს შრომას.

ახლა ჩვენი მნიშვნელოვანი ამოცანაა ავამოქმედოთ მტკ-ის სოციალური რეზერვები, რომლებიც ითვისდნენ ადამიანის ფაქტორის გააქტიურებას, სახავენ ღონისძიებებს ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების, განათლების სისტემის სრულყოფის, შრომის ინტელექტუალიზაციის სამსახურში. ჩვენ ყოველმხრივ უნდა ვუჩვენოთ, რომ სულ უფრო იზრდება მანქანათმშენებლობის წვლილი პარტიის სოციალური პოლიტიკის განხორციელებაში, რაც იმით გამოიხატება, რომ იქმნება სულ უფრო მეტი დიდგვებრიანი მოწყობილობა მსუბუქი და კვების მრეწველობისათვის, ვაჭრობის, მომსახურების სფეროსათვის. საწარმოები აფართოებენ საცხოვრებელი სახლების, სოციალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების მშენებლობას, აუმჯობესებენ სამედიცინო მომსახურებას.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მართვა

1. რას ნიშნავს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მართვა და როგორ შეიძლება მისი სრულყოფა?

დღეს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება სულ უფრო ხდება დამოკიდებული მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების ეფექტიან დანერგვაზე საზოგადოებრივ წარმოებაში. ამიტომაც არის, რომ მტპ-ის მართვას ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს და იგი წარმოადგენს სახალხო მეურნეობის მართვის საერთო სისტემის უმნიშვნელოვანეს შემადგენელ ნაწილს. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმზე, სკკპ ცენტრალურ კომიტეტში 1985 წლის ივნისში გამართულ თათბირზე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების საკითხებზე, პარტიის XXVII ყრილობის, ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმის დოკუმენტებში დასახულია ღონისძიებათა სისტემა მეცნიერებისა და ტექნიკის მართვის შემდგომი სრულყოფისათვის.

მტპ-ის მართვას ახასიათებს კომპლექსურობა და სისტემური მიდგომა. იგი წარმოადგენს ურთიერთდაკავშირებულ ციკლს, სისტემას „მეცნიერება-ტექნიკა-წარმოება“, ხოლო ამ ციკლის ელემენტები, როგორც მისი ძირითადი რგოლები, მტპ-ის სტადიებია. ამავე დროს სისტემა „მეცნიერება-ტექნიკა-წარმოება“ ვერ ამოწურავს მტპ-ის არსს, რადგან მისი მიღწევების რეალიზაცია ხდება არა მარტო მატერიალურ, არამედ არასაწარმოო სფეროშიც.

მტპ-ის სისტემური მიდგომა ითვალისწინებს მართვის ობიექტის ისეთ უმნიშვნელოვანეს თავისებურებებს, როგორც არის: მტპ-ის შინაგანი სტრუქტურის სირთულე, მრავალსტადიურობა, დროის დიდი ხანგრძლივობა, მტპ-ის მთელი ციკლისა და მისი ცალკეული ეტაპების განუსაზღვრელობის ელემენტები. ისიც აღსანიშნავია, რომ მტპ-ის მიღწევების პრაქტიკაში რეალიზაციისას ყოველთვის ძნელია მივალწიოთ მიმდინარე და პერსპექტიული ინტერესების ერთიანობას.

უნდა ვიცოდეთ, რომ მეცნიერებისა და ტექნიკის, ისე როგორც სახალხო მეურნეობის, გახვითარება ხორციელდება საზოგადოების

ინტერესებისათვის, და იგი ჩვენს ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. და ამიტომაც მტპ-ის მართვა სახალხო მეურნეობის მართვის ერთიანი სისტემის შემადგენელია, რომლის ორგანული ერთიანობის საფუძველსაც მართვის პრინციპებისა და მეთოდების, მათი მიზნების ერთიანობა წარმოადგენს.

ჩვენს ქვეყანაში ტექნიკური პროგრესის მართვა მთელი სახალხო მეურნეობის მასშტაბით ხორციელდება, რომლის საერთო ხელმძღვანელობას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ახორციელებს. რაც შეეხება მტპ-ის დარგში ქვეყნის ერთიან სახელმწიფო პოლიტიკას, მას ახორციელებს სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტი სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, სსრ კავშირის „სახმშენთან“, სსრ კავშირის „სახსტანდარტთან“ და სსრ კავშირის გამომგონებლობის სახელმწიფო კომიტეტთან ერთად.

განაწილებულია ფუნქციებიც: სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი გეგმავს მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა გამოყენებას სახალხო მეურნეობაში, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემია კოორდინაციას უწევს ფუნდამენტურ გამოკვლევებს ქვეყნის მასშტაბით, ხოლო სახალხო მეურნეობის დარგებში მეცნიერულ-ტექნიკურ პოლიტიკას სათანადო დარგობრივი სამინისტროები და უწყებები ახორციელებენ. მართვის დარგობრივი სისტემა მოიცავს აგრეთვე დარგთაშორის პრობლემებსაც. მათ კი ასრულებენ სხვადასხვა დაქვემდებარების დარგობრივი ორგანიზაციები.

მართვის სისტემაში დიდი მნიშვნელობა აქვს ისეთი საკითხების გადაწყვეტას, როგორიც არის ორგანიზაციული სტრუქტურის სწორად შერჩევა, მტპ-ის მართვის სამართლებრივი და მეთოდური უზრუნველყოფის განმტკიცება, მტპ-ის მართვის საინფორმაციო და ტექნიკური უზრუნველყოფა, მართვის საკადრო და მეცნიერული უზრუნველყოფის გაუმჯობესება.

მტპ-ის საერთო-სახელმწიფო მართვის დიდი მნიშვნელობა ის არის, რომ იგი საშუალებას იძლევა სამეცნიერო ძალებს, მატერიალურ და საფინანსო რესურსებს კონცენტრაცია გაუვკეთოთ უმნიშვნელოვანეს სახალხო-სამეურნეო ამოცანების გადასაწყვეტად.

ჩვენს რესპუბლიკაში შექმნილია მტპ-ის მართვის გარკვეული სისტემა, რომლის უმაღლესი რგოლია საქართველოს კომპარტიის

ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მტპ-ისა და პროდუქციის ხარისხის რესპუბლიკური საკოორდინაციო საბჭო. მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა, საგეგმო კომიტეტმა და სსრ კავშირის სახსტანდარტის საქართველოს რესპუბლიკურმა სამმართველომ შეიმუშავეს სამი უმნიშვნელოვანესი კომპლექსური პროგრამა 1986—1990 წლებისათვის. მნიშვნელოვანი ამოცანებია დასახული ერთ-ერთ პროგრამაში „საქართველო: მეცნიერება-ტექნიკა-ხარისხი —90“. მისი მთავარი თავისებურებაა კომპლექსურობა. იგი შეიცავს ღონისძიებებს რესპუბლიკის მთელი ეკონომიკის გარდაქმნისათვის მტპ-ის ყოველნაირი დაჩქარების საფუძველზე და პირველ რიგში მიმართულია სამრეწველო წარმოების ეფექტიანობის ამაღლებაზე. მის ზუსტ რეალიზაციაზე დამოკიდებულია ბევრი მნიშვნელოვანი პრობლემის გადაწყვეტა: მუშების რაოდენობის შემცირება, რომლებიც დაკავებული არიან ხელის შრომით და დამხმარე ოპერაციებზე, ეკონომიის რეჟიმის გაძლიერება, ნაწარმის მასალატევადობისა და მისი თვითღირებულების შემცირება და სხვ. პროგრამაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა პროდუქციის ხარისხის ძირეულ გაუმჯობესებას, კონკურენტუნარიანობას, საიმედოობის ამაღლებას და სხვ.

2. რა მოთხოვნებს უყენებენ პარტია და საბჭოთა მთავრობა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მართვას?

მტპ-ის დაჩქარებას პარტია განიხილავს როგორც ქვეყნის ეკონომიკური სტრატეგიის მთავარ მიმართულებას, სახალხო მეურნეობის ინტენსიფიკაციის ძირითად ბერკეტს. ამიტომაც არის, რომ დღეს დროის მოთხოვნად იქცა მეცნიერების შემობრუნება წარმოების საკირობებებისაკენ, ხოლო წარმოებისა — მეცნიერებისაკენ. ეს ნიშნავს, განვამტკიცოთ ყველა რგოლი, მეცნიერებას, ტექნიკასა და წარმოებას რომ აერთიანებს, რათა სწრაფად გავუკეთოთ რეალიზაცია პრაქტიკაში ყველაფერს ახალს, მოწინავეს. ახლა, როგორც არასდროს, აქტუალურია ვ. ი. ლენინის სიტყვები: კომუნისში რომ ვაშენოთ, ხელი უნდა ჩავკიდოთ მეცნიერებასაც, ტექნიკასაც და გავუშვათ მოქმედებაში.

პარტია, საბჭოთა მთავრობამ, გაითვალისწინეს რა შექმნილი მდგომარეობა, მტპ-ის დაჩქარების აქტუალური საკითხები ფართოდ და მკაცრად განიხილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმზე, ცენტრალური კომიტეტის ივნისის თათბირზე.

როგორც პლენუმზე, ისე თათბირზე სიძნელეთა შექმნის მთავარ მიზეზად მიჩნეულია ის, რომ დროზე ვერ გამოიჩინეს სიმტკიცე სტრუქტურული პოლიტიკის, მართვის ფორმებისა და მეთოდების, თვით სამეურნეო საქმიანობის ფსიქოლოგიის გარდაქმნაში, და დაი-სახა კონკრეტული ღონისძიებები შექმნილი სიძნელეების დაძლე-ვისათვის, ტექნიკური პროგრესის შემდგომი დაჩქარებისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმზე სახალხო მეურნეობის ინტენსიფიკაციის, დაგროვილი პოტენციალის უკეთ გამოყენების მთავარ სტრატეგიულ ბერკეტად მიიჩნიეს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განვითარება, რომელმაც უნდა უზრუნველ-ყოს ქვეყნის გასვლა მოწინავე მიჯნებზე შრომის ნაყოფიერებასა და ეკონომიკის ეფექტიანობაში. მტპ-ის დაჩქარებული განვითარე-ბისათვის აქცენტი გადატანილია ფუნდამენტურ მეცნიერებაზე. დი-დი მოთხოვნები წაუყენეს დარგობრივ მეცნიერებას. ქვეყნის სო-ციალურ-ეკონომიკური განვითარების ტემპების დაჩქარები-სათვის აუცილებელ პირობად მიიჩნიეს ყველა საწარმოს, დარ-გის, მთელი სახალხო მეურნეობის ორიენტაცია განვითარების ინ-ტენსიურ გზაზე, მათი მკვეთრი შემობრუნება ეკონომიკის ინტენსი-ფიკაციაზე. საჭიროა ჩატარდეს საწარმოო ფონდების საყოველ-თაო ატესტაცია, და ამის საფუძველზე შედგეს თითოეული დარ-გის რეკონსტრუქციის პროგრამა. აუცილებელია გაიზარდოს კაპი-ტალურ დაბანდებათა ეფექტიანობა. დიდი ყურადღება დაეთმოს ჩვენს ზელთ არსებული რესურსების ყაირათიან გამოყენებას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმისა და ივნისის თათბირის შემდეგ სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დიდმნიშვნელოვანი დადგენილებანი მტპ-ის დაჩქარებაში სახალხო მეურნეობის ყველა რგოლის დაინტერესებასთან, მეურნეობრიობის ახალი მეთოდების ფართოდ გავრცელებასთან დაკავშირებით. საეტაპო მნიშვნელობა აქვს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებას „მეურნეობრიობის ახალი მეთოდების ფარ-თოდ გავრცელებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაზე მათი ზემოქმედების გაძლიერების შესახებ“.

პარტიის XXVII ყრილობამ მტპ-ის წინაშე თვისებრივად ახა-ლი ამოცანები დასახა, დასახა იმიტომ, რომ უფრო სრულად და ეფექტიანად იქნეს გამოყენებული სოციალიზმის უპირატესობა და შესაძლებლობები. ყრილობა ორიენტაციას იძლევა არა უბრალოდ

მოქმედი ტექნოლოგიების სრულყოფასა და მანქანებისა და მოწყობილობის ნაწილობრივ მოდერნიზაციაზე, არამედ ძირითადი ფონდების კარდინალურ და სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ტექნიკურ განახლებაზე, პრინციპულად ახალ ტექნოლოგიურ სისტემებზე, უკანასკნელი თაობის ტექნიკაზე გადასვლაზე, უმაღლეს ეფექტიანობას რომ იძლევა. მტპ-ის დაჩქარების გზაზე მთავარია რესურსების კონცენტრაცია მეცნიერებისა და ტექნიკის მთავარ მიმართულებებზე, დიდი გამოგონებების ფართომასშტაბური და სწრაფი დანერგვა, ციკლის „მეცნიერება—ტექნიკა—წარმოება“ შემცირება, მანქანათმშენებლობის განვითარების ტემპების ამაღლება და მისი პროდუქციის განახლება, უახლესი ტექნიკისა და პროგრესული ტექნოლოგიების დამუშავება და ათვისება, მშრომელთა ტექნიკური შემოქმედების განვითარება. მტპ-ის საფუძველზე უნდა მოხდეს ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნა, დარგების წინგამსწრები ზრდა, რომლებიც განსაზღვრავენ მტპ-ს, უზრუნველყოფენ სწრაფ ეკონომიკურ უკუგებასა და გადაუქრელი სოციალური ამოცანების გადაწყვეტას.

მტპ-ის დაჩქარების აქტუალურ საკითხებზე ფართო მსჯელობა გაიმართა საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობაზე. ამ საკითხებს სისტემატურად განიხილავს და კონკრეტულ ღონისძიებებს სახავს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მტპ-ისა და ხარისხის საკოორდინაციო საბჭო, რომელსაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. ი. პატიაშვილი ხელმძღვანელობს.

მტპ-ის განვითარების დაჩქარებას დიდი ყურადღება დაეთმო სკკპ ცენტრალური კომიტეტის იენისის (1987 წ.) პლენუმზე, ამ საკითხზე ამავე წლის ივლისში სკკპ ცენტრალურ კომიტეტში ჩატარებულ თათბირზე.

მეცნიერების, ტექნიკისა და წარმოების განვითარებაში, მათ ინტეგრაციაში მნიშვნელოვან მოვლენად უნდა ჩაითვალოს სსრ კავშირის სამეცნიერო და საინჟინრო საზოგადოებათა კავშირის შექმნა, რომელიც დაამტკიცა სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა VII საკავშირო ყრილობამ, 1988 წლის თებერვალში რომ გაიმართა მოსკოვში. საზოგადოებათა მოვალეობაა თავისი მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს მტპ-ის დაჩქარებულ განვითარებაში. საზოგადოებათა კავშირი შესაძლებლობას მოგვცემს გავზარდოთ სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების როლი და საზოგადოებრივი მნიშვნე-

ლობა, გავაერთიანოთ საზოგადოებათა მეცადინეობა თვითმმართველობისა და თვითდაფინანსების პრინციპებზე, დავძლიოთ უწყებრივი დაქსაქსულობა, უზრუნველვყოთ ბუნებისმეტყველების, ტექნიკის, საზოგადოებრივ მეცნიერებათა წარმომადგენლებისა და წარმოების სპეციალისტთა ძალების შემდგომი კონსოლიდაცია.

გარდაქმნა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი განუყოფელი რომ არის, და ამ კუთხით უნდა ვხედავდეთ და ვმსჯელობდეთ სწორედ მტპ-ის დაჩქარების საკითხებზე, ეს ერთხელ კიდევ ნათლად გამოიკვეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისებში XIX საკავშირო პარტიული კონფერენციისათვის, თვით კონფერენციის გადაწყვეტილებებში. დღეს უკვე მტპ-ის მიღწევები ორგანულად უკავშირდება ავანგარდული ტექნოლოგიების—ხელსაწყოთმშენებლობის, მიკროელექტროტექნიკის, რობოტტექნიკის, ინფორმატიკის, ბიოტექნოლოგიის განვითარებას, წინასწარ გათვალისწინებული თვისებების მატარებელი მასალების შექმნას და ა. შ. მტპ-ის დარგში ბოლო პერიოდში დაისახა კიდევ პოზიტიური ცვლილებები. გაიზარდა მომთხოვნელობა პროდუქციის ტექნიკური დონისადმი, შემცირდა ახალ პროგრესულ ნაკეთობათა ათვისების ვადები, უფრო მოქნილი გახდა მეცნიერულ-ტექნიკური ორგანიზაციების ქსელი, გაჩნდა პრინციპულად ახალი სტრუქტურული ფორმირებანი — დარგთაშორისი სამეცნიერო-ტექნიკური კომპლექსები, საინჟინრო ცენტრები და სხვ.

მაგრამ ცხოვრება მოითხოვს უფრო გადამწყვეტ ღონისძიებებს ტექნიკური პროგრესის მართვის სრულყოფაში, უწყებრივი ბარიერების დაძლევაში. ერთ-ერთი ახალი ორგანიზაციული ფორმაა დარგთაშორისი გაერთიანებანი, რომლებიც გამოყვანილია შესაბამის სამინისტროთა უშუალო დაქვემდებარებიდან. ამის შედეგად იქმნება შესაძლებლობანიც ურთიერთდაკავშირებულად განხორციელდეს ციკლი: სამეცნიერო გამოკვლევები — ტექნიკა და ტექნოლოგია — ინვესტიციები — წარმოება — გასაღება — მომსახურება. ეს შრომითს კოლექტივებს საშუალებას მისცემს უფრო სწრაფად განაახლონ მოწყობილობა და ტექნოლოგია.

3. რა გავლენას ახდენს მართვის ახალი სისტემის მექანიზმი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაზე?

მტპ-ის მრავალსაბექტიანი დახასიათებიდან შეიძლება გამოვყოთ მისი ორი ნიშანი, რომლებიც მხედველობაში უნდა მიიღონ მისი სტიმულირების სამეურნეოანგარიშიანი ფორმების ანალიზის

დროს. ეს, უწინარეს ყოვლისა ის არის, რომ მტკ ეკონომიკის განვითარების ინტენსიური ტიპის პირობებში წარმოადგენს თვითწარმოების სისტემის ორგანულ ნაწილს, ხოლო მისი შედეგები აყალიბებს საწარმოს პროდუქტის დახასიათებას. გარდა ამისა, მტკ-ის ყველა უპირატესობა ვლინდება ციკლის — „მეცნიერება — ტექნიკა — წარმოება“ ყველა სტადიის მხოლოდ ორგანულ კავშირში. ამ სტადიების ეფექტიან ურთიერთკავშირზეა დამოკიდებული მტკ-ის საბოლოო შედეგიანობა.

ამჟამად არსებობს ტექნიკური პროგრესის ძირითადი მიმართულებების სამეურნეოანგარიშიანი სტიმულირებისა და მართვის განცალკევებული სისტემა. იგი ჩამოყალიბდა ისტორიულად წარმოების განვითარების ექსტენსიური ტიპის პირობებში, რომელიც ძირითადად მიმართული იყო რაოდენობრივი გეგმიური მაჩვენებლების შესრულებაზე.

მართვისა და სამეურნეო საქმიანობის ახალი მეთოდების ზეგავლენა მტკ-ის დაჩქარებაზე სულ უფრო მეტად გამოიხატება ფასების სისტემაში. ამ მხრივ ტექნიკის სრულყოფის დაჩქარებასა და მალაზხარისხიანი პროდუქციის გამოშვების გაფართოებაზე ფასების ზემოქმედების გაძლიერების მიზნით დადგინდა, რომ საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციაზე (რომელიც მისი ეკონომიკური ეფექტიანობის მიხედვით მიეკუთვნება ხარისხის უმაღლეს კატეგორიას) გამოყენებულ იქნეს 30%-ის რაოდენობის დანამატი საბითუმო ფასზე. აღნიშნული დანამატი შენარჩუნებული იქნება, თუ ამ პროდუქციას შემდგომი ატესტაციის დროს მიენიჭება ხარისხის უმაღლესი კატეგორია.

ატესტაციისას ხარისხის პირველ კატეგორიაზე მიკუთვნებული საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციაზე გამოიყენება საბითუმო ფასიდან ფასდაკლება პირველ წელს — 5%-ის რაოდენობით, მეორე წელს — 10%, მესამე წელს — 15%. თუ მეორე ატესტაციის დროს ეს პროდუქცია არ დაიმსახურებს ხარისხის უმაღლეს კატეგორიას, იგი უნდა მოიხსნას წარმოებიდან.

საბითუმო ფასებიდან ფასდაკლების თანხას საწარმოო გაერთიანებები (საწარმოები) გადარიცხავენ დამამზადებლების შესაბამისი ბიუჯეტის შემოსავლებში საწარმოო გაერთიანების (საწარმოს) დაქვემდებარების მიხედვით, ხოლო პროდუქცია იგეგმება და სალდება იმ ფასებით, რომლებზეც არ არის გამოყენებული ფასდაკლება. დადგენილია, რომ ფასდაკლება თანხის 70%-მდე რაოდენობის სახ-

სრები ანაზღაურდება მატერიალური წახალისების ფონდის ანგარიშზე. დანამატებისა და ფასდაკლების გამოყენების წესი გათვალისწინებულია დადგენილებით, რომელიც შემოღებულია 1986 წლიდან პროდუქციის ატესტაციისათვის.

დადგინდა სავალუტო ანარიცხების გამოყენების წესი პროდუქციის ხარისხისათვის ექსპორტზე, აგრეთვე აიკრძალა სავალუტო ანარიცხების ამოღება, რომლებიც მიღებულია საწარმოო გაერთიანებების (საწარმოების) მიერ პროდუქციის საექსპორტოდ მიწოდების შედეგად.

4. წარმოების ინტენსიფიკაციისათვის რა მნიშვნელობა აქვს ადამიანის ფაქტორის გააქტიურებას, კადრების ზოგადსაგანმანათლებლო და კვალიფიციური მომზადების დონის ამაღლებას?

ინტენსიფიკაციის სოციალურ რეზერვებს შორის უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია ადამიანის ფაქტორის გააქტიურებას. სწორედ ადამიანი წარმოადგენს საზოგადოების მთავარ საწარმოო ძალას. ადამიანები შეიცნობენ სამყაროს განვითარების ობიექტურ კანონებს და მათი პრაქტიკული გამოყენების ხერხებს, ქმნიან მანქანებს და იყენებენ მათ, შრომითი საქმიანობის პროცესში კი გარდაქმნიან საკუთარ თავსაც.

სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების პარტიის მიერ შემუშავებული კურსის რეალიზება ინტენსიფიკაციის ბაზაზე შეუძლებელია ადამიანის ფაქტორის გააქტიურების, თვით ადამიანის გარდაქმნის, მისი ცოდნისა და საწარმოო ჩვევების ახალი სისტემით შეიარაღების, შრომისადმი შემოქმედებითი ინტერესის ამაღლებისა და შრომის დისციპლინის განმტკიცების გარეშე.

მეცნიერებაში, ტექნიკაში, წარმოების ორგანიზაციაში მეცნიერული გადატრიალება მოითხოვს თვისებრივ ცვლილებებს ჩამოყალიბებულ განათლების სისტემაში, ცოდნათა იმ ჯამში, რომლებსაც ფლობს წარმოების მუშაკი, ცოდნისა და ჩვევების უწყვეტ შევსებასა და განახლებას.

უწყვეტი განათლების სისტემის შექმნას ბევრი მნიშვნელოვანი დამახასიათებელი ნიშანი აქვს. ჯერ ერთი, იგი მოიცავს ადამიანის ცხოვრებისა და შრომითი საქმიანობის ყველა ეტაპს — სკოლამდელი განათლებიდან უმაღლესი სასწავლებლის დამთავრებამდე. უწყვეტი განათლება მოიცავს მის ყველა ფორმასა და საფეხურს, აერთიანებს მათ ერთიან, შინაგანად შეთანხმებულ სისტემაში.

რადიკალურ ცვლილებებს, ინტენსიფიკაციას საჭიროებს სწავლების მეთოდები. ისინი გამოიხეილი უნდა იყოს არა ისეთი მონაცემების მექანიკურ დამახსოვრებაზე, რომლებიც სწრაფად ძველდებიან. არამედ ადამიანის შემოქმედებითი უნარის განვითარებაზე. დიდი მნიშვნელობა აქვს სწავლების შრომის ნაყოფიერებასთან, მეცნიერულ და ტექნიკურ შემოქმედებასთან, პოლიტექნიზაციასთან შეერთების პროცესს მის ყველა რგოლში. თვისებრივი ცვლილებები ხდება განათლების სისტემის ორგანიზაციაში. ყველაზე დამახასიათებელი ნიშანია სწავლების პროცესის ინტეგრაცია წარმოებასთან, მეცნიერებასთან.

დიდი მნიშვნელობა აქვს შრომის პირობების შეცვლასა და განათლებისა და კვალიფიკაციის დონის ამაღლებას. წარმოებაში ადამიანის ფაქტორის გააქტიურების ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა მშრომელთა ზოგადსაგანმანათლებლო და კვალიფიციური მომზადების დონის ამაღლება. ნაკლებკვალიფიციური და მძიმე ფიზიკური შრომის შემცირებისა და ლიკვიდაციის მთავარი გადამწყვეტი გზაა წარმოების კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზაცია.

ყოველივე ეს — ადამიანის ფაქტორის გააქტიურება, განათლების, კვალიფიკაციის ამაღლების სისტემის სრულყოფა, ცხადია, გადამწყვეტად განაპირობებს წარმოების ინტენსიფიკაციის ამაღლებას. მტკ-ის დაჩქარებას.

ნ. მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესში რა როლს ასრულებს სასწავლო პროცესის კომპიუტერიზაცია?

ახლა ჩვენი ქვეყნის წინაშე ამოცანად დგას მომზადდეს საბჭოთა ადამიანების ახალგაზრდა თაობა სახალხო მეურნეობის ელექტრონიზაციის პრობლემების გადაჭრისათვის. ამისათვის საჭიროა შემუშავდეს და განხორციელდეს ღონისძიებები, რათა შემოკლდეს სასწავლო გამოთვლითი ტექნიკის კომპლექტებით ქვეყნის ყველა საშუალო სასწავლებლის აღჭურვის ვადები, მნიშვნელოვნად შემცირდეს მათი დამზადების შრომატევადობა და ღირებულება, უზრუნველყოფილ იქნეს ამ ტექნიკისა და პროგრამული საშუალებების კომპლექტური მიწოდება, აგრეთვე ახალი სკოლების, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლებისა და ტექნიკუმების დაპროექტება გამოთვლითი ტექნიკის საშუალებებით მათი აღჭურვის გათვალისწინებით. დასახულია ამოცანა კიდევ უფრო განვითარდეს ქვეყნის ყველა რეგიონში ინფორმაციულ-გამოთვლითი მომსახურება, რათა

შოსახლეობის ფართო ფენებს შეეძლოთ გამოიყენონ პერსონალური ელექტრონულ-გამოთვლითი მანქანები ყოფაცხოვრებასა და პროფესიულ საქმიანობაში.

სულ მეთორმეტე ხუთწლედში მრეწველობა განათლების სფეროს მიაწვდის ნახევარ მილიონზე მეტ ელექტრონულ-გამოთვლით მანქანებს. მომზადდა და მასობრივი ტირაჟით გამოიცა „ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლების“ კურსი, საჭირო სამეცნიერო-მეთოდოლოგიური მასალები. დაწყებულია გამოკვლევები, რომლებიც დაკავშირებულია სკოლებში, ტექნიკუმებსა და პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში მთელი რიგი ზოგადსაგანმანათლებლო და სპეციალური დისციპლინების სწავლებისათვის განკუთვნილი კომპიუტერების გამოყენებასთან. ჩვენს ქვეყანაში უკვე დამზადდა საბჭოური სასწავლო-გამოთვლითი ტექნიკის კომპლექტების ნიმუშები, რომლებითაც დაიწყო საშუალო სასწავლებლების აღჭურვა, შეისწავლება გამოთვლითი ტექნიკის საშუალებათა გამოყენებით სწავლების მეთოდოლოგიისა და პედაგოგიური პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავების მდგომარეობა.

1987 წლის ოქტომბერში სკკბ ცენტრალურ კომიტეტში განიხილეს ზოგიერთი საკითხი, რომლებიც დაკავშირებულია „საშუალო სასწავლებლების მოსწავლეთა კომპიუტერული ცოდნის უზრუნველყოფისა და სასწავლო პროცესში ელექტრონულ-გამოთვლითი ტექნიკის ფართოდ დანერგვის ღონისძიებათა შესახებ“ სკკბ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების რეალიზაციასთან, აგრეთვე სასკოლო პერსონალური ელექტრონულ-გამოთვლითი მანქანების შექმნასა და მასობრივი წარმოების ორგანიზაციაში საქმის ვითარებასთან.

6. რას წარმოადგენს ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის კომპლექსური პროგრამა?

სოციალისტური ეკონომიკური ინტეგრაციის თანამედროვე ეტაპი ხასიათდება მეცნიერულ-ტექნიკური კავშირების გაფართოებითა და გაღრმავებით ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს (შემდგომში ეუს) წევრ ქვეყნებს შორის. მთელი სოციალისტური თანამეგობრობის ცხოვრების უდიდესი მოვლენა გახდა 1985 წელს მოსკოვში შემდგარი ეუს წევრი ქვეყნების საბჭოს სესიის 41-ე რიგგარეშე სხდომა, რომელზეც მიღებულ იქნა მნიშვნელოვანი საერ-

თაშორისო დოკუმენტი — ეუს წევრი ქვეყნების მტპ-ის კომპლექსური პროგრამა 2000 წლამდე, რომელიც დამუშავებული იყო ეუს წევრი ქვეყნების ეკონომიკური თათბირის გადაწყვეტილებით უმაღლეს დონეზე. პროგრამა-დოკუმენტი ისტორიული მნიშვნელობისაა. მისი რეალიზაცია მოწოდებულია უდიდესი წვლილი შეიტანოს მოძმე ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში, შეკავშირებასა და დარაზმულობაში. ეუს წევრმა ქვეყნებმა, შეუდგნენ რა კომპლექსური პროგრამის რეალიზაციას, უკვე მნიშვნელოვანი გამოცდილება დააგროვეს ერთობლივი მუშაობის ჩატარებაში თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის ყველაზე რთული მიმართულებებით. პროგრამით, რომელსაც კომპლექსური ხასიათი აქვს, განსაზღვრულია ეუს წევრი ქვეყნების ძალებისა და საშუალებების კონცენტრაცია იმ მთავარ უბნებზე, რომელთა დაჩქარებული განვითარება წარმოადგენს განმსაზღვრელ ფაქტორს ამ ქვეყნების ეკონომიკის ინტენსიფიკაციისათვის მტპ-ის საფუძველზე და XXI საუკუნის ახალ ტექნოლოგიურ ერაში შესვლისათვის. ეუს წევრი ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის კომპლექსური პროგრამის განსაკუთრებული მნიშვნელობის შესახებ ლაპარაკი იყო სკკპ XXVII ყრილობისადმი ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ მოხსენებაში, სადაც პროგრამის აზრად მიჩნეულ იქნა ის, რომ ეუს წევრი ქვეყნები გადავიდნენ შეთანხმებულ მეცნიერულ-ტექნიკურ პოლიტიკაზე.

პროგრამის რეალიზაციის საბოლოო შედეგად დაგეგმილია ეკონომიკური განვითარების ტემპების დაჩქარება, სახალხო მეურნეობის სტრუქტურასა და ტექნოლოგიაში თვისებრივი ძვრების მიღწევა. მაგრამ არის სიძნელეებიც, ზოგიერთი საკითხის დაუმუშავებლობა ამ მეტად მნიშვნელოვან საქმეში, რაც მოგვარებასა და გადაწყვეტას მოითხოვს.

სკკპ XXVII ყრილობის მითითებების, პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის (1987 წ.) პლენუმის გადაწყვეტილებათა შუქზე სოციალისტურ ქვეყნებთან ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის მართვის სრულყოფის მიზნით სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1987 წელს მიიღეს სპეციალური დადგენილება: „სოციალისტურ ქვეყნებთან ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის მართვის სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ“, რომელსაც ძალ-

ზე დიდი მნიშვნელობა აქვს სოციალიზმის ქვეყნებთან სოციალისტური ეკონომიკური ინტეგრაციისათვის.

ეუს წევრ-ქვეყნებთან აქტიურად თანამშრომლობს ჩვენი რესპუბლიკაც.

1987 წლის 13-14 ოქტომბერს მოსკოვში გაიმართა ეუს სესიის 43-ე (რიგგარეშე) სხდომა, რომელიც მიედღვნა ინტეგრაციული მექანიზმის კიდევ უფრო მოწესრიგების საკითხებს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მოთხოვნების შესაბამისად.

7. რა მეცნიერულ-ტექნიკური კავშირი აქვს ჩვენს ქვეყანას კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან?

საბჭოთა კავშირი ახორციელებს თანამშრომლობას განვითარებულ კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან. ეს კვლავ დადასტურდა ჩვენი პარტიის პროგრამის ახალ რედაქციაში: სკკ მხარს უჭერს ფართო, გრძელვადიან და სტაბილურ კავშირებს სახელმწიფოებს შორის ეკონომიკის, მეცნიერების და ტექნიკის სფეროში, სრული თანასწორუფლებიანობის, ურთიერთხელსაყრელ საფუძველზე.

60—70-იან წლებში სოციალისტურ და კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის ეკონომიკური ურთიერთობა ვითარდებოდა შედარებით კეთილსასურველ პირობებში. სოციალისტური ქვეყნების კაპიტალისტურთან ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის განვითარების დონე და მასშტაბები ასახვას პოულობენ უწინარეს ყოვლისა მათ შორის საქონელბრუნვის მოცულობის გადიდებაში.

სსრ კავშირის ეკონომიკური კავშირები ყველაზე დინამიკურად ვითარდება მრეწველობის მხრივ განვითარებულ დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან, რომელთა წილზე მოდის საქონელბრუნვის 80%-ზე მეტი. საბჭოთა კავშირი მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში თანამშრომლობს მრავალ განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყანასთან. უკანასკნელ წლებში დაიდო მთელი რიგი ახალი ხელშეკრულებები ცალკეულ ფირმებთან და ორგანიზაციებთან მეცნიერებისა და ტექნიკის სხვადასხვა სფეროში თანამშრომლობის შესახებ. ამჟამად ასეთ შეთანხმებათა საერთო რაოდენობამ 300-ს გადააჭარბა. საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების მეცნიერულ-ტექნიკური კავშირების განვითარება კაპიტალისტურ ქვეყნებთან აგებულია კომერციულ საწყისებზე. თანამშრომლობის ყველაზე გავრცელებულ მიმართულებებს წარმოადგენს ქვეყნების

ერთობლივი მონაწილეობა მეცნიერებისა და ტექნიკის უმნიშვნელოვანესი პრობლემების ფუნდამენტურ გამოკვლევებში; სიახლეების დაპროექტებასა და დამუშავებაში და არსებული მანქანების, მოწყობილობის, ხელსაწყოებისა და ტექნოლოგიების კონსტრუქციების სრულყოფაში; ენერჯისა და მასალების ახალი სახეობების დამუშავებაში; ატომური ენერჯის სამშვიდობო მიზნებისათვის გამოყენების გამოკვლევებში და სხვ.

მეცნიერულ-ტექნიკურ თანამშრომლობაში ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი წამყვანი პარტნიორია საფრანგეთი. თანამშრომლობა განსაკუთრებით აქტიურად მიმდინარეობს ისეთ დარგებში, როგორცაა ატომური ენერჯია, კოსმოსური სივრცის გამოკვლევა, გარემო საზღვარს დაცვა და სხვა.

ქვეყნებს შორის განხორციელებულ კომერციულ საფუძველზე მეცნიერულ-ტექნიკური გამოცდილების გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს ვაჭრობა ლიცენზიებით და დაუპატენტებელი ტექნიკური გამოცდილებით. საბჭოთა კავშირი დასავლეთის ფირმებიდან ყიდულობს ლიცენზიებს სხვადასხვა ტექნოლოგიური პროცესების გამოყენებისათვის და ამავე დროს თვითონ წარმოადგენს ლიცენზიის მსხვილ გამყიდველს. მაგალითად, იაპონიის საწარმოებში დანერგულია 18 საბჭოთა ტექნოლოგიური პროცესი, ლიცენზიების მნიშვნელოვანი რაოდენობა შეისყიდა გფრ-ამ და სხვ.

უკანასკნელ წლებში მეცნიერულ-ტექნიკურმა კავშირებმა მიიღეს გრძელვადიანი და დიდმასშტაბიანი ხასიათი. დადებულია და მოქმედებს ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის ათწლიანი პროგრამები მეცნიერებისა და ტექნიკის სხვადასხვა დარგში საფრანგეთთან, დიდ ბრიტანეთთან, ავსტრიასთან, იტალიასთან, კანადასთან და სხვ. გფრ-თან ასეთი პროგრამა დადებულია 25 წლით, ფინეთთან — 1995 წლამდე.

თანამშრომლობის გრძელვადიანი პროგრამების დამუშავებაში, მეცნიერულ-ტექნიკური კავშირების შეთანხმებების შესრულებაზე თვალყურის დევნებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მთავრობათაშორისი შერეული კომისიები, რომლებიც შედგებიან კომპეტენტური ორგანოებისა და დაინტერესებული ორგანიზაციების წარმომადგენლებისაგან. დასავლეთის მრეწველობის მხრივ განვითარებულ ქვეყნებთან ფუნქციონირებს დაახლოებით 20 ასეთი კომისია.

გრძელვადიანი კავშირების ფორმას წარმოადგენს თანამშრომლობა მსხვილი სამრეწველო ობიექტების აგებაში ერთ-ერთი ქვეყ-

ნის ტერიტორიაზე. გრძელვადიანი შეთანხმების შესაბამისად სსრ კავშირში აგებული იყო ან იგება რამდენიმე ათეული მილიარდი მანეთის ღირებულების 50-ზე მეტი მსხვილი სამრეწველო საწარმო. ასეთი დარგთაშორისი შეთანხმებები უკანასკნელ წლებში დადო ეუს თითქმის ყველა ქვეყანამ.

სოციალისტური ქვეყნები შეუპოვრად გამოდიან ფართო და ყოველმხრივი ურთიერთობისათვის სამეურნეო და მეცნიერულ-ტექნიკური ცხოვრების ყველა დარგში თანასწორობის, ეროვნული დამოუკიდებლობის პატივისცემის, დისკრიმინაციის უარყოფის საფუძველზე.

8. რას წარმოადგენს ციკლის „მეცნიერება-ტექნიკა-წარმოება“ ინტეგრაცია და რა როლს ასრულებს იგი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ეფექტიანობის ამაღლებაში?

ტექნიკასა და ტექნოლოგიაში ნამდვილ რევოლუციურ გადატრიალებას რომ მივალწიოთ, უზრუნველვეყოთ სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქცია, დაჩქარდეს მეცნიერება, ტექნიკა და წარმოება, საჭიროა მათი ინტეგრაცია. მეცნიერება, როგორც წარმოების განსაკუთრებული სახეობა, ახალი ცოდნის მიღების პროცესი. გვევლინება მტპ-ის მძლავრ კატალიზატორად. ტექნიკა — ეს შრომის საშუალებების ერთიანობაა, რომელიც ეკონომიას უკეთებს და ამსუბუქებს ადამიანის შრომას, ხელს უწყობს უფრო მაღალი შრომის ნაყოფიერების მიღწევას. იგი წარმოადგენს მეცნიერული იდეების მატერიალურ ხორცშესხმას. წარმოება — მატერიალური სიკეთის შექმნის პროცესია, წარმოებულ პროდუქციაში უახლესი მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების რეალიზაციის სფეროა. იმისათვის, რომ ეს ერთიანი მიზანი ფუნქციონირებდეს შეუფერხებლად, საჭიროა უზრუნველვეყოთ, ერთი მხრივ, მეცნიერების წინგამსწრები განვითარება, ხოლო, მეორე მხრივ, — წარმოების მანევრირებულობა და მობილურობა.

ამ ამოცანებიდან პირველის გადაწყვეტა გულისხმობს მეცნიერების ორიენტაციას მაქსიმალური სახალხო-სამეურნეო ეფექტის მიღებაზე. ამ მხრივ მთელ ქვეყანაში საჩვენებელია ორმოცწლიანზე მეტი გამოცდილების მქონე ე. ო. პატონის სახელობის ელექტროშედულების ინსტიტუტის თანამეგობრობა ქვეყნის სხვადასხვა დარგის სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციებთან და საწარმოებთან.

ინსტიტუტის წარმატებები აიხსნება მეცნიერების, ინჟინრების,

კონსტრუქტორების ნიადაგ მისწრაფებით გავიდნენ მოწინავე პოზიციებზე სამამულო და მსოფლიო მეცნიერებასა და ტექნიკაში. მაგრამ ძალზე მნიშვნელოვანია ისიც, რომ ინსტიტუტს გააჩნია განვითარებული საცდელ-საკონსტრუქტორო და საწარმოო ბაზა, რომელიც საშუალებას აძლევს გამოკვლევების შედეგები დაიყვანოს ზუსტად დამუშავებულ ტექნოლოგიამდე. საიდუმლო არ არის, რომ მეცნიერებისა და წარმოების ინტეგრაციის ერთ-ერთი შემადგერბელი მიზეზია ბევრი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სუსტი ექსპერიმენტული ბაზა. ამას კი შედეგად მოაქვს უახლესი ტექნოლოგიისა და სანიმუშო ახალი ტექნიკის დაუმუშავებლობა, რომლებსაც სთავაზობენ მრეწველობას სერიული წარმოებისათვის.

მეცნიერული მიღწევების რეალიზაციის ვადების შემცირება განპირობებულია მეცნიერების ენერგიული შემობრუნებით წარმოების საჭიროებებისაკენ, მაგრამ ასევე მნიშვნელოვანია წარმოების შემობრუნება მეცნიერებისაკენ, მისი მაქსიმალური ამთვისებლობა მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევებისადმი. პრობლემის გადაწყვეტის ერთ-ერთი ეფექტიანი ფორმაა გაერთიანების შექმნა, რომელთა შემადგენლობაში ჩვეულებრივ შედის სამი რგოლი: მძლავრი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, კარგად აღჭურვილი საცდელ-ექსპერიმენტული წარმოება და ძლიერი სერიული ქარხანა.

ახალ, უფრო ეფექტიან ტექნოლოგიაზე გადასვლა ფაქტიურად წარმოების ინტენსიფიკაციისა და პროდუქციის ხარისხის ამაღლების უცვლელი რეზერვია. მაგრამ ეს რეზერვი ზედაპირულად არ არის. ამას გარჯა უნდა. სკკპ XXVII ყრილობაზე ამის შესახებ ითქვა: გავიყვანოთ სახალხო მეურნეობა მეცნიერების, ტექნიკისა და ტექნოლოგიის მოწინავე მიჯნებზე, ეფექტიანად გამოვიყენოთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განხორციელების სოციალიზმისათვის დამახასიათებელი ფორმები და მეთოდები, გავაძლიეროთ მეცნიერებისა და წარმოების ინტეგრაცია, გავაუმჯობესოთ ორგანიზაცია და შევამციროთ სახალხო მეურნეობაში ტექნიკური სიახლეების, მეცნიერული აღმოჩენების და გამოგონებების ათვისების ვადები.

დიდ ყურადღებას მოითხოვს მეცნიერების საქარხნო სექტორი. იგი ყველაზე ახლოს დგას წარმოებასთან, ორგანულად ერწყმის მას, უზრუნველყოფს ახალი ტექნიკის შემუშავება-წარმოების ვადების მნიშვნელოვან შემცირებას.

ჩვენს ქვეყანაში მეცნიერებისა და წარმოების ინტეგრაციის ძი-

რითადი ფორმაა ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმა, რომელსაც ეკუთვნის გადამწყვეტი როლი მტპ-ის დაჩქარებაში. მასში შედის დიდმასშტაბიანი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრამები, რომელთა განხორციელებაში მონაწილეობას იღებს მოკავშირე რესპუბლიკების ყველა შრომითი კოლექტივი. ასეთი თანამშრომლობის შედეგი ხელს უწყობს პროდუქციის ენერგო-და მასალატევადობის შემცირებას, ფონდუკუგების ამღლებას, ტექნიკური აღჭურვილობის გაუმჯობესებას, ხელის შრომის გაუმჯობესებას. ახლა პრაქტიკაშია ერთობლივი მუშაობის ჩატარება მსხვილ საწარმოებთან და საწარმოო გაერთიანებებთან კომპლექსური მეცნიერულ-ტექნიკური პროგრამების საფუძველზე. დიდი გავრცელება მიიღო ხელშეკრულებებმა მეცნიერებათა აკადემიის დაწესებულებებსა და სამრეწველო საწარმოებს შორის.

თანამედროვე ტექნოლოგია — ეს არის თავისებური ხიდი, რომელიც აერთებს მეცნიერულ თეორიას საზოგადოებრივი წარმოების პრაქტიკასთან. მეცნიერული აღმოჩენა იწყებს ნამდვილად საზოგადოების სამსახურს მაშინ, როცა იგი რეალურად ისხამს ხორცს ტექნოლოგიაში. ამიტომ ფუნდამენტური გამოკვლევების საფუძველზე პრინციპულად ახალი ტექნოლოგიების შექმნა, რომლებიც უზრუნველყოფს ძირეულ ძვრებს წარმოებაში, წარმოადგენს მტპ-ის დაჩქარების მთავარ რგოლს, სახალხო მეურნეობაში მისი შედეგების კომპლექსური რეალიზაციის ყველაზე ადეკვატურ ფორმას.

მეცნიერებისა და წარმოების ინტეგრაცია მიმდინარეობს წარმოების რგოლის სტრუქტურაში როგორც კვლევითი და საინჟინრო განაყოფების ჩართვის გზით, ასევე მეცნიერული ორგანიზაციების საწარმოო ბაზების ჩამოყალიბების გზით. ორივე გზა თანაარსებობს და ურთიერთს ავსებს.

შეიძლება გამოვყოთ ორგანიზაციული ფორმების სხვადასხვა ტიპი, მაგალითად, აკადემიური მეცნიერული ცენტრები (მც), რომლებიც თავიანთ საქმიანობაში მოიცავენ ფუნდამენტური, აგრეთვე გამოყენებითი გამოკვლევების სტადიებს, ფუნდამენტური მეცნიერების ტექნიკური ცენტრები (მტკ), დარგთაშორისი და დარგობრივი ხასიათის გამოყენებითი მტკ, გაერთიანების ტიპის მეცნიერულ-საწარმოო კომპლექსები, საწარმოო-ტექნიკური კოლექტივები (სტკ) და სხვ.

დიდი პრობლემაა მეცნიერების წარმოებასთან დაახლოება. ამ

მხრივ მდგომარეობა არ უპასუხებდა ეკონომიკის ინტენსიფიკაციის ამოცანებს.

მეცნიერებისა და წარმოების გაერთიანება — არა მარტო პირველის მეორეში პირდაპირ ჩართვა, არამედ ამავე დროს, მეცნიერების ყოველმხრივი განვითარებაა. აქ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მეცნიერების საცდელ-ექსპერიმენტული ბაზის განმტკიცებას.

ინტეგრაციაში მნიშვნელოვანი ფორმაა სამეცნიერო-ტექნიკური და საინჟინრო კომპლექსური ცენტრების შექმნა. ისინი აერთიანებენ საწარმოთა მეცადინეობას და კოორდინაციას უწყევნ მათ გამოკვლევებს, საცდელ-საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიურ სამუშაოებს მტპ-ის მთავარი მიმართულებებით, აგრეთვე სამუშაოების საცდელი ნიმუშების დასამზადებლად და სერიული წარმოებისათვის მოსამზადებლად.

რესპუბლიკაში ვითარდება მეცნიერებისა და წარმოების ინტეგრაციის პროგრესული ფორმები. სახალხო მეურნეობაში ფუნქციონირებს 11 სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება, რომელთა ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა ახალი ტექნიკის შემუშავებისა და დანერგვის ვადების შემცირება. მიმდინარეობს მზადება სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო, საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიური ორგანიზაციების გადაყვანისათვის.

9. რა როლს ასრულებს სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებები მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განვითარებაში?

სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებები (სსგ) შექმნილია სახალხო მეურნეობის ბევრ დარგში. მათი მთავარი ამოცანაა მაღალხარისხოვანი პროდუქციის სერიული და მასობრივი გამოშვება, სამეცნიერო საწარმოში — ახალი ტექნიკის ნიმუშების შექმნა და მათი საწარმოო გაერთიანებებსა და საწარმოებზე გადაცემა სერიული და მასობრივი წარმოების ორგანიზაციისათვის. სსგ-ის პირობებში გაცილებით მეტი შესაძლებლობები გამოვლინდა იმისათვის, რომ მეცნიერი მუშაკების, კონსტრუქტორების, ტექნოლოგებისა და წარმოების მუშაკების მეცადინეობას თავი მოუყარონ ახალი ტექნიკის შექმნისა და დაჩქარებული დანერგვის ამოცანების ერთობლივად გადასაწყვეტად. XII სუთწლედში, როგორც სკკპ XXVII ყრილობაზე აღინიშნა, მოგვიწევს გავაფართოოთ სსგ-ის ქსელი, სრულე-

ყოთ მათი ორგანიზაციულ-მმართველობითი სტრუქტურა. ამ მხრივ უმნიშვნელოვანესი ნაბიჯია გაერთიანებების გადაყვანა სრულ სამეურნეო ანგარიშზე. სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე გადასვლამ საშუალება მისცა თბილისის „ანალიზელსაწყოსა“ და „ელვას“ სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებებს უფრო ენერგიულად შედგომოდნენ პროდუქციის განახლებას, მისი ტექნიკურ-ეკონომიკური დონის ამაღლებას.

საერთოდ სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებები იქმნება იმ მანქანების დიდფექტიანი კომპლექსების, მოწყობილობის, ხელსაწყოების, ტექნოლოგიური პროცესებისა და მასალების შემუშავებისა და წარმოებისათვის, რომლებიც განსაზღვრულია მტპ-ის შესაბამის მიმართულებებით და რომლებსაც უდიდესი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვთ. ისინი შეიძლება შეიქმნას როგორც სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო-საკონსტრუქტორო, ტექნოლოგიური ორგანიზაციების, ისე საწარმოო გაერთიანებების ბაზაზე. როგორც აღვნიშნეთ, სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება მოქმედებს სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პრინციპით. მისი სამეცნიერო, საწარმოო, სოციალური საქმიანობა და შრომის ანაზღაურება ხორციელდება შრომითი კოლექტივების მიერ გამომუშავებული სახსრების ხარჯზე. იგი სამეცნიერო-საწარმოო პროდუქციის რეალიზაციით მიღებული ამონაგებით ინაზღაურებს მატერიალურ დანახარჯებს და გარკვეულ მოგებას იღებს.

სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებაში შედის შინაგანი სამეურნეო ანგარიშის საწყისებზე მოქმედი ქვეგანყოფილებები: სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, საკონსტრუქტორო ბიურო, საცდელი ქარხანა და საწარმოო საწარმოები, განყოფილებები, რგოლები, ლაბორატორიები. გაერთიანების შემადგენლობას ამტკიცებს ზემდგომი ორგანო — სამინისტრო, ხოლო გაერთიანების შემადგენლობაში შემავალი სტრუქტურული ერთეულების სტრუქტურას — გაერთიანება.

მეცნიერებისა და წარმოების ინტეგრაციის ამ ფორმამ რომ გაამართლოს, ხელი შეუწყოს მტპ-ის დაჩქარებას და ამის საფუძველზე საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას, უნდა ვიცავდეთ დაახლოებით ასეთ პრინციპებს: განცალკევებული საორგანიზაციო-სამეურნეო კომპლექსის ჩარჩოებში უზრუნველყოთ პირობები, რათა ციკლით „გამოკვლევა-წარმოება“ ჩატარდეს ყველა სამუშაო თანამიმდევრობით, პარალელურად, ჩამოყალიბდეს

იმ სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო-საკონსტრუქტორო დაწესებულებებისა და საწარმოების საქმიანობის დებულებები და დასაბუთება, რომლებიც ასრულებენ თანამიმდევრულ-პრობლემურ სამუშაოებს ციკლით „გამოკვლევა-წარმოება“ ერთიანი განცალკევებული სამეურნეო უჯრედის ჩარჩოებში; მეთაური დაწესებულებისათვის, რასაც ჩვეულებრივ წარმოადგენს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, ადმინისტრაციული უფლებების მიცემა მუშაობის ორგანიზაციისათვის მთელი ციკლით „გამოკვლევა-წარმოება“ და ერთიანი განცალკევებული სამეურნეო უჯრედის დებულების რეალიზაციისათვის; იურიდიული უფლების ჩამორთმევა ყველა დაწესებულებისა და საწარმოსათვის, რომლებიც შედიან გაერთიანებაში და ასრულებენ თანამიმდევრულ-პარალელურ სამუშაოებს მთელი ციკლით „გამოკვლევა-წარმოება“.

სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებათა მუშაობის გამოცდილება მოწმობს, რომ განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს მეცნიერების საქარხნო სექტორის შემდგომი განვითარება, იგი ყველაზე ახლოს დგას წარმოებასთან, ორგანულად ერწყმის მას და ყველაზე ეფექტიანად უზრუნველყოფს ახალი ტექნოლოგიების შექმნას, წარმოების ვადების მნიშვნელოვან შემცირებას.

10. როგორ მოვახდინოთ აკადემიური და დარგობრივი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების, უმაღლესი სასწავლებლების მეცნიერებისა და საქარხნო მეცნიერებათა საქმიანობის კოორდინაცია?

მრეწველობაში შექმნილია კომპლექსური შემოქმედებითი ბრიგადები, რომლებშიც მეცნიერული ნაშრომების დანერგვის ვადების შემცირების მიზნით, გაერთიანებული არიან მეცნიერები და წარმოების მუშაკები, სადაც უფრო ფართოდ ვრცელდება სამეცნიერო და საწარმოო ორგანიზაციების ხელშეკრულებები მტკ-ის დაჩქარების საკითხებში გრძელვადიანი თანამშრომლობის შესახებ. მაგალითად, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილება, რომლის ინსტიტუტები თანამშრომლობენ ქვეყნის ასობით სხვა ინსტიტუტებთან, ყოველწლიურად ასრულებს სამეურნეო ანგარიშზე დამყარებულ დიდთანხიან გამოკვლევებს. ანდა მეორე მაგალითი. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ურალის სამეცნიერო ცენტრს სამეცნიერო ხელშეკრულებები აქვს დადებული ურალის

სასოფლო-სამეურნეო მანქანათსაშენებელ, ქიმიურ მანქანათსაშენებელ, მძიმე ელექტრომანქანათსაშენებელ ქარხნებთან.

ასევე ფართოვდება ურთიერთობის ფორმები უმაღლეს სასწავლებელთა მეცნიერ მუშაკებსა და წარმოების მუშაკებს შორის. ცნობილია მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და „ზილის“ საწარმოო გაერთიანების შემოქმედებითი თანამშრომლობა.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ ნაკლებფექტიანია უმაღლეს სასწავლებელთა მეცნიერ მუშაკების წვლილი მტკ-ის დაჩქარებაში. სკკპ XXVII ყრილობაზე ითქვა: მათი აღმოჩენები მხოლოდ მაშინ მოიტანს ეფექტს, თუ მათ დროზე აიტაცებენ და გამოიყენებენ, ანუ, თუ ზუსტად და აწყობილად იმუშავენ „მეცნიერება-წარმოების“ ციკლის ყველა რგოლი.

დიდი შედეგები შეუძლია მოგვეცეს დარგობრივმა მეცნიერებამ, რადგან იგი მოიცავს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და საკონსტრუქტორო ბიუროების განვითარებულ ქსელს. დაკომპლექტებულია დიდი მეცნიერული ძალებით, სადაც ამ ძალებს უნარიანად იყენებენ, შედეგიც კარგია. მაგრამ დარგობრივი ორგანიზაცია ხშირად ერთ ადგილს ტკეპნის, უქმად მუშაობს, მისი საქმიანობა ატარებს ვიწროუწყებრივ ხასიათს, შემოფარგლულია წვრილთემიანობით და სხვ. სკკპ XXVII ყრილობამ დასახა დარგობრივი მეცნიერების ეფექტიანობის ამაღლების გზები: პირველი, მაქსიმალურად დაახლოება წარმოებასთან, მეორე — მისი მატერიალური და საცდელ-ექსპერიმენტული ბაზის განმტკიცება, მესამე — მისი აღჭურვა თანამედროვე სამეცნიერო ხელსაწყოებით.

11. რა არის საჭირო სახალხო მეურნეობაში გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების დანერგვის დასაჩქარებლად, საგამომგონებლო, საპატენტო და ხალიცენზიო მუშაობის გაუმჯობესებისათვის?

ჩვენს ქვეყანაში დიდი ყურადღება ექცევა მასების ტექნიკური შემოქმედების განვითარებას, გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების გამრავლებას, მათი დანერგვის დაჩქარებას.

ჩვენში ყოველწლიურად იქმნება ათეულათასობით გამოგონებები, აყენებენ უამრავ რაციონალიზატორულ წინადადებებს. მაგრამ ყველა მათი რეალიზაცია, ცხადია, არ ხდება. მაგალითად, 1986 წელს გამოიყენეს 24 000 გამოგონება და ოთხ მილიონზე მეტი რა-

ციონალიზატორული წინადადება. ახლა კი ამოცანა ის არის, რომ ნოვატორები ჩავრთოთ ყველაზე აქტიუალური, მასშტაბური პრობლემების გადაწყვეტაში, ვიზრუნოთ არა მარტო რაოდენობრივ მაჩვენებლებზე, არამედ მთავარზე — გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების ეკონომიკურ და ტექნიკურ მნიშვნელობაზე. გამოგონებების დიდი უმრავლესობა — 90% წარმოიშობა სამეცნიერო-კვლევითს, საპროექტო-საკონსტრუქტორო და სხვა ორგანიზაციებში სამსახურებრივი საგეგმო დავალებების შესრულების მსვლელობაში. ნოვატორი ერთეულები სიახლეებს ქმნიან პირადი ინიციატივით.

გამოგონებების, რაციონალიზატორული წინადადებების ავტორებს ბევრი რამ აღელვებთ. მაგალითად, მათ საჭიროდ მიაჩნიათ გამარტივდეს მოსალოდნელ გამოგონებაზე განცხადების ძალზე რთული გაფორმება და ამალდეს მისი ექსპერიმენტის დონე. სამწუხაროდ, საპატენტო ექსპერტიზა სულ უფრო მეტად კარგავს განცხადებების ავტორებთან კეთილმოსურნე თანამშრომლობის სულისკვეთებას. მისწრაფებას ერთობლივად და დამსახურებულად გამოავლინონ მოსალოდნელი გამოგონების ღირსება ან უპირატესობა. პირიქით, სულ უფრო ცხადი ხდება ექსპერტებისა და განცხადებების გაუმართლებელი წინააღმდეგობის ტენდენცია, რაც აკიანურებს განცხადებების საქმიანად განხილვას.

ცუდადაა ინიციატივიანი გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების საქმე. ისინი ხშირად ცხოვრებაში მოულოდნელად იჭრებიან და მათი დაუყოვნებლივ გამოყენებისათვის მზად არ არიან ადგილებზე. ნოვატორთა უმრავლესობის აზრია შეიქმნას დამნერგავი ორგანიზაციები, რომლებიც ხელს შეუწყობდნენ ტექნიკური შემოქმედების ენთუზიასტებს თავიანთი მიღწევების რეალიზაციაში. სერიოზული ამალლება ესაჭიროება გამომგონებლობის საქმის კულტურას. იგი, როგორც ცნობილია, იწყება საპატენტო განაცოფებიდან. სწორედ მათ შესწევთ უნარი გზა გადაულობონ ჩამორჩენილი ტექნიკის წარმოების ათვისებას. მათი ამოცანაა ყველა სიახლის, მათ შორის გამოგონებების, რაციონალიზატორული წინადადებების დონის შეფასება. ამგვარად, ისინი პირველები დგანან მტპ-ის სათავეებთან. მაგრამ ამ ორგანიზაციებისა და საწარმოების ქვედანაყოფები უმეტესად მცირეძალიანია. რამდენად მომგებიანი იქნებოდა კონკურსების გამოცხადება ყველაზე აქტიუალური მეცნიერულ-ტექნიკური ამოცანების გადაწყვეტის დაჩქარებისათვის,

ყველაზე ძვირფასი გადაწყვეტების შერჩევა და მათი წარმოებაში დანერგვა, იმათი წახალისებისათვის სახსრების დაუშურებლად გამოყოფა, ვინც უდიდესი წვლილი შეიტანა პროდუქციის ტექნიკური დონისა და ეფექტიანობის ამაღლებაში.

გამომგონებლობისა და რაციონალიზატორული წინადადებების საქმის გააქტიურებაში დიდი წვლილის შეტანა შეუძლიათ სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებებს, გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საბჭოებს. მაგალითად, საქართველოს პროფსაბჭოსთან არსებული გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა რესპუბლიკური საბჭო კოორდინაციას უწევს 2157 პირველადს ორგანიზაციას, სადაც გაერთიანებულია 272,4 ათასი წევრი. 1986 წელს რესპუბლიკის რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა წინადადებების დანერგვით 109,2 მილიონი მანეთი დაიზოგა. ეს ციფრი შეიძლებოდა უფრო გაზრდილიყო, ნოვატორთა შემოთავაზებულ წინადადებათა დანერგვა შეუფერხებლად რომ მიმდინარეობდეს.

საზოგადოებებს, საბჭოებს შეუძლიათ შექმნან კეთილსასურველი, მიმზიდველი ატმოსფერო, სადაც თითოეული მეცნიერი, სპეციალისტი, მუშა-ნოვატორი შეძლებს გამოიყენოს თავისი უნარი. ეს შეიძლება იყოს თავისებური პროფესიონალური კლუბი, რომელშიც თითოეულს შეეძლება მიიღოს კოლექტივთან თავისუფლად ურთიერთობის საშუალება. ამისათვის ისინი უნდა ეძებდნენ მუშაობის აქტიურ ფორმებს, შექმნან საზოგადოებრივი შემოქმედებითი გაერთიანებები, სექციები, კომიტეტები, ინჟინერთა სახლები და კლუბები ინტერესების მიხედვით, ჩაატარონ კონკურსები, დისკუსიები და სხვ.

12. როგორ შეიძლება შევქმნათ მეცნიერების, ტექნიკისა და წარმოების ინტეგრაციის ისეთი ორგანიზაციული ფორმები, რომლებიც მაქსიმალურად დააჩქარებენ მეცნიერული იდეების პრაქტიკულ რეალიზაციას?

თანამედროვე ეპოქის შეუპოვარი მოთხოვნაა მეცნიერების წარმოებასთან მჭიდრო კავშირი. მეცნიერებისა და წარმოების მუშაკების შემოქმედებითი კონტაქტების განმტკიცებამ, რაც გამოიხატება ინტეგრაციის ზემოთ მითითებული ორგანიზაციული ფორმებით, საშუალება შექმნა მოკლე ვადაში სახალხო მეურნეობაში დანერგულიყო მთელი რიგი ტექნიკური სიახლეები. ამ სიახლეებმა მნიშვნელოვნად აამაღლა საზოგადოებრივი შრომის მწარმოებ-

ლობა და ქვეყანას მისცა დიდი ეკონომიკური ეფექტი. ამ წარმოების საფუძველს პირველ რიგში წარმოადგენს მეცნიერების წარმოებასთან შეერთება, მისი სრულყოფა ახალი ტექნიკისა და პროგრესული ტექნოლოგიების საფუძველზე, მძლავრი მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალის უნარიანი გამოყენება. მაგრამ ანალიზი ადასტურებს, რომ წარმატებები გაცილებით მეტი იქნებოდა, არსებული ნაკლოვანებები რომ არ გვიშლიდეს ხელს. ესენია შესაბამისი საცდელ-საწარმოო ბაზების უქონლობა, ხელსაწყოების, მასალების, საწარმოო სიმძლავრეების დეფიციტი და სხვა.

მეცნიერული იდეების პრაქტიკული რეალიზაციის დაჩქარების კარგი ფორმაა სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება (სსგ). სსგ-ის ორგანიზაციაში პრინციპულად მნიშვნელოვანია ის, რომ გაერთიანების მეთაურ ქვედანაყოფს წარმოადგენს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომლის გარდა სსგ-ის ჩარჩოებში ფუნქციონირებს საკონსტრუქტორო, საპროექტო-საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიური ორგანიზაციები, ქარხნები (ფაბრიკები), გამშვებ-გამმართავი და სხვა სტრუქტურული ერთეულები, რომლებიც არ უნდა წარმოადგენდნენ იურიდიულ პირებს და ამით ხელს უწყობდნენ პრინციპულად ახალი ტექნიკის ნიმუშების შექმნისა და დანერგვის სხვადასხვა ფაზისა და ეტაპის დაქუცმაცებულობის ლიკვიდაციას სსგ-ში. სსგ მოწოდებულია განახორციელოს ურთიერთდაკავშირებული სამუშაოების მთელი ერთიანობა სანიმუშო ახალი ტექნიკის შექმნისათვის, დაწყებული ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევიდან და დამთავრებული პირველი სამრეწველო სერიის გამოშვებით. მისი შექმნა საშუალებას იძლევა განვახორციელოთ მთელი ციკლის „გამოკვლევა-წარმოება“ გამჭოლი დაგეგმვა, მკვეთრად შევამციროთ სანიმუშო ახალი ტექნიკის დამუშავებისა და დანერგვის ვადები. მაგალითად, თბილისის „ანალიზხელსაწყო“ სსგ-ში პირველად ქვეყანაში მოეწყო ხელსაწყოების დამუშავება და სერიული გამოშვება ატომურ-აბსორბციული ანალიზისათვის.

მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების პრაქტიკაში დანერგვის ვადების შემცირებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მუშაობის ზუსტ და სწორ ორგანიზაციას. აქედან გამომდინარეობს მოთხოვნა მუშაობის მართვისა და ორგანიზაციის ჩამოყალიბებული სისტემის შემდგომი სრულყოფისა მეცნიერული გამოკვლევების შედეგების შექმნისა და წარმოებაში დანერგვისათვის. მაგალითად, „საქსოფლმანქანის“ სსგ-ის შემადგენლობაში შედის მეთაური ორგანიზაცია —

საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, „გორსოფლმანქანა“, მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების თბილისის ქარხანა, ქუთაისის სახელმწიფო სპეციალიზებული საკონსტრუქტორო ბიურო და ქუთაისის სატრაქტორო ქარხანა. აქ შემავალი ბევრი ქვეგანაყოფი ადრე ემორჩილებოდა სხვადასხვა უწყებას. უწყებრივი გათიშულობა ქმნიდა გარკვეულ სიძნელეებს ახალი მაღალეფექტიანი მანქანების შექმნის პროგრამის რეალიზაციაში, ხელს უშლიდა პროგრესული ნამუშევრების პრაქტიკაში დანერგვის დაჩქარებას.

სსკ-ში ხანგრძლივობა ციკლისა „გამოკვლევა-წარმოება“ მცირდება 1,5—2-ჯერ, რაც მიიღწევა მიზნობრივი ინტეგრაციული სისტემის შექმნის გზით. ეს კი უზრუნველყოფს ახალი ტექნიკის ნიმუშების შექმნის ცალკეული სტადიებისა და ეტაპების დროში შეთავსებას. გარდა ამისა, იზრდება ფულადი ხარჯები სსკ-ის ჩარჩოებში.

თანამედროვე პირობებში მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების პრაქტიკაში დანერგვის ვადების შემცირებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მუშაობის ზუსტად და სწორად ორგანიზაციას. აქედან წარმოიშობა მართვისა და ორგანიზაციის ჩამოყალიბებული სისტემის შემდგომი სრულყოფის მოთხოვნა მეცნიერული კვლევების შედეგების შესწავლისა და წარმოებაში დანერგვისათვის.

დღეს აკადემიური მეცნიერება წარმოებაზე ზემოქმედებს ინტეგრაციის ისეთი ეფექტიანი ფორმებით, როგორცაა, სამინისტროებთან ერთად მეცნიერული გამოკვლევების კომპლექსური პროგრამების დამუშავება და მათი შედეგების დანერგვა შესაბამისი დარგების წარმოებაში; სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიების ინსტიტუტების მიერ კომპლექსური და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრამების დამუშავება და შესრულება და მათი შედეგების დანერგვა შესაბამისი დარგების გაერთიანებებსა და საწარმოებში; აკადემიური მეცნიერულ-ტექნიკური კომპლექსების შექმნა, რომლებიც სამინისტროებთან ერთად შედგება ინსტიტუტის, საკონსტრუქტორო ბიუროს, ექსპერიმენტალური წარმოებისა და საცდელი ქარხნისაგან; კომპლექსური ბრიგადების შექმნა, რომლებიც აერთიანებს აკადემიური დაწესებულებების მეცნიერებას, დარგობრივი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და სამრეწველო საწარმოების სპეციალისტებს ყველა სამუშაოს ერთობლივი ჩატარებისათვის.

XIX საკავშირო პარტიულ კონფერენციაზე დიდი ყურადღება მიექცა მტპ-ის მართვის, კერძოდ, ინტეგრაციის საკითხებს. მაგალითად, აღინიშნა, რომ „გადამწყვეტი ღონისძიებანი უნდა განხორციელდეს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მართვის სრულყოფაში, უწყებრივი ბარიერების დაძლევაში. აქ ერთ-ერთი გზაა დარგთაშორისი სამეცნიერო-ტექნიკური კომპლექსების, საინჟინრო ცენტრების, მიზნობრივი ამოცანების გადასაწყვეტად დროებითი კოლექტივების შექმნა. დიდი მნიშვნელობა აქვს იმასაც, რომ დაიწყოს სამეცნიერო ორგანიზაციების ორგანული შეყვანა სამეურნეო ანგარიშებრავ ურთიერთობათა სისტემაში, შეიქმნა დამთავრებული ციკლი: სამეცნიერო-გამოკვლევები — ტექნიკა და ტექნოლოგია — ინვესტიციები — წარმოება — გასაღება — მომსახურება“¹.

ჩვენს ქვეყანაში მეცნიერების წარმოებასთან კავშირის ყველაზე მასობრივი ფორმაა საწარმოო გაერთიანება. იგი წარმოადგენს კომპლექსს, რომელსაც თავის შემადგენლობაში აქვს საპრეწველო საწარმოები და მეცნიერულ-ტექნიკური ორგანიზაციები. მეთაურია სამრეწველო საწარმო. სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოს ყველაზე მეტ ეკონომიკურ ეფექტს იძლევა ის, რომელშიც კარგადაა ბალანსირებული მეცნიერული და საწარმოო ნაწილი. ამჟამად ჩვენს ქვეყანაში პრაქტიკულად ქარბობს მეცნიერების წარმოებასთან შეერთების ორი ძირითადი ორგანიზაციული ფორმა: სგ და სსგ.

18. რა როლს ასრულებს დარგთაშორისი ტერიტორიული გაერთიანებები მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაში?

როგორც ცნობილია, ჩვენს ქვეყანაში არ არსებობდა ერთიანი მარეგულირებელი მექანიზმი, რომელიც რეგიონში, ოლქში, ქალაქში, რაიონში განლაგებულ საწარმოებს, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს, უმაღლეს სასწავლებლებს (რომლებიც დაქვემდებარებულია სხვადასხვა უწყებაზე და აქვთ საერთო ინტერესები) გააერთიანებდა შეთანხმებული მოქმედებისათვის სახალხო მეურნეობის სხვადასხვა სფეროში. ეს კი იწვევდა მთელ რიგ ნეგატიურ გამოვლინებებს, კერძოდ, ოლქის, ქალაქის, რაიონის შესაძლებლო-

¹ შ. ს. გო რ ბ ა ჩ ი ვ ი. სკვპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა რეალიზაციის მიზნობრივობისა და გარდაქმნის გაღრმავების ამოცანების შეახებ. მოხსენება სკვპ XIX საკავშირო კონფერენციაზე 1988 წლის 28 ივნისს. თბილისი, გამოც. „საბჭოთა საქართველო“, 1988, გვ. 27.

ბების, მატერიალური, შრომითი და საფინანსო რესურსების არასაკმარისად გამოყენებას, გარკვეულ შეუსაბამობას მატერიალური წარმოების ზრდასა და მის სოციალურ უზრუნველყოფას შორის. ყოველივე ამის დაძლევისათვის ჩვენი ქვეყნის ქალაქებში — მოსკოვში, ლენინგრადში, ხარკოვში და სხვ. შეიქმნა დროებითი დარგთაშორისი ტერიტორიული გაერთიანებები. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს, მაგალითად, ლენინგრადის ტერიტორიულ-დარგობრივი პროგრამა „ინტენსიფიკაცია — 90“.

რაშია ამ პროგრამის ღირსება?

პირველი, იგი ნამდვილად ატარებს კომპლექსურ ხასიათს, მოიცავს ლენინგრადისა და ლენინგრადის ოლქის სახალხო მეურნეობის ყველა დარგს. მეორე, პროგრამის „ინტენსიფიკაცია — 90“ ღერძს წარმოადგენს მტპ-ის დაჩქარება. მესამე, პროგრამა ატარებს დარგთაშორის ხასიათს. იგი უზრუნველყოფს სხვადასხვა დარგისა და დაქვემდებარების დონის საწარმოებისა და ორგანიზაციების მეცადინეობის გაერთიანებას, ეხმარება უწყებრივი წინაღობის დაძლევას; მეოთხე, დიდი ყურადღება ექცევა ადამიანის ფაქტორს: ზოგადი და პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის გარდაქმნას, სტუდენტი ახალგაზრდობის მოზიდვას რთული მეცნიერულ-ტექნიკური პრობლემების გადასაწყვეტად, კადრების კვალიფიკაციის ამაღლებას და სხვ.

დარგთაშორისი ტერიტორიული გაერთიანებები შეიქმნა თბილისშიც, მის ყველა რაიონში. მიზანი ერთია — ქალაქის, რაიონების ფუნქციებისა და უფლებამოსილების გაფართოების გზით ეკონომიკური და სოციალური განვითარების მართვა. გაერთიანებას აქვს სხვადასხვა მიმართულება. ერთ-ერთი მიმართულებაა მტპ-ის დარგთაშორისი მართვა ქალაქის თუ რაიონის ტერიტორიაზე.

ქალაქის გაერთიანების მუშაობის არსი ასეთია: საწარმო ხელშეკრულებას დებს ტერიტორიულ-დარგთაშორის გაერთიანებასთან, რომელიც კისრულობს დაეხმაროს კონკრეტული ამოცანის გადაწყვეტაში გარკვეულ დროში სამუშაოთა დაფინანსებით. თავის მხრივ, საწარმო ვალდებულია იღებს ყოველმხრივ დაეხმაროს სამუშაოთა შესრულებაში და ამ მიზნით გამოყოფს სათანადო დანადგარებს და ინვენტარს. დამუშავების დანერგვის შემდეგ საწარმო კისრულობს მიღებული ეფექტიდან შემოსული თანხის გარკვეული ნაწილი გადარიცხოს ტერიტორიულ-დარგთაშორისი გაერთიანების ანგარიშზე.

ქალაქის ტერიტორიულ-დარგთაშორისმა გაერთიანებამ გარკვეული გამოცდილება დააგროვა ქალაქის საწარმოებსა და ქალაქის დაწესებულებებს შორის დარგთაშორის საფუძველზე სამეურნეო კავშირების ორგანიზაციაში.

ამასთან ერთად ქალაქის ტერიტორიაზე მტპ-ის მართვის სფეროში ჯერ კიდევ ბევრი ნაკლოვანება და გადაუჭრელი პრობლემაა. მათი აღმოფხვრისა და გადაჭრისათვის, მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის არა ერთი და ორი ღონისძიება განახორციელეს საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა, თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა. მათ გადაწყვიტეს დროებითი შემოქმედებითი კოლექტივების ფორმირებისა და მათი საქმიანობის ორგანიზაციის საკითხის სისტემატურად იქნას განხილული, დაისახოს ღონისძიებები მუშაობის ყოველნაირად სრულყოფისათვის.

14. როგორ ავამაღლოთ თვითმოქმედი ტექნიკური შემოქმედების როლი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაში?

ყოველწლიურად ჩვენს ქვეყანაში, მათ შორის ჩვენს რესპუბლიკაშიც უამრავი გამოგონებები იქმნება. მაგრამ, სამწუხაროდ, სიანხლების მხოლოდ განსაზღვრული რაოდენობა გამოიყენება ერთ ან რამდენიმე საწარმოში. დრო შეუპოვრად მოითხოვს გარდაქმნას მშრომელთა ტექნიკური შემოქმედების დარგშიც. ამოცანა უწინარეს ყოვლისა ის არის, რომ მოვიზიდოთ ნოვატორები ყველაზე მასშტაბური, აქტუალური პრობლემების გადასაწყვეტად, ვიზრუნოთ არა მარტო რაოდენობრივ მაჩვენებლებზე, არამედ, რაც მთავარია, გამოგონებების ეკონომიკურ და ტექნიკურ მნიშვნელობაზე.

1987 წელს სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, საკავშირო პროფსაბჭომ და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღეს დადგენილება „თვითმოქმედი ტექნიკური შემოქმედების განვითარების ღონისძიებათა შესახებ“. მასში აღნიშნულია, რომ თვითმოქმედი ტექნიკური შემოქმედების ყოველმხრივი განვითარება მტპ-ის დაჩქარებისათვის პარტიის კურსის განხორციელების ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია. იგი აფართოებს მნიშვნელოვანი სახალხო-სამეურნეო ამოცანების გადაწყვეტაში საბჭოთა ადამიანების ინიციატივის გამოვლენის შესაძლებლობებს, ხელს უწყობს მათი ინტელექტუალური

და კულტურული დონის ამაღლებას, ინდივიდუალური შემოქმედებითი შესაძლებლობების გამოვლენას და სხვ.

დადგენილება შესაბამის ორგანიზაციებს ავალებს ყოველნაირად უზრუნველყონ თვითმოქმედი ავტორების ყველა წინადადებისა და ნამუშევრის ყურადღებიანი განხილვა და კვალიფიციური შეფასება სამრეწველო საწარმოებისა და ორგანიზაციების ძალებით, ყველაზე ეფექტიან სიახლეთა ნიმუშების დაგროვება და გამოცდა. მიზანშეწონილად არის მიჩნეული ქალაქებში, რაიონულ ცენტრებსა და სხვა დასახლებულ პუნქტებში შეიქმნას თვითმოქმედი ტექნიკური შემოქმედების კლუბები სამეცნიერო-საწარმოო და საწარმოო გაერთიანებებთან, საწარმოებთან და ორგანიზაციებთან. ასეთი კლუბები შეიძლება შეიქმნას აგრეთვე კულტურის სასახლეებთან (სახლებთან) და სხვ.

დადგენილია შესაბამისი პრემიები, რომლებიც ენიჭებათ თვითმოქმედ ავტორებს საუკეთესო ნამუშევრებისა და კონსტრუქციული გადაწყვეტების საკავშირო კონკურსების შედეგების მიხედვით. გამოიცემა სპეციალური ჟურნალი.

15. რატომაა საჭირო მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ინფორმაციული და ტექნიკური უზრუნველყოფა?

მეცნიერულ-ტექნიკური განვითარების მნიშვნელოვანი პირობაა მეცნიერული და ტექნიკური ინფრასტრუქტურის, მეცნიერებისა და მეცნიერული მომსახურების ქსელის, საცდელი საწარმოების, სამეცნიერო მოწყობილობის გაქირავების პუნქტების, საცდელი ბაზების არსებობა და შემდგომი განვითარება. ინფრასტრუქტურის განვითარება ხელს უწყობს საჭირო მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების წარმოჩენას. ამიტომ მნიშვნელოვანია გაგრძელდეს მეცნიერებისა და მეცნიერული მომსახურების სფეროს ორგანიზაციის მოწესრიგება მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალის კონცენტრაციის მიმართულებით მტპ-ის საკვანძო ამოცანების გადაწყვეტისათვის.

ბოლო დროს შეინიშნება მეცნიერებისა და ტექნიკის სფეროების მუშაკთა ფონდშიარაღების დონის ამაღლების დადებითი ტენდენცია: 1985 წლიდან ხარჯები ცოცხალი შრომის ანაზღაურებაზე (ხელფასის ფონდი) მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების სფეროში მნიშვნელოვნად გაიზარდა. დარგების „მეცნიერება და მეცნიერული მომსახურება“ ძირითადი ფონდები ქვეყანაში შეად-

გენს 30 მილიარდ მანეთს. მათგან დაახლოებით ნახევარი მოდის აქტიურ ნაწილზე, ე. ი. ტექნიკურ საშუალებებზე, მაგრამ ჩამორჩენას ამ საქმეში მაინც აქვს ადგილი. მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალის ფუნქციონირების ეფექტიანობაზე არასასიკეთო გავლენას ახდენს საცდელი (ექსპერიმენტული) ბაზებით მისი აღჭურვის დაბალი დონე. სამეცნიერო ორგანიზაციები, რომლებსაც აქვთ საცდელი ბაზითა და სამეცნიერო მოწყობილობით აღჭურვილობის მაღალი დონე, წარმატებებს აღწევენ თავიანთი სამუშაოების რეალიზაციაში. ექსპერიმენტის ავტომატიზაციის დონე ბევრ შემთხვევაში რევოლუციურ გავლენას ახდენს სამეცნიერო კვლევისა და ნაშრომების ხარისხსა და ეფექტიანობაზე. ამის მაგალითები ბევრია როგორც მთელ ქვეყანაში, ისე რესპუბლიკაშიც. ამიტომ ახლა უკვე დადგა მომენტი, როცა მეცნიერებისა და ტექნიკის სფეროს განვითარების ფუნქციონირების ეფექტიანობის პერსპექტიული ამალგებისათვის პირობების შექმნის მიზნით წავიდეთ ამ სფეროზე ხარჯების წილის სახელმწიფო რეგულირებაზე, რომელიც მიმართული იქნება მისი საცდელი (ექსპერიმენტული) ბაზის განვითარებაზე. 1986—1990 წლებში მის განვითარებაზე გაიღებენ მეცნიერების ობიექტების მშენებლობაზე გამოყოფილ კაპიტალურ დაბანდებათა საერთო მოცულობის არანაკლებ 50%-ისა.

შემდგომ უნდა განვითარდეს საპატენტო მეცნიერულ-ტექნიკური ინფორმაციის, განსაკუთრებით დარგთაშორისი მნიშვნელობის სახელმწიფო სისტემა. მნიშვნელოვანია ავამაღლოთ მისი როლი მტპ-ის დაჩქარებაში, აგრეთვე გაფართოვდეს მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების გაცვლა სახალხო მეურნეობის დარგებსა და უწინარეს ყოვლისა პროგრესულ კომპლექსურ ტექნოლოგიებს შორის. ქვეყანაში საინფორმაციო მომსახურებას ეწევა დაახლოებით 250 ინსტიტუტი და ცენტრი. საწარმოებსა და ორგანიზაციებში მეცნიერულ-ტექნიკური ინფორმაციის სხვადასხვა განაყოფის დიდი რაოდენობაა. საკიროა, რომ ამ სფეროში მომუშავენი მიახლოებულნი იყვნენ უშუალო მომხმარებლებთან.

ჩვენს რესპუბლიკაში ამ მხრივ დადებით მუშაობას ეწევა, მაგალითად, საქინფორმაციის სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციისა და პროპაგანდის რესპუბლიკური ცენტრი. რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვას ისიც უწყობს ხელს, რომ ეს ცენტრი რაიონების აგროსამრეწველო გაერთიანებებსა და საზოგა-

დობრივ მეურნეობებს დროულად აწვდის სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების მიერ მაღალკვალიფიციურად შედგენილ რეკომენდაციებსა და მეთოდოლოგიურ მითითებებს. 1986 წელს მომზადდა, გამოცა და რაიაგროსამრეწველო გაერთიანებებს დაურიგდათ რაციონალური წინადადებების 10 კრებული, სადაც მოცემულია 171 დასახელების დასანერგავი რეკომენდაცია. აგროსამრეწველო კომპლექსში მტპ-ის მიღწევების დაჩქარებული დანერგვისა და ამ საქმიანობის ფართო პროპაგანდის მიზნით უშვებენ ახალი ტექნიკის პროსპექტებს, პლაკატებს და სხვ.

სკკპ ცკ-ისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1987 წლის დადგენილებაში „ქვეყანაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მართვაში სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის როლის ამაღლების შესახებ“ დიდი ამოცანებია დასახული მეცნიერულ-ტექნიკური ინფორმაციის სახელმწიფო სისტემის ორგანიზაციის გაუმჯობესებისათვის, მისი ქმედითობის ამაღლებისათვის. დიდი მუშაობა უნდა გაიშალოს ინფორმაციის ანალიზის შეფასებისათვის, მართვის ორგანოების, სამეცნიერო ორგანიზაციების, გაერთიანებებისა და საწარმოების ოპერატიული უზრუნველყოფისათვის სანდო, მიზნობრივი, სამამულო და საზღვარგარეთის ინფორმაციებით, ანალიტიკური ინფორმაციებით. ანალიტიკური ინფორმაცია მართვის სხვადასხვა რგოლისათვის თავისი შინაარსით წარმოდგენილი უნდა იქნეს ისეთი სახით, რომ მის საფუძველზე შესაძლებელი იყოს საჭირო გადაწყვეტილების მიღება.

16. სამუშაო ადგილების ორგანიზაციისა და მათი მომსახურების გაუმჯობესება რატომ არის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის აუცილებელი პირობა?

სამუშაო ადგილი საწარმოო პროცესის ორგანიზაციის პირველადი რგოლია. იმისათვის, რომ საწარმოო პროცესი სათანადოდ იქნეს ორგანიზებული, უნდა იყოს სამუშაო ადგილი, რისთვისაც საჭიროა განისაზღვროს ოპერაციათა ნუსხა, რაც უნდა შეასრულოს განსაზღვრულმა მანქანებმა, როგორც საწარმოო ფართობის ნაწილმა. ეს ფართობი მასზე მოთავსებული მანქანებით უნდა გაუპიროვნდეთ მუშებს ან მუშათა ბრიგადას და უზრუნველვეყოთ ისინი დამხმარე მოწყობილობით, ინსტრუმენტებით და სხვ. ამით ხორციელდება საწარმოო პროცესების ორგანიზაციის პირველი საფე-

ხური. შემდგომი საფეხურებია საწარმოო უბნების, საამქროების, ხაზების თუ საწარმოო განყოფილებების ორგანიზება.

მანქანა-აგრეგატების კონსტრუირების მსგავსად მაღალი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების მიღწევის მიზანია სამუშაო ადგილის რაციონალური დაგეგმარება. ეს კი დამოკიდებულია არა მარტო მის სპეციალიზაციაზე, ტექნოლოგიურ რეჟიმზე, შესასრულებელ სამუშაოთა მექანიზაციის დონეზე, არამედ ამ სამუშაო ადგილზე დასაქმებული მუშების რაოდენობაზე, დაყენებული მანქანა-აგრეგატების გაბარიტებზე, კონსტრუქციასა და რაოდენობაზე.

არჩევნ ინდივიდუალურ, ბრიგადულ, მრავალდაზგოსნურ და პროფესიაშეთავსებულ სამუშაო ადგილებს. სამუშაო ადგილების ორგანიზაციის კონკრეტული პირობები განსხვავებულია. თუმცა შესაძლებელია გამოვეყოთ მუშის მდგომარეობის, მექანიზმების, მასალების, ინსტრუმენტების განლაგების, ბარისხის, შემადგენლობის და მუშაობის ცალკეული ელემენტების დროში შეთანხმების მიხედვით სამუშაო ადგილის ორგანიზაციის საერთო პრინციპებიც. მაგალითად, სამუშაო ადგილი ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ მუშა იმყოფებოდეს მართვის ყველა ხელსაწყოსთან, ინსტრუმენტსა და მასალებთან ახლოს. ინსტრუმენტები ისე უნდა განლაგდეს, რომ გადავიღდეს მათი გამოყენება. მუშას უნდა შეეძლოს ერთ უბანზე მანქანით მუშაობის შეთავსება მეორე უბანზე ხელით მუშაობასთან და ა. შ.

ყოველივე ეს და სხვა მსგავსი კომპონენტები წარმოადგენენ მტპ-ის დაჩქარების, მისი უკუგების ამალგების საფუძველს, აუცილებელ პირობას და ჩვენც ყოველთვის უნდა ვზრუნავდეთ სამუშაო ადგილების სრულყოფაზე.

17. როგორია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების დაწერვის გზები, რა მიზეზები უშლის მას ხელს და როგორ აღმოვფხვრათ ისინი?

ქვეყანაში, რესპუბლიკაში, თითოეულ შრომითს კოლექტივში გვაქვს მეცნიერებისა და წარმოების ინტეგრაციის, მტპ-ის მიღწევების დაჩქარებული დაწერვის, მისადმი მართვის გაუმჯობესების გარკვეული გამოცდილება. საკმარისია ითქვას, რომ მსოფლიოს ტექნიკური სიახლეების 20% საბჭოთა კავშირზე მოდის. უკანასკნელი ათი წლის მანძილზე ქვეყანაში 700 ათასზე მეტი გამოგონების საავტორო მოწმობა გაიცა, რაც ყოველწლიურად 7 მილიარდი

მანეთის ეკონომიკურ ეფექტს იძლევა. ასობით საბჭოთა ლიცენზიები იყიდება აშშ-ში, იაპონიაში, კანადაში, საფრანგეთში, და სხვ.

ჩვენი ქვეყნიდან შეგვიძლია მოვიყვანოთ კონკრეტული მაგალითიც. ეს არის მოსკოვის საწარმოო გაერთიანება „ზილი“, რომელმაც მალალი შეფასება მიიღო სკკ XXVII ყრილობაზე. როგორ აღწევენ აქ წარმატებას? პირველი, გაერთიანების ტექნიკური სამსახური ნიადაგ უკეთებს ანალიზს გამოკვლევების, აღმოჩენების, გამოგონებების ფართო წრეს, რომლებიც შეიძლება სასარგებლო აღმოჩნდეს გაერთიანებისათვის;

მეორე, გაერთიანებისათვის შერჩეული ყველაზე პერსპექტიული მიღწევების საფუძველზე იდება ხუთწლიანი ხელშეკრულება მთელ რიგ წამყვან სამეცნიერო დაწესებულებებსა და უმაღლეს სასწავლებლებთან და დგება ერთობლივი მუშაობის პრობლემები, საკიროების შემთხვევაში იქმნება საერთო კოლექტივები; მესამე, გაერთიანება გამოჰყოფს საკონსტრუქტორო, საინჟინრო, ტექნოლოგიურ კადრებს, საკირო მოწყობილობას, რესურსებს და ორგანიზაციას უკეთებს ხელშეკრულებებით გათვალისწინებული მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების დაჩქარებულ ათვისებას. ასეთმა სისტემამ შექმნა საშუალება უმოკლეს ვადაში აითვისონ მთელი რიგი ეფექტიანი ტექნიკური სიახლეები, მკვეთრად შეამცირონ გზა ფუნდამენტური ნამუშევრებიდან მათ პრაქტიკულად გამოყენებამდე.

მაგრამ სახალხო მეურნეობაში დანერგილი მტპ-ის მიღწევების შედეგები სრულებით არ არის საკმარისი, ვერ აკმაყოფილებს დღევანდელი ცხოვრების მოთხოვნებს, მით უმეტეს, რომ XII ხუთწლედში ტექნიკური პროგრესის მიღწევების დანერგვის საფუძველზე მკვიდრი საძირკველი უნდა ჩაეყაროს წარმოების ინტენსიფიკაციას, შეიქმნას მარაგნაკეთი შემდგომი ეკონომიკური და სოციალური განვითარებისათვის. მაგალითად, ავილოთ შედარებით ისეთი მოწინავე საწარმოები, როგორიც არიან თბილისის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „თბილელექტროამქრავი“ და საწარმოო გაერთიანება — „საქელექტრომანქანა“. აქ ნელა გარდაიქმნება მუშაობა მეცნიერულ-ტექნიკურ მიღწევათა დანერგვისა და წარმოების ხელახლა ტექნიკური განახლებისათვის.

რა უშლის ხელს მოწინავე ტექნიკისა და პროგრესული ტექნოლოგიების დანერგვას, მტპ-ის მიღწევების რეალიზაციას?

ერთ-ერთი მიზეზია აღნიშნული პრობლემისადმი უწყებრივი მიდგომა. მეორე არსებითი მიზეზია ნაკლოვანებები მუშაობის შე-

ფასების მექანიზმში და ახალი ტექნიკის დამმუშავებლების, დამამზადებლებისა და მომხმარებლების მატერიალურ სტიმულირებაში. ამჟამად ახალი ტექნიკის დამმუშავებელი ნიმუშების ეფექტიანობა უპირატესად ფასდება ეკონომიკური ეფექტის საზომით მათი წარმოებაში ფართოდ დანერგვის პირობებში. ეს დამმუშავებლებს აიძულებს მხედველობაში ჰქონდეთ არა იმდენად სიახლე და დამმუშავებელი ტექნიკის მეცნიერულ-ტექნიკური დონე, რამდენადაც დანერგვის მასშტაბებთან შექმნილი სიტუაცია. საკითხის დადებითად გადაწყვეტისათვის საჭიროა დამმუშავებლების შრომის შეფასებასა და სტიმულირებაში პირველ პლანზე დავაყენოთ დამმუშავებელი ნიმუშების პროგრესულობის დონე. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ დანერგვის ძირითადი საკითხები ახლა გადადის ცენტრალიზებული დაგეგმვისა და მართვის სფეროში, ახალი ტექნიკის ათვისების შეფასებაში და მათ მატერიალურ სტიმულირებაში. ანალოგიური ნაკლოვანებებია მის დამამზადებლებსა და მომხმარებლებთანაც.

საქმის წარმატებას ხელს უშლის ტექნიკური და საორგანიზაციო ხასიათის საკითხების მოუგვარებლობა, საპროექტო-ტექნიკური დოკუმენტაციის დაუმუშავებლობა, მატერიალურ-ტექნიკური რესურსების არადროული მიწოდება და სხვ.

ხელშემშლელია ისიც, რომ ახალი დიდეფექტიანი ნაწარმის ათვისებასთან და მისი ტექნიკური დონის ამაღლებასთან დაკავშირებული ღონისძიებები არ არის საკმარისი. ზოგჯერ მაინც კარბობს წარმოების მთლიან მოცულობაში ათი და მეტი წლის უკან არსებული პროდუქციის ხვედრითი წილი. გამოშვებული მანქანები, მოწყობილობა, ხელსაწყოები კი ხშირად ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნებს და სხვ. რესპუბლიკის ზოგიერთმა სამინისტრომ, უწყებამ, საკავშირო დაქვემდებარების საწარმომ 1987 წელს ვერ შეასრულა ახალი ტექნიკის დანერგვის გეგმა, ვერ დაინერგა სახელმწიფო გეგმით გათვალისწინებული სამი და დაუმთავრებელი დარჩა ბევრი სიახლე. ეს ძირითადად აიხსნება ტექნიკური და ორგანიზაციული ხასიათის საკითხების მოუგვარებლობით, საპროექტო ტექნიკის დოკუმენტაციის, მეცნიერულ-ტექნიკური რეკომენდაციის დაუმუშავებლობით, მატერიალურ-ტექნიკური რესურსების არადროული მიწოდებით და სხვ.

18. რა ზემოქმედებას ახდენს სოციალისტური შეჯიბრება მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესზე?

სოციალისტური შეჯიბრება და მტკ ვანუყრელადაა დაკავშირე-

ბული ერთმანეთთან. მეცნიერების განვითარებაში, ახალი ტექნიკისა და პროგრესული ტექნოლოგიის დამუშავებაში, ახალი თაოსნობებისა და მუშაობის ხერხების ძიებაში, რაციონალიზაციასა და გამომგონებლობაში მეტად იჩენს თავს ადამიანის მისწრაფება ახლისაკენ, პროგრესულისაკენ, მისი შემოქმედებითი საწყისი. სოციალისტური წყობილება ობიექტურად განაპირობებს მშრომელი მასების შემოქმედებითს აქტიურობას. სოციალიზმი არა მარტო იცილებს თავიდან წინააღმდეგობას ტექნიკური პროგრესის გზაზე, არამედ ავითარებს და მხარს უჭერს მეცნიერულ-ტექნიკურ შემოქმედებას, სტიმულს აძლევს გამომგონებლებისა და რაციონალიზატორების მოძრაობას.

შეჯიბრება როგორც ეკონომიკური ურთიერთობა, თავის რეალურ ხორცშესხმას პოულობს სამეურნეო მექანიზმში. შეჯიბრების ორგანიზაცია წარმოადგენს უწინარეს ყოვლისა სოციალისტური ეკონომიკის განვითარების, საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლობისა და წარმოების ეფექტიანობის ამაღლების უმნიშვნელოვანეს საშუალებას. შეჯიბრების ეკონომიკური ასპექტები (ეკონომიკური შეჯიბრება) ყველაზე მეტად მნიშვნელოვანია სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების პირობებში. როგორც სკკპ XXVII ყრილობაზე აღინიშნა, თუ ჩვენ ვერ შევძლებთ ახალ, შეუღარებლად უფრო მაღალ დონეზე ავიყვანოთ საწარმოო, ეკონომიკური შეჯიბრება, მეტოქეობა მეცნიერების, მხატვრული შემოქმედების დარგში, ვერ გადავწყვეტთ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ ამოცანებსაც.

მთელი მუშაობის მთავარ მიზანს სამეურნეო მექანიზმის მართვისა და შეჯიბრების ორგანიზაციის სრულყოფისათვის წარმოადგენს წარმოების უმაღლესი ეფექტიანობის მიღწევა. ეს კი მტპ-ის მთავარი მიზანიცაა. მაშასადამე, შეჯიბრებამ მტპ-ის ტემპების დაჩქარებისათვის საჭიროა საგრძნობი ზეგავლენა მოახდინოს წარმოების საბოლოო შედეგების გაუმჯობესებაზე. შედის რა მტპ-ის მართვის სისტემაში, შეჯიბრება ემსახურება მთელი საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას. კიდევ მეტი, ცნობილია, რომ ჩვენთვის ყველაფერს ნიშნავს შრომის ნაყოფიერების ზრდა. ამის მიღწევის ერთადერთ გზას კი ტექნიკისა და ტექნოლოგიის სრულყოფა წარმოადგენს, რაც გამოიხატება ახალი მეცნიერული იღებებისა და ახალი ტექნიკური გადაწყვეტების სრულყოფაში. ამიტომ შეჯიბრებისათვის ამოსავალი პუნქტი უნდა, იყოს მტპ-ის

დაჩქარება. ჩვენ ხომ ვიცით, რომ სოციალისტური შეჯიბრების მთავარ ფუნქციებად სხვა ფაქტორებთან ერთად ითვლება ასაღრი ტექნიკის ათვისება. შედის რა მტპ-ის მართვის სისტემაში, შეჯიბრება ემსახურება მცელი საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას. ეს ობიექტური პროცესია. მაგრამ სპეციალური ღონისძიებები შეჯიბრების ორგანიზაციისათვის ხდის მას კიდევ უფრო მიზანსწრაფულს, ხელს უწყობენ დასახული მიზნის უფრო სწრაფად მიღწევას.

არანაკლები მნიშვნელობა აქვს ისეთი ეკონომიკური პირობების შექმნას, რომლებიც სტიმულს მისცემდნენ მეტოქეობის განვითარებას, შეჯიბრების სულისკვეთებას ცალკეულ მშრომელებს შორის და მათს კოლექტივებს მტპ-ის განვითარებისათვის. საჭიროა მივალწიოთ, რომ ტექნიკური შემოქმედებისადმი მისწრაფება და ტექნიკური სიახლეების გეგმაზომიერი დანერგვა ხელსაყრელი იყოს თითოეული საწარმოო კოლექტივისათვის.

ამგვარად, დღეს, როცა შეჯიბრების დამახასიათებელი თავისებურებაა მისი შინაარსობრივი მხარის შეცვლა, მშრომელთა შემოქმედებითი აქტიურობის გამოყენების სფერო სულ უფრო ხდება ტექნიკის შექმნა, დანერგვა და ეფექტიანი გამოყენება.

ქმედითი შეჯიბრება მტპ-ის დაჩქარებისათვის მოითხოვს სათანადო ეკონომიკური პირობების შექმნას თვით ტექნიკური პროგრესის განხორციელებისათვის. პრაქტიკაში ხშირად ხდება ისე, რომ უფრო იაფიანი ტექნიკის, ტექნოლოგიის ან მასალების გამოყენება საწარმოებს ხელს არ აძლევს, რადგან აქვეითებს წარმოების მოცულობის მაჩვენებლებს. არის სხვა მიზეზებიც. აქ შეიძლება სხვადასხვანაირი ღონისძიების განხორციელება, მაგრამ ყველა ისინი მაინც ვერ ცვლიან მდგომარეობას მთლიანობაში.

შეჯიბრების უკუგება ყველგან და ყოველთვის რომ არ არის ერთნაირად საგრძნობი, აკლია ზუსტი ორიენტაცია შრომის ნაყოფიერების, პროდუქციის ხარისხის ამაღლებაზე, რესურსების ეკონომიაზე, მტპ-ის დაჩქარებაზე, ამის ძირითადი მიზეზი ის არის, რომ შეჯიბრების ფორმები და მეთოდები სრულად ჯერ კიდევ არ შეესაბამება ეკონომიკური განვითარების თანამედროვე ეტაპის ხასიათს.

როგორც ცნობილია, შეჯიბრების ორგანიზაცია შეადგენს წარმოების ორგანიზაციის სისტემის ორგანულ ნაწილს, ამიტომ, თუ წარმოების ორგანიზაცია ისეთია, რომ ხელს არ უწყობს მტპ-ის დაჩქარებას, მაშინ მისი ტემპების დაჩქარებისათვის ცალკე ორგანიზე-

ბული შეჯიბრება მოცემულ საწარმოში, როგორც წესი, ფორმალური იქნება. მეტი ურთიერთკავშირია საკუთრო შეჯიბრებასა და სახალხო-სამეურნეო დაგეგმვას შორის, წარმოების ეკონომიკური სტიმულირების სისტემასა და მტპ-ის მართვას შორის.

მტპ-ის დაჩქარებისათვის შეჯიბრების ერთ-ერთი სპეციალური ფორმაა შეჯიბრება მეცნიერებაში — სამეცნიერო-კვლევით, საპროექტო და საკონსტრუქტორო ორგანიზაციებს შორის, აგრეთვე უმაღლესი სასწავლებლების მეცნიერულ დანაყოფებს შორის.

მტპ-ის გავლენა შეჯიბრებაზე იმაში გამოიხატება, რომ სახალხო მეურნეობის დარგებში ტექნიკური სიახლეების ფართოდ გამოყენების როლის ამაღლება არსებით გავლენას ახდენს შეჯიბრების შინაარსზე. შეჯიბრების შინაარსი — ეს არის მასში ჩაბმულთა შემოქმედებითი აქტიურობის კონცენტრაციის ფორმა, კონკრეტული მიზანი, რომელთა მიღწევაზეა მიმართული შრომითი მეტოქეობის ორგანიზაცია. ასეთ მიზნებად ამჟამად სულ უფრო მეტად ხდება წარმოების ტექნიკური დახასიათება, მისი მეცნიერულ-ტექნიკური დონის ამაღლება.

ახალი ტექნიკის დანერგვის სტადიაზე წარმოშობილი შეჯიბრების სპეციალური სახეობები მნიშვნელოვნად უწყობს ხელს წარმოების ტექნიკური დონის ამაღლებას.

საწარმოებში მტპ-ის დაჩქარებაზე ორიენტირებული შეჯიბრების სპეციალურ სახეობებს განეკუთვნება:

გამომგონებლებისა და რაციონალიზატორების შეჯიბრება, მასების ტექნიკურ შემოქმედებას რომ ასტიმულირებს;

დათვალიერებები და კონკურსები, მეცნიერულ-ტექნიკური ამოცანების გადაწყვეტაზე რომ არის გამიზნული;

საინჟინრო-ტექნიკური მუშაკების პირადი შემოქმედებითი გეგმები, რომელთა ძირითადი შინაარსი უნდა იყოს წარმოების ტექნიკური დონის ამაღლება;

ხელშეკრულებები მეცნიერულ-ტექნიკურ თანამეგობრობაზე და შეჯიბრება დაწესებულებებსა და უმაღლეს სასწავლებლებს შორის, ერთი მხრივ, და საწარმოო საწარმოებს შორის, მეორე მხრივ;

კომპლექსური შემოქმედებითი ბრიგადების შეჯიბრება, რომელთა შემადგენლობაში ჩართული არიან ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და სხვ.

შეჯიბრების ყველა ეს სახეობა არსებით გავლენას ახდენს მტპ-ის დაჩქარებაზე. ამოცანა ის არის, რომ სისტემატურად მალდებოდეს მათი უკუგება.

**მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაგეგმვა და
სტიმულირება**

1. რას წარმოადგენს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაგეგმვის სისტემა?

მტპ-ის განვითარების დაგეგმვის სისტემა წარმოადგენს სახალხო მეურნეობისა და მთლიანად გეგმიური მართვის საერთო სისტემის ორგანულ შემადგენელ ნაწილს და ამავე დროს სახალხო მეურნეობის მტპ-ის გეგმიური მართვის მთავარ საშუალებას. ამ ფუნქციის შესასრულებლად აუცილებელია საზოგადოებრივი წარმოების ტექნიკური დონის ამაღლება, რაც ნიშნავს საზოგადოებრივი წარმოების სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობის არსებით და ნიადაგ ზრდას. მტრ-ის დაგეგმვის სისტემა მოიცავს საქმიანობის, ურთიერთდამოკიდებულების ყველა სფეროს, რომლებიც საჭიროა მტრ-ის გეგმების მომზადებისა და დამუშავებისათვის. ეს გეგმები კი ასრულებენ მათი რეალიზაციის, გაკონტროლების ფუნქციას.

საშუალოვადიანი დაგეგმვა უნდა გახდეს მტრ-ის სახელშეკრულებო სტრატეგიის თანმიმდევრობით რეალიზაციისა და სახალხო მეურნეობის განვითარების საშუალება. მისი მნიშვნელობა განპირობებულია მისი შინაარსისადმი ძირითადი მოთხოვნით. საშუალოვადიანი დაგეგმვის ძირითადი ამოცანებია: წარმოებისა და მზა პროდუქციის ტექნიკურ-ეკონომიკური დონის ამაღლება როგორც წამოყენებული სოციალურ-ეკონომიკური მიზნების შედეგი; გამოკვლევებისა და დამუშავებების ჩატარება, საერთაშორისო მეცნიერულ-ტექნიკური ურთიერთობის განვითარება; ლიცენზიები, ახალი ტექნიკის, გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების იმპორტი; მტრ-ის უზრუნველყოფა შრომითი, მატერიალური და ფინანსური რესურსებით, კაპიტალდაბანდებით და სხვ.

შეთორმეტე ხუთწლედში გეგმიური მუშაობის გარდაქმნის უმნიშვნელოვანეს მიმართულებად უნდა გახდეს მტპ-ის გამჭოლ დაგეგმვაზე გადასვლა. გამჭოლი — ე. ი. გამსჭვალავი, შემაპირისპირებელი, შემკვრელი. ამ განსაზღვრებებში მტპ-ის დაგეგმვის ახალი

სისტემის არსია მოცემული. გამჭოლი დაგეგმვის ძირითადი პრინციპია კომპლექსურობა. ეს სისტემა ამჟამად ჩამოყალიბების სტადიაშია. უნდა აღინიშნოს, რომ დაგეგმვა, რომელიც გამიზნულია პრინციპულად ახალი ტექნიკისა და პროგრესული ტექნოლოგიის დამუშავებაზე, უნდა ატარებდეს ნათლად გამოკვეთილ სტრატეგიულ ხასიათს. ტექნიკის თაობების კანონზომიერებათა და ტენდენციების გამოვლენა და აღრიცხვა მოითხოვს გრძელვადიანი დაგეგმვისა და პროგნოზირების როლის ამაღლებას.

ორგანიზაციულად მტპ-ის გამჭოლი დაგეგმვის სისტემა მოითხოვს მტპ-ის ნაკრები გეგმის წამყვანი როლის უზრუნველყოფას ერთიანი სახალხო-სამეურნეო გეგმის სისტემაში, ცენტრალური საგეგმო ორგანოების როლისა და პასუხისმგებლობის ამაღლებას მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების მეცნიერულად დასაბუთებული პერსპექტივების დამუშავებაში და ამის საფუძველზე მათ მუშაობაში სტრატეგიული მიმართულების გაძლიერებას; საჭიროა ჩეცნიერებისა და წარმოების ინტეგრაციის ახალი ორგანიზაციული ფორმების გამოყენების სფეროს გაფართოება და სხვ.

მტპ-ის გამჭოლი დაგეგმვის სისტემის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი განეკუთვნება ტერიტორიულ ასპექტს. ამჟამად უკვე გვაქვს ინტეგრაციული პროგრამის „ინტენსიფიკაცია—90“-ის დამუშავებისა და რეალიზაციის დადებითი გამოცდილება ლენინგრადსა და ლენინგრადის ოლქში, საქართველოში და სხვ.

მტპ-ის გამჭოლი დაგეგმვის პრინციპების რეალიზაცია განუყრელადაა დაკავშირებული მეცნიერებისა და ტექნიკის დარგობრივი გეგმების სრულყოფასთან.

მტპ-ის დაჩქარების ამოცანები მოითხოვს საწარმოებში ახალი ტექნიკის გეგმების თვისებრივ გაუმჯობესებას. აქ საჭიროა მეტი ვიზრუნოთ არა დღევანდელ, არამედ ხვალინდელ, ზეგინდელ დღეზეც. სხვანაირად ძნელია შევახამოთ მეცნიერული ორგანიზაციებისა და სამრეწველო საწარმოების ინტერესები.

დღევანდელი დღის მოთხოვნაა გეგმამ დაინტერესოს საწარმოების, გაერთიანებების, სამეცნიერო ორგანიზაციების კოლექტივები პრინციპულად ახალი ტექნიკის დამუშავებასა და დანერგვაზე. ამას მნიშვნელოვნად უნდა შეუწყოს ხელი სამეურნეო მექანიზმმა, იმ მექანიზმის ამოქმედებამ, რომელიც სკკპ ცკ-ის ივნისის პლენუმმა შეიმუშავა.

2. რა ადგილი უჭირავს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაგეგმვას სამეურნეო საქმიანობის დაგეგმვის სისტემაში?

საწარმოს საქმიანობა მტპ-ის სფეროში ექვემდებარება საწარმოს ტექნიკური დონის ამაღლებას, წარმოების ორგანიზაციის სრულყოფას, ახალი ტექნოლოგიური პროცესების დანერგვას, გამოსაშვება პროდუქციის ხარისხის ამაღლებას მოწინავე მსოფლიო სტანდარტების დონეზე.

მართვის ახალ სამეურნეო მექანიზმზე გადასვლასთან დაკავშირებით მკვეთრად იზრდება მტპ-ის როლი, რაც გამოიხატება შემდეგში:

ქვეყნის განვითარების გეგმებში პარტიის ეკონომიკური სტრატეგიის განხორციელების მიზნით იწყება სწრაფი ეკონომიკური და სოციალური განვითარების კონცეფციის შემუშავება თხუთმეტწლიანი პერიოდისათვის. იგი მოიცავს ეკონომიკის განვითარების პრიორიტეტულ გზებს, განსაზღვრავს სტრუქტურულ და საინვესტიციო პოლიტიკასა და მტპ-ის მიმართულებებს.

სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების კონცეფცია ემყარება სსრ კავშირის მტპ-ის განვითარების კომპლექსურ პროგრამას, ეუს წევრი ქვეყნების მტპ-ის კომპლექსურ პროგრამებს, სახელმწიფო მიზნობრივ მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრამას და სხვ.

ყოველივე აქედან ჩანს, თუ რა დიდი ადგილი უჭირავს მტპ-ის დაგეგმვას მთლიანი დაგეგმვის სისტემაში, რადგან ცალკეული დარგის (თუ საწარმოს) განვითარების ხუთწლიანი გეგმები ემყარება ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების კონცეფციას, რომელიც, თავის მხრივ, როგორც დაინახეთ, მთლიანად გამომდინარეობს განვითარების გეგმებიდან.

ყველა საგეგმო ორგანიზაციის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა მტპ-ის დაჩქარებული განვითარებისათვის პირობების შექმნა დაგეგმვის, ეკონომიკური მეთოდების, ბერკეტებისა და სტიმულირების სრულყოფის საფუძველზე, ძირეულად უნდა გადაისინჯოს მეცნიერებისა და ტექნიკის შინაარსი და შემადგენლობა მართვის ყველა დონეზე. ამასთან უნდა გამოვდიოდეთ შემდეგიდან:

— სახალხო-სამეურნეო დაგეგმვისას ყურადღება გავამახვილოთ მტპ-ის მთავარ მიმართულებებზე, რომლებიც არეგოლუციონერებს საზოგადოებრივ წარმოებას, დარგთაშორისი ხასიათის სახელმწიფო მიზნობრივ მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრამებს. ეუს

წევრი ქვეყნების მტკ-ის კომპლექსურ პროგრამებს, ასევე დარგთა-შორისი მეცნიერულ-ტექნიკური კომპლექსების განვითარებას;

— დარგობრივი დაგეგმვა წარმართოთ პერსპექტიული ტექნიკური პოლიტიკის განხორციელებაზე, პროდუქციის პრინციპულად ახალი სახეობების გამოშვებასა და თითოეულ დარგში მეცნიერების, ტექნიკისა და პროგრესული ტექნოლოგიების უახლესი მიღწევების ფართომასშტაბური გამოყენების უზრუნველყოფაზე;

— წარმოებებსა და გაერთიანებებში დაგეგმვა დავუქვემდებაროთ წარმოების ტექნიკური დონის სისტემატური ამაღლების, პროდუქციის განახლების, ხარისხის გაუმჯობესებისა და მისი მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფის ამოცანებს.

8. რა როლს ასრულებს წარმოების, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ფონდი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაში?

საწარმოების კვლავწარმოების საკუთარ წყაროებზე გადაყვანაში განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს ასრულებს წარმოების, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ფონდი. საქმე ის არის, რომ საწარმოებისა და გაერთიანებების სტაბილური ეფექტიანი მეურნეობრიობა შეიძლება მხოლოდ წარმოების ნიადაგ ტექნიკური განახლების ბაზაზე მტკ-ის მიღწევათა შესაბამისად. წარმოების, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ფონდის ჩამოყალიბებისა და გამოყენების ქმედითი მექანიზმის შექმნისა და მისგან წარმოშობილი სტერეოტიპების დაძლევის გარეშე ასეთ მეურნეობრიობას აზრი არა აქვს.

სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ კანონის შესაბამისად წარმოების, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ფონდის ჩამოყალიბება ნიშნავს საწარმოებში კვლავწარმოების სრულყოფის წყაროების არა მარტო გაფართოებას ფონდის შემადგენლობაში მთელი ამორტიზაციის გადარიცხვის გზით, არამედ უბრალოდ დაფინანსებაზე გადასვლას საწარმოების ხარჯების ანგარიშზე მტკ-ის დანერგვისათვის. სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პირობებში ფონდის როლის შეცვლის არსი ის არის, რომ იგი პირველად იქცევა წარმოების ნაწილობრივი სრულყოფის ფონდიდან იმ ფონდად, რომლის მეშვეობით სრულად უნდა იყოს უზრუნველყოფილი საწარმოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის

მარტივი და გაფართოებული კვლავწარმოება მტპ-ის, გამოშვებული პროდუქციის განახლების ამოცანების გადაწყვეტის მოთხოვნების შესაბამისად.

თვითდაფინანსების პირობებში საწარმოები პირველად იღებენ შესაძლებლობას რენოვაციაზე (აღდგენაზე) ამორტიზაციის გადა-რიცხვისა და მოგებიდან ანარიცხების მეოხებით ნამდვილად გამოი-მუშაონ ფინანსური სახსრები საკუთარი კვლავწარმოებისათვის. ამით კვლავწარმოებითი ფუნქციის შეცვლა წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად რგოლს სამეურნეო ანგარიშის არასრულიდან სრულად გადაქცევაში. ზემოაღნიშნული ფონდის შექმნის ახალი წესის მეო-ხებით საწარმოები და გაერთიანებები ნამდვილად აგებენ პასუხს თა-ვიანთი საქმიანობის შედეგებისათვის, რადგან მათ დამოუკიდებლად უნდა გამოიმუშაონ სახსრები თავიანთი საწარმოო პოტენციალის განუწყვეტელი სრულყოფისათვის პერსპექტივაში და ამის საფუძ-ველზე უზრუნველყონ მოგების ან სამეურნეოანგარიშიანი შემოსავ-ლის ზრდა.

ფონდის ახალი კვლავწარმოებითი ფუნქცია გულისხმობს, რომ მისი საზღვრები მნიშვნელოვნად უნდა გაფართოვდეს. ამ გაფართო-ებას უნდა მივალწიოთ არა მარტო რენოვაციაზე ამორტიზაციის ანა-რიცხების გადარიცხვის ხარჯზე, არამედ მოგებიდან ანარიცხების გადიდების გზით სტაბილური გრძელვადიანი ნორმატივების მი-ხედვით.

ტექნიკური პროგრესი მოითხოვს, რომ განვითარების ფონდში გადასარაქები მოგების წილი მნიშვნელოვნად გაიზარდოს. ამ მოთ-ხოვნამ ასახვა უნდა პოვოს ფონდის წარმოქმნის ნორმატივის ზრდა-ში მოგებიდან ანარიცხების ხარჯზე.

განვითარების ფონდის გადაქცევა წარმოების განუწყვეტელი განახლების ქმედით ფაქტორად მოითხოვს თვითდაფინანსების პი-რობებში ჩამოყალიბებული სტერეოტიპების დაძლევას ფონდის ნორმატიული შექმნისადმი მიდგომაში.

თვითდაფინანსება მოითხოვს საწარმოების ფონდების მთელი სისტემის, მათ შორის განვითარების ფონდის მასტიმულირებელი როლის ამაღლებას. ამასთან მხედველობაში უნდა მივიღოთ მოცე-მული ფონდით მასტიმულირებელი ფუნქციის შესრულების თავი-სებურება სხვა ფონდებთან შედარებით. თუ მატერიალური წახალი-სებისა და სოციალური განვითარების ფონდები პირდაპირ და უშუ-ალოდ მოქმედებს შრომითი კოლექტივების წევრების მატერიალურ

დაინტერესებაზე, განვითარების ფონდი კი — გაშუალებულად, მას შემდეგ, რაც მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფის შედეგები მატერიალიზდება მოგების ზრდაში ან სამეურნეო ანგარიშის შემოსავალში. წინააღმდეგობაც არსებობს განვითარების ფონდსა და ეკონომიკური სტიმულირების სხვა ფონდებს შორის ყოველ მოცემულ პერიოდში. მოგების გადარიცხვა წარმოების განვითარების ფონდში პირდაპირ ზღუდავს ხარჯების გადიდების შესაძლებლობას მატერიალურ წახალისებასა და სოციალურ განვითარებაზე.

იმისათვის, რომ განვითარების ფონდი გადაიქცეს საწარმოებში ძირითადი საშუალებების ეკონომიკური სტიმულირების მოქმედ ფაქტორად, რასაც მტკ გვეკარნახობს, საჭიროა მკიდროდ დაეუკავშიროთ ამორტიზაციის წარმოქმნისა და გამოყენების წესი და ფონდის ჩამოყალიბების პროცესი იმგვარად, რომ მორალურად მოძველებული ტექნიკის გამოყენება პირდაპირ ახდენდეს გავლენას ფონდების მოცულობაზე. ამისათვის მიზანშეწონილია ხელი ავიღოთ რენოვაციაზე ამორტიზაციის დარიცხვის პოაქტივაზე ძირითადი ფონდების სამსახურის ნორმატიული ვადების გასვლის შემდეგ. ამასთან ერთად საჭიროა შევცვალოთ არასრულად ამორტიზებული ძირითადი ფონდების ღირებულების ჩამოწერის წესიც. ძირითადი ფონდების სამსახურის ვადების ოპტიმიზაციის მიზნით ეს თანხები საჭიროა მივაკუთვნოთ საწარმოების სამეურნეო საქმიანობის არა საერთო შედეგებს, როგორც ეს ახლა კეთდება, არამედ წარმოების, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ფონდის ანგარიშს. ამით როგორც მორალურად მოძველებული ტექნიკის გამოყენება, ისე ძირითადი ფონდების სრულად გამოუყენებლობა პირდაპირ გავლენას მოახდენს საწარმოების საკუთარ სამეურნეო ანგარიშიან სახსრებზე. სტიმულს მისცემს ძირითადი საწარმოო ფონდების რაციონალურ გამოყენებას.

თვითდაფინანსება ახლებურად აყენებს საკითხს საწარმოებსა და გაერთიანებებში ამორტიზაციის დაჩქარების მეთოდების გამოყენების შესაძლებლობის შესახებ. რამდენადაც მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლებაზე ძირითადი საშუალებები კონცენტრირდება ერთ ფონდში, საწარმოებსა და გაერთიანებებს საშუალება უნდა ჰქონდეთ მოქნილად უხელომძვანელონ მოცემული ფონდის ჩამოყალიბების წესს ინტენსიური კვლავწარმოებისა და პროდუქციის განახლების პირობებში.

4. როგორ ხდება და რა მნიშვნელობა აქვს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაფინანსების ორგანიზაციას?

საფინანსო სისტემა მთლიანად უნდა შეესაბამებოდეს მტკ-ის დაგეგმვის სისტემას. საზოგადოებრივი წარმოების მასშტაბების ზრდა, მასზე მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების უშუალო გავლენის გაძლიერება ობიექტურად მოითხოვს ახალი ტექნიკის მუშაობის დაფინანსების სრულყოფას ციკლში „გამოკვლევა-წარმოება-გამოყენება“. იმ შემთხვევაში, როცა მტკ-ისათვის ღონისძიებების განსახორციელებლად საჭიროა უზარმაზარი ხარჯები (როცა ვითარდება პროგრესული დაგეგმვა და სამეურნეო ანგარიში), დაფინანსება სულ უფრო იღებს ორიენტაციას მაღალეფექტიანი საბოლოო შედეგების სწრაფ მიღებაზე. ვ. ი. ლენინი წერდა: ჩვენი ყველა რეფორმა განწირულია წარუმატებლობაზე, თუ ჩვენ არ გვექნება წარმატება საფინანსო პოლიტიკაში.

მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების დამუშავების, ათვისებისა და დანერგვის პროცესში სულ უფრო ხშირად წარმოიშობა სიტუაცია, როცა საჭიროა ასიგნების ნახტომისეული გადიდება, რომელიც მიმართულია უახლოეს მეცნიერულ ან საკონსტრუქტორო სამუშაოზე, საცდელი ან საწარმოო ბაზების შექმნაზე. ამიტომ ცენტრალურ ორგანოებს საჭიროა თავიანთ განკარგულებაში ჰქონდეთ არა მარტო სახსრების რეზერვები სამეცნიერო-კვლევითს სამუშაოზე, არამედ ფინანსური რეზერვებიც კონსტრუირებაზე, ახალი ტექნიკის ათვისების სამუშაოზე, აგრეთვე კაპიტალური დაბანდებები და სავალუტო სახსრები. ამით ამაღლდება სამუშაოების გაშლის ოპერატიულობა უახლესი ტექნიკის შექმნისა და ათვისებისათვის, რაც განამტკიცებს ჩვენი ქვეყნის ავტორიტეტს ორიგინალური სიახლეების ათვისებაში.

XXVII ყრილობაზე სერიოზული ყურადღება მიექცა დაფინანსებისა და დაკრედიტების სისტემის სრულყოფის საკითხებს. დასახულია ამოცანა ძირეულად შეიცვალოს საფინანსო-საკრედიტო ორგანოების მუშაობის შინაარსი, ორგანიზაცია და მეთოდები. წარმართოს იგი ეკონომიკურ სტიმულირებაზე, ფულადი ბრუნვისა და სამეურნეო ანგარიშის განმტკიცებაზე, კერძოდ, მნიშვნელოვანია წარმოების განვითარების ფონდი გავხადოთ ტექნიკური ხელახლა შეიარაღებისა და რეკონსტრუქციის ძირითად წყაროდ, მთლიანად გადავეკეტოთ ყველა არხი, რომლებიც საშუალებას იძლევა ერთის არამეურნეობრიობა დაიფაროს სხვების მაღალი შედეგების ანგა-

რიშზე. მხოლოდ ასეთ ეკონომიკურ პირობებს შეუძლია მოითხოვოს საწარმოებისა და გაერთიანებებისაგან საწარმოო პოტენციალის, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების, რესურსების ყოველნაირი ეკონომიის მაქსიმალური გამოყენება.

ახლა შეუფერხებლად უნდა ვეწეოდეთ მუშაობას სამეურნეო ანგარიშის გაღრმავებისათვის, საწარმოებისა და გაერთიანებების თვითდაფინანსებასა და თვითანაზღაურებაზე თანდათან გადასვლისათვის, რაც უკვე დაიწყო 1988 წლის იანვრიდან.

5. რა კავშირია ფასებსა და მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს შორის?

საერთო გაგებით ფასი — ეს არის ღირებულების გამოხატვა ფულის საშუალებით. ამიტომ ღირებულების მოძრაობა განსაზღვრავს ფასების მოძრაობას. პირველ პლანზე დგება მოთხოვნა — ფასები მუდამ ასრულებდეს კრიტერიალურ ფუნქციას, ე. ი. ისინი ყველაზე სრულად და თავის დროზე ასახავდნენ საზოგადოებრივად აუცილებელი ხარჯების რეალურ განვითარებას და ამით საფუძველს უყრიდნენ რეალურ ღირებულებითს ურთიერთობას ეკონომიკაში; ეკონომიკურ ანგარიშსწორებაში და გადაწყვეტილებებში მართვის ყველა დონეზე. ახალ ნაწარმზე ფასწარმოქმნა და ფასები, მიუხედავად მათი დიდი როლისა მტპ-ის განვითარებისადმი ხელმძღვანელობაში, წარმოადგენს მტპ-ის ხელმძღვანელობის მხოლოდ ერთ-ერთ ელემენტს, რომლის მთავარი ინსტრუმენტია გეგმა. დღეს დაგეგვისა და გეგმაზომიერი ფასწარმოქმნის მეთოდები უნდა ითვალისწინებდეს წარმოების მზარდი ტექნიკურ-ეკონომიკური დონის გავლენას, აგრეთვე მეცნიერულ-ტექნიკური განვითარების გავლენას წარმოების საზოგადოებრივად აუცილებელ ხარჯებზე. ფასების პოლიტიკა საერთოდ და მეცნიერულ-ტექნიკური განვითარების დარგში კერძოდ, შეიძლება წარმატებული იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი იმოქმედებს ფინანსების, საპენსიო უზრუნველყოფის, კრედიტული სისტემისა და ხელფასის დარგში პოლიტიკის შესაბამისად. ამიტომ ახალ ნაწარმზე მარტო ფასწარმოქმნის სისტემის სრულყოფა საკმარისი არ არის. საჭიროა სრულყოფილი ღირებულებითი კატეგორიის მთელი სისტემა.

ამიტომ საკითხის გადაწყვეტის დროს საჭიროა ყურადღება გავამახვილოთ: მატერიალური და ღირებულებითი ბალანსების შეთანხმებაზე; სამამულო წარმოების ხარჯების ობიექტივიზაციაზე და

მათი განვითარების დაგეგმვაზე როგორც სახალხო-სამეურნეო, ისე დარგობრივ კრილში და დროის უმოკლეს ვადებში, მაგრამ განსაკუთრებით საშუალო ვადების მონაკვეთში; საბითუმო ფასების რენტაბელობის ობიექტივიზაციაზე როგორც დარგებისა და უწყებების დონეზე, ისე მისი ნაწარმების ცალკეულ სახეობებზე გადაყვანის უზრუნველყოფის წესით და სხვ.

გარდა ამისა, მტპ-ის განვითარების დაჩქარების მართვაში ფასები განსაკუთრებით აქტიურად გამოიყენება ფასწარმოქმნასა და სამეცნიერო-კვლევითს დარგებში; ნაწარმზე ფასების ლიმიტების წარმოქმნაში, რომლებიც ასრულებენ სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ამოცანების რეალიზაციის ფუნქციებს; სტიმულირება ფასების მეშვეობით; დამატება ძირითად ფასებზე ან ფასდაკლება ძირითადი ფასებიდან, რჩამლებიც წარმოიქმნება ნაწარმის ტექნიკურ-ეკონომიკური დონისა და ხარისხის შეფასებიდან.

ყოველივე აქედან გამომდინარე მნიშვნელოვანია ისეთი საკითხები, როგორიც არის ფასწარმოქმნა სამეცნიერო-კვლევითს დარგში; ფასების ლიმიტების წარმოქმნა ნაწარმზე, რომლებიც ასრულებს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ამოცანების რეალიზაციას; სტიმულირება ფასების მეშვეობით.

მ. რას ნიშნავს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის სამეურნეოანგარიშიანი სტიმულირება და როგორ ხორციელდება იგი?

მტპ-ის ეკონომიკური სტიმულირების მექანიზმი წარმოადგენს ურთიერთდაკავშირებული ფორმებისა და სოციალურ-ეკონომიკური მეთოდების ერთობლიობას, რომელთა მეშვეობით ხორციელდება ეკონომიკური ინტერესების რეალიზაცია მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებისათვის როგორც ერთმანეთს შორის, ისე საერთო-საზალხო ინტერესებთან ყველაზე სასარგებლო თანაფარდობაში მათი მოყვანის მიზნით.

მტპ-ის ეკონომიკური სტიმულირების მექანიზმი ემყარება ორი ძირითადი მეთოდის გამოყენებას: 1) სუბიექტების მატერიალურ დაინტერესებას; 2) სუბიექტების მატერიალურ პასუხისმგებლობას.

მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების უწყვეტი სტიმულირების განხორციელება შეიძლება ყოველი გრძელვადიანი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრამის სტიმულირების მექანიზმის კომპლექსური ფორმებით მოცვის პირობებში, გამოკვლევების დაწყებიდან მისი შედეგების ხორცშესხმამდე. ამისათვის ყოველი ასეთი პროგ-

რამის დამტკიცებისას საჭიროა დავამუშაოთ და გავითვალისწინოთ მასში:

— სტიმულირების კრიტერიუმები და მაჩვენებლები მეცნიერულ-ტექნიკური პროგრამის ეტაპების მიხედვით (მათი დონე);

— სტიმულირების წყაროები — დანახარჯების ანაზღაურების წყაროების ჩართვით ციკლის „გამოკვლევა-წარმოება-გამოყენება“ პროგრამებისა და სტადიების ეტაპების მიხედვით და პროგრამის რეალიზაციაში მონაწილე კოლექტივების წახალისების ფონდების წყაროების ჩვენებით;

— ხანგრძლივი მოქმედების ეკონომიკური ნორმატივები პროგრამის ეტაპებისა და აგრეგატების კომპლექსების მიხედვით, რომლებიც გამოყენებულია მოცემული პროგრამის დამუშავებისას;

— შკალები, რომლებიც განსაზღვრავენ სამინისტროების, გაერთიანებების, საწარმოების, ორგანიზაციების, მუშაკების წახალისების ფონდის ზომას სტიმულირების კრიტერიუმებისა და წყაროების დონისა და მტპ-ის საგეგმო ნორმატივების მიღწევების დონის მიხედვით.

7. სამეცნიერო ორგანიზაციების სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე გადასვლა რატომ არის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების მძლავრი სტიმული?

როგორც ცნობილია, ქვეყანაში შექმნილი მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალი, რომელიც საშუალებას იძლევა გადავწყვიტოთ მსხვილი სახალხო-სამეურნეო ამოცანები, გამოიყენებოდა არასაკმარისი ეფექტიანობით. ჩამორჩენა იყო მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი მეცნიერული მიმართულებების მიხედვით. არ ზღებოდა მეცნიერებისა და ტექნიკის წინგამსწრები განვითარების უზრუნველყოფა მსოფლიოში მიმდინარე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის გათვალისწინებით.

თანამედროვე მოთხოვნებს არ უპასუხებდა სამეცნიერო ორგანიზაციებში ჩამოყალიბებული მეურნეობის გაძლოლის მეთოდები, მათი ურთიერთობის პრაქტიკა შემკვეთებთან, აგრეთვე მართვის ზემდგომ ორგანოებთან. ისინი ვერ უზრუნველყოფდნენ სათანადო პასუხისმგებლობას პროდუქციის ტექნიკური დონის, ხარისხისა და განახლებისათვის, ახალი ტექნიკის, ტექნოლოგიისა და მასალების ხარჯებისა და შექმნის ვადების შემცირებისათვის. სამეცნიერო ორგანიზაციებში დაგეგმვის, დაფინანსებისა და ეკონომიკუ-

რი სტიმულირების სისტემა სუსტად იყო დაკავშირებული საწარმოების ინტერესებთან და გამიზნული არ იყო წარმოების მაღალი საბოლოო შედეგების მიღწევაზე.

სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო, საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიური ორგანიზაციების საქმიანობის ძირეული გაუმჯობესების, მტპ-ის დაჩქარების, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების ამოცანების გადაწყვეტაში მათი როლის და პასუხისმგებლობის ამაღლების მიზნით და სკკპ ცკ-ის ივნისის (1987 წ.) პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის მეცნიერული გამოკვლევებისა და ნამუშევრების სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პრინციპებზე გადაყვანის შესახებ სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1987 წ. მიიღეს სპეციალური დადგენილება.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ საჭიროა განხორციელდეს სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო, საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიური ორგანიზაციების გადაყვანა სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე, რისთვისაც მეცნიერებასა და მეცნიერულ მომსახურებაში ახალი სამეურნეო მექანიზმი გამოყენებული უნდა იქნეს როგორც სახალხო მეურნეობაში მტპ-ის დაჩქარების მთავარი ეკონომიკური ბერკეტი და ამ ორგანიზაციების კოლექტივების ცხოველუნარიანობის საფუძველი. აქ მათი საქმიანობა უნდა განხორციელდეს სსრ კავშირის სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) კანონის შესახებ დებულებების შესაბამისად.

მეურნეობის გაძლოლის ახალ პირობებში მეცნიერული ორგანიზაციების მთავარი ამოცანაა პარტიის სტრატეგიული კურსის თანმიმდევრული ხორცშესხმა სახალხო მეურნეობის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის, მტპ-ში მოწინავე მიჯნების უზრუნველყოფისათვის, მეცნიერული პროტენციის სრული მობილიზებისა და მეცნიერულ კოლექტივებში შემოქმედებითი ატმოსფეროს შექმნისათვის.

მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს მეცნიერების კავშირის განმტკიცებას წარმოებასთან, მეცნიერული კოლექტივების უშუალო ჩართვას მთელ ციკლში „მეცნიერული კვლევა-ნამუშევრები-წარმოება-გასაღება-მომსახურება“. მკვეთრად უნდა გაიზარდოს მეცნიერების, კონსტრუქტორებისა და ტექნოლოგების შრომის პრაქტიკული უკუგება.

დადგენილებაში განსაზღვრულია სამეცნიერო ორგანიზაციების

სამეურნეო საქმიანობის ძირითადი პრინციპები, მათი მეურნეობის გაძღოლის ახალ პირობებზე გადაყვანის მუშაობის ორგანიზაცია, ჩამოყალიბებულია, თუ რას უნდა აკეთებდეს სამეცნიერო ორგანიზაციები საწარმოო გაერთიანებებისა და საწარმოების, სამეცნიერო საწარმოო გაერთიანებების შემადგენლობაში, სამინისტროებსა და უწყებებზე უშუალოდ დამოკიდებული, აკადემიური და უმაღლესი სასწავლებლების სამეცნიერო ორგანიზაციები.

1988 წლიდან გაუქმდა ბიუჯეტიდან ასიგნების დაგეგმვა სამეცნიერო ორგანიზაციების შენახვაზე საბაზო მეთოდის მიხედვით და დაწესდა, რომ ამ ორგანიზაციების ხარჯთაღრიცხვაში საბიუჯეტო სახსრები გათვალისწინებულ იქნეს ცალკე ყოველი კონკრეტული თემის მიხედვით.

1988 წელს თვითდაფინანსებაზე გადავიდნენ უკვე სამრეწველო სამინისტროებისა და უწყებების სამეცნიერო ორგანიზაციები, ხოლო 1989 წელს გადავა ყველა სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო-საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიური ორგანიზაცია.

აკადემიური და უმაღლესი სასწავლებლების სამეცნიერო ორგანიზაციების მიერ ფუნდამენტური, ე. ი. თეორიული და საძიებო ხასიათის სამუშაოთა შესრულებისას სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებიდან ანაზღაურება ჯერჯერობით მთლიანად არ შეწყდება. მაგრამ შემუშავდება ფუნდამენტური გამოკვლევებისა და ნამუშევრების დაფინანსების წესი, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება აკადემიური და უმაღლესი სასწავლებლების მეცნიერების თანდათანობით გადასვლა დაფინანსების ახალ მეთოდებზე, მათი საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით.

მ. როგორ ხდება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის სტიმულირება, მისი მიღწევების წარმოებაში დანერგვისათვის მეცნიერების, ინჟინრების, ტექნოლოგების, კონსტრუქტორების, გამომგონებლებისა და რაციონალიზატორების დაინტერესება?

ეკონომიკური სტიმულირება — ეს შეიძლება ითქვას მართვის სისტემის დასკვნითი ელემენტია, მათ შორის მტპ-ისაც. თანამედროვე ეტაპზე მტპ-ის მართვის სრულყოფის საკვანძო პრობლემა დაკავშირებულია ადამიანის ფაქტორის გააქტიურების ამოცანების გადაწყვეტასთან, უწინარეს ყოვლისა, ცხადია, უშუალოდ იმათთან, ვინც ქმნის და ნერგავს ახალ ტექნიკას, ე. ი. კონსტრუქტორებთან, ინჟინრებთან, ტექნოლოგებთან. აქ ყველაზე უფრო გა-

მოგვადგება ცნობილი ლენინგრადის გამოცდილება, რომელიც თავის ამოცანად სახავს აამაღლოს საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიური სამსახურების მუშაკების პასუხისმგებლობა და მატერიალური დაინტერესება დამუშავებების ტექნიკური დონისა და ხარისხის ამაღლებაში, დიდი მოცულობის სამუშაოების შესრულებაში.

გაერთიანებების ყველა დანაყოფში გაიზარდა შემოქმედებითი უწყება, სპეციალისტთა მუშაობაში თავი იჩინა მეტოქეობის სულისკვეთებამ, შესამჩნევად განმტკიცდა შრომისა და საშემსრულებლო დისციპლინა. პერსონალის რაოდენობა ექსპერიმენტის პირველ წელს შემცირდა დაახლოებით 8%-ით, ამაღლდა მუშაკების დაინტერესება შრომის საბოლოო შედეგებით, გაუმჯობესდა ურთიერთმოქმედება გაერთიანებების სხვადასხვა დანაყოფს შორის, დაჩქარდა საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიური დოკუმენტების დამუშავება და სხვ. თითოეული შემსრულებლის პირადი შრომის შეფასებისათვის დადგენილია კრიტერიუმი, რომელიც ახასიათებს დამუშავებული პროექტების სიახლის ხარისხს, შესრულებული სამუშაოს სირთულესა და შრომატევადობას. ამ მხრივ ბევრი სხვა რამეც განხორციელდა. მთლიანად ლენინგრადის ექსპერიმენტის შედეგები მალაღმდეგია ინიციატივას. 1986 წლიდან მისმა პრინციპმა შეიძინა საყოველთაო ხასიათი. მათზეა აგებული მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების სფეროში შრომის ანაზღაურების სისტემა, რომელიც გასაქანს აძლევს მეცნიერული ორგანიზაციების ინიციატივას. უკანასკნელად ახლა იგეგმება შრომის ანაზღაურების ფონდი გარკვეული ამოცანების გადასაწყვეტად. 1986 წლიდან შემოღებულია ახალ ტექნიკაზე მომუშავეთა ხელფასის ახალი პირობები შესაბამისი ეკონომიის წარმოქმნის მიხედვით საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის დაგეგმილი ხელფასის სტაბილური ფონდის ფარგლებში. მეცნიერებისა და ტექნიკის სფეროში წახალისების სისტემა უფრო მკვიდროდ უნდა დაუწყავშიროთ ფაქტორების სამჯგუფს: პირველი, მიმდინარე პრემირებამ უნდა წახალისოს საგეგმო დავალებათა შესრულება და გადაჭარბებით შესრულება, მუშაკთა რაოდენობის შემცირება, შრომის ხარისხი. მეორე, მნიშვნელოვანია წავახალისოთ ნამუშევრების მაღალი მეცნიერულ-ტექნიკური დონის მიღწევა, რაც შეიძლება შეფასდეს მათი დამთავრების შემდეგ. ბოლოს, არსებითად უფრო მეტად უნდა წავახალისოთ ნამუშევრების შედეგების გამოყენების მოძრაობა მიღწეული ეკონომი-

კური ეფექტის მიხედვით. ამასთან მსხვილი ნამუშევრები უნდა წახალისდეს ყოველნაირი შეზღუდვების გარეშე.

სტიმულირებაზე რომ გვაქვს ლაპარაკი, მართო კონსტრუქტორები, ტექნიკოსები, ინჟინრები და ტექნოლოგები კი არ იგულისხმება, არამედ გამომგონებლებიც, რაციონალიზატორებიც, რიგითი მშრომელებიც, რომელთაც თავიანთი წვლილი შეაქვთ წარმოების ტექნიკურ პროგრესში.

ტექნიკის პერსპექტიულ განვითარებაში სამეურნეო ორგანიზაციების, ადამიანთა მასობრივი დაინტერესებისათვის საჭიროა გამოვიყენოთ ორი ერთმანეთის შემავსებელი სტიმულირების მიმართულებები. პირველი მიზართულება გამომდინარეობს თითოეული საწარმოო უჯრედის მტკ-ის მიღწევების დანერგვისათვის მუშაობის გადაქცევიდან მისი ძირითადი საქმიანობის ორგანულ ნაწილად. ეს მიმართულება მდგომარეობს მეცნიერულ-ტექნიკური სიახლეების სტიმულირების როლის ამაღლებაში სტიმულირების საერთო სისტემაში. მეორე მიმართულება ეკონომიკის ყოველ რგოლში ეყრდნობა ფუნქციების კანონზომიერ შედარებით განცალკევებას, მეცნიერულ-ტექნიკურ მომზადებასა და წარმოების მსხვილი პერსპექტიული გარდაქმნის განხორციელებას. ასეთი განცალკევების ფორმას წარმოადგენს საწარმოებისა და დარგების ჩარჩოებში განვითარების ხსენებული ბლოკების შექმნა. სტიმულირების ორივე მიმართულება სამეურნეო კომპლექსის ჩარჩოებში ურთიერთდაკავშირებულია.

მტკ-ის დაჩქარების სტიმულირების პრობლემების გადაწყვეტაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს მუშაკებისა და კოლექტივების მატერიალური და მორალური დაინტერესების ფაქტორების სწორ შეხამებას, პასუხისმგებლობის პრინციპის რეალიზაციას დავალებული საქმისა და საბოლოო შედეგებისათვის. სტიმულის საფუძველია ცალკეული მუშაკებისა და მთელი კოლექტივების პასუხისმგებლობა საზოგადოების მიერ მინდობილი საქმისათვის. მტკ-ის დაჩქარების სტიმულირება მოწოდებულია უზრუნველყოს ამ მიმართულებით აქტიურად მომუშავე კოლექტივების მნიშვნელოვანი ეკონომიკური უპირატესობა.

მეცნიერულ-ტექნიკური დონის ობიექტურ კრიტერიუმად, ამ დონის ამაღლების ქმედით სტიმულად მიზანშეწონილია ფართოდ გამოვიყენოთ საექსპორტოდ პროდუქციის მიწოდების მაჩვენებლები.

შ. ახალი ტექნიკის სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობის რაკრიტიკურიუმები არსებობს?

ახალი ტექნიკის შექმნითა და გამოყენებით მიღებული ეკონომიკური ეფექტიანობა გამოიხატება შრომის ნაყოფიერების ზრდაში, მატერიალური რესურსების ეკონომიაში, პროდუქციის ხარისხის ამაღლებასა და ფონდუკუგების მაჩვენებლების გაუმჯობესებაში. სახალხო-სამეურნეო ეკონომიკური ეფექტი ყველაზე განზოგადებული სახით შეიძლება გამოვხატოთ ყველა საწარმოო რესურსის შეჯამებულ ეკონომიაში (შრომის, მატერიალური რესურსების, კაპიტალური დაბანდების), რაც მიღებულია ახალი ტექნიკის გამოყენების შედეგად საზოგადოებრივ წარმოებაში.

ამ ეკონომიის გადიდება სახალხო მეურნეობის მასშტაბით თავის გამოხატულებას პოულობს ეროვნული შემოსავლის ნამატში ან წმინდა პროდუქციაში. სახალხო-სამეურნეო ეკონომიკური ეფექტის ზრდაში დაინტერესებულია საწარმოებიც და მთელი საზოგადოებაც. იგი ხელს უწყობს ეკონომიკური და სოციალური ამოცანების გადაწყვეტის დაჩქარებას. აი, რატომ არის, რომ ეკონომიკურ ეფექტში თავის გამოხატულებას პოვებს ახალი ტექნიკის სახალხო-სამეურნეო ეფექტის მთავარი ნაწილი.

რადგანაც მტბ საშუალებას იძლევა წარმატებით გადავწყვიტოთ სოციალური ამოცანები, ისეთები, როგორიცაა ხელის შრომის გამოყენების შემცირება, შრომის შემოქმედებითი ხასიათის ამაღლება, გარემო სამყაროს მდგომარეობის გაუმჯობესება და სხვ., ამიტომ წარმოებისა და ახალი ტექნიკის გამოყენებით მიღებულ სრულ სახალხო-სამეურნეო ეფექტს ეწოდება სოციალურ-ეკონომიკური ეფექტი.

საპროექტო ორგანიზაციები, საგეგმო და სამეურნეო ორგანოები განსაზღვრავენ სახალხო-სამეურნეო ეკონომიკურ ეფექტიანობას, რომელიც მიიღება წარმოებისა და ახალი ტექნიკის გამოყენების შედეგად საწარმოო რესურსების ერთობლივი ეკონომიით. იგი შეიძლება გამოხატული იყოს ან ხარჯების განსხვავების ან ახალი ტექნიკით განპირობებული წმინდა პროდუქციის მატების სახით.

მანქანების დახმარებით რაც ნაკლები შრომა იხარჯება პროდუქციის ერთეულზე, მით მეტი შეიძლება ვაწარმოოთ საჭირო პროდუქციის რაოდენობა ან გავაუმჯობესოთ მისი ხარისხი შრომის იმავე მასით. მანქანა საშუალებას იძლევა მეტი ვაწარმოოთ პროდუქ-

ცია დროის ერთეულში. შედეგად საზოგადოებისათვის საკირო სიკეთის რაოდენობის ზრდა უსწრებს წარმოების სფეროში დასაქმებულთა რაოდენობის გადიდებას. მეთორმეტე ხუთწლედში შრომის ნაყოფიერების დაახლოებით 2/3 მრეწველობაში უზრუნველყოფილი იქნება ტექნიკური პროგრესის ხარჯზე, სამრეწველო პროდუქციის მოცულობა გადიდება 25%-ით სამრეწველო-საწარმო პერსონალის რაოდენობის გადიდების გარეშე. მტპ განაპირობებს არა მარტო მასალატევადობის, არამედ პროდუქციის ერთეულის ფონდტევადობის შემცირებასაც.

ამგვარად, ახალი მანქანების გამოყენების მიზანს, ერთი მხრივ, წარმოადგენს საქონლის ღირებულების შემცირება, მეორე მხრივ, ცოცხალი და განივთებული შრომის ნაყოფიერების ამაღლება. აქედან, ახალი ტექნიკის ეფექტიანობის კრიტერიუმები შეიძლება იყოს როგორც მაჩვენებლები, რომლებიც ახასიათებენ სახალხო-სამეურნეო ეკონომიას, ისე მაჩვენებლები, რომლებიც გამოხატავენ წარმოების საბოლოო შედეგის ზრდას საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების ზრდის საფუძველზე ახალი ტექნიკის გამოყენების ხარჯზე.

ახალი ტექნიკიდან მაღალი სახალხო-სამეურნეო ეფექტის მისაღებად დიდი მნიშვნელობა აქვს მის დროულ ათვისებასა და სრულ გამოყენებას, კადრების სწავლებას და სხვ.

ახალი ტექნიკის ეფექტიანობის განსაზღვრისას განასხვავებენ (როგორც კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანობის განსაზღვრისას) საერთო (აბსოლუტურ) და შედარებით ეფექტიანობას. საერთო ეკონომიკური ეფექტიანობა ახასიათებს შესაბამის დონეზე (სახალხო მეურნეობა, დარგი, ქვედარგი, საწარმო) მიღებულ სახალხო-სამეურნეო ეფექტს ეროვნული შემოსავლის მატების სახით (წმინდა პროდუქციის). რესურსების ეკონომიას ან მოგებას. შედარებითი ეფექტიანობის მაჩვენებელი გამოიყენება ახალი ტექნიკის სხვადასხვა ვარიანტის ეფექტის შეპირისპირებისა და ყველაზე უკეთესის შერჩევისას.

10. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების პრაქტიკაში დანერგვის რა კრიტერიუმები და მაჩვენებლები არსებობს?

მტპ-ის პრაქტიკაში დანერგვისათვის არსებობს ოთხი მთავარი კრიტერიუმი. პირველი, დასაწარგი ობიექტების სწორად განსაზღვრა; მეორე, დანერგვის გეგმის კომპლექსური შემუშავება; მესამე,

დანერგვის დაჩქარება, რომელიც მიიღწევა ციკლის „მეცნიერება-წარმოება“ მნიშვნელოვანი შემცირებით; მეოთხე, ეფექტიანობა და ხარისხი — როგორც კონკრეტული ღონისძიებების დანერგვის გეგმაში ჩასმის მთავარი კრიტერიუმი.

უკანასკნელ წლებში საბჭოთა ეკონომიკურ ლიტერატურაში შემოთავაზებულია მაჩვენებელთა სისტემები, რომლებშიც კარგადაა აღწერილი ამ პრობლემების ცალკეული მხარეები, ხოლო მთლიანად. ანუ კომპლექსურად აღწერისათვის არსებობს მაჩვენებელთა შემდეგი სისტემები: პირველი, ახალი ტექნიკის სახეობების სახალხო მეურნეობაში დანერგვით მიღებული ეკონომიკური ეფექტი (იანგარიშება ათას მანეთებში); მეორე, დანერგვაზე გაწეული დანახარჯები (ათას მანეთებში); მესამე, დანერგვის კოეფიციენტი (დანერგული სამუშაოების შეფარდება მთლიან სამუშაოებთან (%-ში); მეოთხე; დანერგვის მასშტაბურობა (იმ საწარმოების რაოდენობა, რომლებშიც დანერგილია სიახლეები); მეხუთე, ახალი ტექნიკის დანერგვის შედეგად დარგში ძირითადი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების ცვლილებები; პროდუქციის მატება ნატურალურ გამოსახულებაში; თვითღირებულების შემცირება; შრომის ნაყოფიერების ამაღლება; ფონდუკუგების ამაღლება და პერსონალის რაოდენობის შემცირება); ხელის შრომის შემცირება; მეექვსე, დარგში მოძველებული პროდუქციის განახლების ტემპი ნომენკლატურის მიხედვით.

11. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი როგორ ახდენს გავლენას პროდუქციის თვითღირებულების შემცირებაზე?

პროდუქციის თვითღირებულების შემცირება საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა. თვითღირებულების ღონეში კონცენტრირებულად აისახება სამეურნეო საქმიანობის შედეგები, მისი მიღწევები და არსებული რეზერვები. რაც ნაკლებია ძირითადად დამხმარე მასალების, საწვავისა და ენერჯის დანახარჯები, რაც მეტად ეკონომიურად იხარჯება შრომა და უკეთ ხდება ძირითადი ფონდების ექსპლოატაცია, მით დაბალია ერთეული პროდუქციის თვითღირებულება, მით იაფია მისი წარმოება როგორც მოცემული საწარმოებისათვის, ისე მთელი საზოგადოებისათვის.

რატომაა აუცილებელი პროდუქციის თვითღირებულების ყოველნაირად შემცირება? მაგალითისათვის ავიღოთ ნედლეული, ძი-

რითადი და დამხმარე მასალები, სათბობ-ენერგეტიკული რესურსები. მათ წილზე მოდის სამრეწველო პროდუქციის წარმოებაზე ყველა დანახარჯის 73%, ვთქვათ, ტონა სათბობი რომ მოვიპოვოთ, დღეს უნდა დავხარჯოთ საშუალოდ 2-ჯერ მეტი სახსრები, ვიდრე ათი წლის წინათ.

მეთორმეტე ხუთწლედში დასახულია ღონისძიებათა ფართო კონკლექსი პროდუქციის წარმოებაზე ხარჯების შემცირებისათვის. რა ღონისძიებებია ესენი?

ჯერ ერთი, შრომის ტექნიკური შეიარაღების ამალგება, რამაც უნდა უზრუნველყოს შრომატევადობის შემცირება დაახლოებით 17 მილიონი მუშაკის შრომის პირობითი ეკონომიის თანაბარი სიდიდით; მეორე, ენერგოდამზოგავი ტექნოლოგიის დამუშავება და დანერგვა, ენერგორესურსების ეკონომიის რეჟიმის გაძლიერება; მესამე, ლითონის ეკონომიის გაძლიერება და რაციონალური გამოყენება. ეკონომია ძირითადად უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ლითონდამზოგავი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვის ხარჯზე; მეოთხე, მშენებლობაზე სახარჯთაღრიცხვო ხარჯების შემცირება; მესხუთე, სამეურნეო ბრუნვაში მეორადი რესურსების, წარმოების ნარჩენების უფრო ფართოდ ჩართვა; მეექვსე, მოწყობილობის მუშაობის ცვლიანობის კოეფიციენტის ამალგება.

პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის ბრძოლას უნდა ვეწეოდეთ ყოველ სამუშაო ადგილზე, ყოველ ბრიგადაში, ყოველ საწარმოში.

რა ფაქტორები განაპირობებენ თვითღირებულების შემცირებას?

ეს ფაქტორები ბევრია. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანია მტკ. ახალი ტექნიკისა და პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვა, მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების კვალიფიკაციისა და პროფესიული ოსტატობის ამალგება, მათი შრომის უკეთ ორგანიზაცია უზრუნველყოფს რენტაბელობის ამალგების ყველა წყაროს ყველაზე მეტ ეფექტიან გამოყენებას. ამათგან უმნიშვნელოვანესია:

ნედლეულის, მასალების, სათბობისა და ენერჯის დანახარჯების შემცირება ერთეული პროდუქციის დამზადებაზე. ახლა ეს დანახარჯები შეადგენენ სამრეწველო პროდუქციის თითქმის სამ მეოთხედს. რაც უფრო დაბეჯითებითაა ნაწარმის პროექტი დამუშავებული, რაც უფრო გულდასმითაა შერჩეული მისთვის ტექნოლო-

გიური პროცესი, რაც უფრო ღრმად, უფრო კომპლექსურადაა გადამუშავებული ნედლეული, მომპირნედაა გამოყენებული დამხმარე მასალები. სათბობი და ენერგია, მით ნაკლები უნდა დავხარჯოთ ისინი. აქ გადამწყვეტი როლი ენიჭება მასალებსა და ენერგოდამზოგავ ტექნიკასა და ტექნოლოგიას, პროგრესულ შემცვლელებს და განსაკუთრებით პროდუქციის უნარჩენოდ დამზადებას, მეორადი რესურსების გამოყენებას.

პროდუქციის ფონდტევადობის შემცირება. ეკონომიკურ პლანში მტკ თავს იჩენს იმაში, რომ მოწყობილობის, მანქანებისა და მექანიზმების მწარმოებლობა უნდა მალღდებოდეს უფრო სწრაფად, ვიდრე იზრდება მათი ღირებულება (ფასი). ბევრი რამ არის დამოკიდებული მათ სტრუქტურაზე, რაც მაღალია ძირითადი საწარმოო ფონდების (მანქანებისა და მოწყობილობის) აქტიური ნაწილის წილი. მით მოკლეა მათი სრული ავტომატიზაციის ვადა, და უფრო სწრაფად ხდება მაღალმწარმოებლურ მანქანებსა და მექანიზმებზე გადასვლა, ხოლო რაც უფრო დაძაბულად ხდება მათი ექსპლოატაცია, მით მეტ პროდუქციას ვიღებთ მათგან, და უფრო იაფია თითოეული მისი ერთეული.

პროდუქციის შრომატევადობის შემცირება. ახალი ტექნიკის დანერგვა ამაღლებს შრომის მექანიზაციასა და წარმოების ავტომატიზაციას, შედეგად იზრდება შრომის ნაყოფიერება, ხოლო ერთეული პროდუქციის დამზადებაზე უკვე საჭიროა ნაკლები სამუშაო დრო. და რაც უფრო მალღდება შრომის ნაყოფიერება საშუალო ხელფასის ზრდასთან შედარებით, მით მეტად მცირდება ძირითადი და დამატებითი ხელფასის გასავალი პროდუქციის ერთეულზე გაანგარიშებით.

რენტაბელობის დონეზე გავლენას ახდენს პროდუქციის ხარისხიც. რაც მაღალია იგი, მით ნაკლები უჯდება წარმოებას წუნის გამოსწორება, სხვადასხვა სახის ჯარიმები არაკონდიციური ნაწარმის მიწოდებისათვის. ეს ხარჯები აწეება პროდუქციის თვითღირებულებას, ამაღლებს მას და ამით მცირდება მოგება. დიდი მნიშვნელობა აქვს დატვირთვა-გადმოტვირთვის და სასაწყობო საშუალებების მექანიზაციას, სატარე მეურნეობაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების ნერგვას, გადაზიდვის რაციონალიზაციას და სხვ.

პროდუქციის თვითღირებულების შემცირების მთავარი ასპარეზია სამუშაო ადგილი. სწორედ აქ რეალიზდება მეცნიერებისა და ტექნიკის კონკრეტული მიღწევები, პრაქტიკულად წყდება ნედ-

ლეულისა და ენერჯის, მანქანებისა და მექანიზმების, სამუშაო დროის ეფექტიანი გამოყენების საკითხები.

უნდა აღინიშნოს, რომ 1987 წელს რესპუბლიკაში გაძვირდა ბევრი პროდუქციის თვითღირებულება. ეს კიდევ უფრო მოუთმენელია დღეს, როცა სამრეწველო საწარმოების დიდი ნაწილი გადავიდა სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე, გადავა მომავალშიც. აქედან გამომდინარე საჭიროა კიდევ უფრო მეტად ვიზრუნოთ მტპ-ის დაჩქარებაზე, მისი მიღწევების დანერგვაზე, ისეთ დანერგვაზე, რომ იგი რეალურ გავლენას ახდენდეს პროდუქციის თვითღირებულების შემცირებაზე.

**მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას — მტკიცე
იდეოლოგიური უზრუნველყოფა**

დღეს მტკ-ის დაჩქარება, თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარება, მათგან სწრაფი და ეფექტიანი უკუგება დროის მოთხოვნაა. ამას კი შეეძლებოდა მხოლოდ მაშინ, როცა მათი მიღწევები გახდებოდა არა მარტო მეცნიერთა და კონსტრუქტორთა, არამედ წარმოების ორგანიზატორთა, კვალიფიციური მუშების, თითოეული მშრომელის კუთვნილება, გადაიქცევა საზოგადოების რეალურ საწარმოო ძალად. ამისათვის კი საჭირო და აუცილებელია მტკ-ის დაჩქარებისადმი გაძლიერდეს და გააქტიურდეს პარტიული ხელმძღვანელობა, რაც ჩვენი წარმოადგენს სკკპ, მისი პარტიული ორგანიზაციების მთელი სისტემის კომპლექსურ ზემოქმედებას საწარმოო და საზოგადოებრივ ურთიერთობებზე მეცნიერულ-ტექნიკური და სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის მიზნით.

მეცნიერებისა და ტექნიკის დაჩქარებული განვითარებისათვის პარტია დღეს ახორციელებს სამ ურთიერთდაკავშირებულ ფუნქციას: პოლიტიკური ხელმძღვანელის, პოლიტიკური ორგანიზატორისა და პოლიტიკური აღმზრდელის. ჩვენი საზოგადოების მშენებლობის ყოველ ეტაპზე ამ ფუნქციების პრაქტიკულ რეალიზაციას აქვს კონკრეტული ამოცანებით განპირობებული თავისებურებანი, რაც გავლენას ახდენს პარტიული ორგანოებისა და პარტიული ორგანიზაციების საქმიანობის ფორმებზე, მეთოდებსა და მიმართულებებზე, მტკ-ის დაჩქარებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის შინაარსის ერთობლიობას რომ წარმოადგენს.

მტკ-ის დაჩქარებას ყველაზე მეტი ყურადღება მიექცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმის, ამავე წლის ივნისში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების საკითხებზე პარტიის ცენტრალურ კომიტეტში გამართული თათბირის შემდეგ. მტკ-ისადმი პარტიული ხელმძღვანელობის საკითხები ყოველმხრივ, მთელი სისრულით იქნა განხილული სკკპ XXVII ყრილობაზე. ყრილობისადმი პარტიის ცენტრალური კომიტეტის პო-

ლიტიკური მოხსენების რეზოლუციაში ხაზგასმულია, რომ ინტენ-
სიფიკაციის მთავარ ბერკეტს წარმოადგენს მეცნიერულ-ტექნიკური
პროგრესის კარდინალური დაჩქარება, ახალი თაობების ტექნიკის,
პრინციპულად ახალი ტექნოლოგიების ფართოდ დანერგვა, რომლე-
ბიც უზრუნველყოფენ შრომის უმაღლეს ნაყოფიერებასა და ეფექ-
ტიანობას. დღეს პარტია ყოველნაირად ზრუნავს იმისათვის, რომ
ყველა დარგს, საწარმოსა და გაერთიანებას ჰქონდეს წარმოების
განახლების ზუსტი პროგრამა, ყველაფერი გაკეთდეს იმისათვის,
რომ მეცნიერულ-ტექნიკური პოლიტიკის გარდაქმნის იდეა, სკკპ
X XVII ყრილობამ რომ შეიმუშავა, ყოველდღიურად ვითარდებო-
დეს და ღრმავდებოდეს, აქტიურად უწყობდეს ხელს ჩვენს წინაშე
მდგომი კარდინალური სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების წარ-
მატებით გადაწყვეტას, ქვეყნის გაყვანას მსოფლიო მოწინავე პო-
ზიციებზე.

მთელ ამ საქმიანობაში პარტიის ორგანიზატორულ და პოლი-
ტიკურ მუშობასთან ერთად დიდი როლის შესრულება შეუძლია
ადამიანებთან ყოველდღიურ იდეურ-აღმზრდელობითს მუშაობას,
შეუძლია იმიტომ, რომ ჩვენი ეკონომიკური ამოცანები მკიდროდ
არის დაკავშირებული პარტიის აღმზრდელობითს საქმიანობასთან,
დაკავშირებულია იმიტომ, რომ იგი ხელს უწყობს ადამიანებში
ისეთი თვისებების აღზრდასა და გამომუშავებას, როგორც არის
დისციპლინა, პასუხისმგებლობა, ინიციატივა, ახლის გრძნობა, ნაკ-
ლოვანებებთან შეურიგებლობა, მიღწეულით დაუკმაყოფილებლო-
ბა, აქტიური ცხოვრებისეული პოზიცია და სხვ. ადამიანის ეს თვი-
სებები იგივე ადამიანის ფაქტორია, რაზეც შემდეგ გვექნება ლაპა-
ჩაკი. მხოლოდ ახლა ვიტყვით, რომ ამ ადამიანური თვისებების მა-
ტარებელი ადამიანი ყოველთვის მზად არის აქტიურად, საქმიანად
იმუშაოს თავის სამუშაო ადგილზე, გაუკეთებელი არ დატოვოს არა-
ფერი.

ყოველივე აქედან გამომდინარე პარტიული ორგანიზაციების
ყოველდღიური ხელმძღვანელობითა და დახმარებით ჩვენი პრო-
პაგანდისტული და სააგიტაციო კადრები, აქტივისტები უნარიანად,
დანიტერესებით უნდა იყენებდნენ იდეოლოგიური მუშაობის ისეთ
ფორმებსა და მეთოდებს, როგორც არის პოლიტიკური და ეკონო-
მიკური სწავლება, მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა, ლექციური
პროპაგანდა, თვალსაჩინო აგიტაცია, პრესა, ტელევიზია, რადიო და
სხვ.

ამასთან საკიროა მშრომელთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდისა და პრიფესიული დაოსტატების მთელ ამ პროპაგანდისტულ და სა-აგიტაციო საქმიანობაში აქტიურად ვრთავდეთ მეცნიერებს, სამინისტროებისა და უწყებათა ხელმძღვანელებს, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის სპეციალისტებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს, ნოვატორებს, გამომგონებლებსა და სხვ. იდეოლოგიური მუშაობის ჩვეულებრივი ფორმების გარდა ფართოდ უნდა გამოვიყენოთ ისეთებიც. როგორც არის: „ნოვატორთა და გამომგონებელთა დღე“, „აკადემიკოსის ტრიბუნა“, „მინისტრის დღე“, ლექციების ციკლი მეცნიერებისა და ტექნიკის, უახლესი ტექნოლოგიების აქტუალურ პრობლემებზე. შრომითს კოლექტივებში, კულტურის სახლებსა და სასახლეებში, კლუბებში, ტექნიკის სახლებში, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით სასურველია ეწყობოდეს ლექციები, შეხვედრები, საუბრების ციკლი, „მრგვალი მაგიდა“, ლექტორიუმები მტპ-ის აქტუალურ საკითხებზე და სხვ.

1) ჩვენი იდეოლოგიური, მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის დიდი შესაძლებლობანი იმაში უნდა გამოვიყენოთ, რომ საბოლოოდ აღმოვფხვრათ დაბრკოლებანი მტპ-ის დაჩქარების გზაზე, ხელი შევუწყოთ კარდინალურ რევოლუციურ ძვრებს ყველა მიმართულებით. უნდა ვიცოდეთ და ვითვალისწინებდეთ მუშაობაში იმას, რომ მტპ-ის დაჩქარების მართვის სტრატეგია, რომელიც პარტიამ შეიმუშავა, მიზნად ისახავს, ჯერ ერთი, მეცნიერებისა და ტექნიკის ფართო ფრონტით წინსვლის პროცესში თავი მოვუყაროთ არსებულ საშუალებებს საკვანძო მიმართულებებზე, მეორე, ფართოდ გავუზნნათ გზა საიმედო, პრაქტიკით შემოწმებულ ტექნიკურ სიახლეთა მასობრივ ათვისებასა და გამოყენებას, რათა მივიღოთ მაქსიმალური უქუგება, ვიდრე ეს სიახლეები მორალურად მოძველდებოდეს.

ლექტორებმა, პროპაგანდისტებმა, აგიტატორებმა, პოლიტინფორმატორებმა, ჟურნალისტებმა, ყველამ, ვინც ასრულებს მასების კომუნისტური აღზრდისა და გამოწრთობის, პროფესიული დაოსტატების, პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტისათვის მათი დარაზმვის საპატიო და პასუხსაგებ მოვალეობას, საქმით უნდა უპასუხონ პარტიის მოწოდებას იმის შესახებ, რომ მოქმედებაში მოიყვანონ არსებული რეზერვები, მთელი შესაძლებლობები იმის ეფექტიანად გამოსაყენებლად, რაც გააჩნია მთელ ჩვენს ქვეყანას, თითოეულ შრომითს კოლექტივს, თითოეულ ადამიანს, მათ შორის მტპ-ს.

მტპ-ის დაჩქარების, მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების, მო-

წინავე საწარმოო გამოცდილების საკითხებზე რომ ვეწვეით პროპაგანდისტულ და სააგიტაციო მუშაობას, გარდა იმისა, რომ ღრმად უნდა ვერკვეოდეთ თვით ამ საკითხებში, ისიც უნდა ვიცოდეთ, პირველ რიგში თუ რას მივაქციოთ მთავარი ყურადღება, რა საკითხია ამა თუ იმ კოლექტივისათვის, დარგისათვის ყველაზე უფრო აქტუალური, მწვავე, მოსაგვარებელი და გადასაწყვეტი დღეს. აქედან გამომდინარე სასარგებლო იქნება, მსმენელები პირველ რიგში ერკვეოდნენ თვით ცნება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის არსში, რაც განმარტებულია ჩვენი წიგნის პირველ თავში. აქ ჩვენ შევეხებით მხოლოდ მისი იდეოლოგიური უზრუნველყოფის საკითხებს.

ჩვენი პროპაგანდა მტპ-ის საკითხებზე შინაარსითაც, ფორმითაც, ორგანიზაციის დონითაც და, რაც მთავარია, მისი ეფექტიანობითაც უნდა დავუმორჩილოთ საზოგადოებრივ მოთხოვნილებებს. საიდუმლოებას არ წარმოადგენს, რომ ხშირად პროპაგანდას ახასიათებს ინფორმაციულობა, ზედაპირულობა, არაკონკრეტულობა, ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური განვითარების თანამედროვე ეტაპის მოთხოვნებიდან ჩამორჩენა. ცალკეული ქარხნების, ფაბრიკების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშრომელები ჭერ კიდევ ვერ იღებენ საკმარის ინფორმაციას მეცნიერებისა და ტექნიკის თანამედროვე მიღწევებზე, მოწინავე საწარმოო გამოცდილებაზე. ყოველივე ეს უარყოფითად მოქმედებს საწარმოო საქმიანობის შედეგებზე. ცხოვრება გვიჩვენებს, რომ მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის შედეგიანი პროპაგანდა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა მას ვეწვეით გეგმიანად, სხვადასხვა საინტერესო ფორმისა და მეთოდის გონივრული გამოყენებით, საწარმოო კოლექტივების უახლესი და პერსპექტიული ამოცანების გათვალისწინებით. მაგრამ ზოგიერთი პარტიული ორგანიზაცია, იდეოლოგიური მუშაკი ყოველთვის როდი აქცევს ამას სათანადო ყურადღებას, არ იჩენს საკმარის მომთხოვნელობას ხელმძღვანელთა მიმართ თავიანთი ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის დონის ამაღლებისათვის, აგრეთვე ამ საქმეში მუშებისა და კოლმეურნეებისადმი დახმარების გაწევისადმი. ეკონომიკური სწავლების ბევრი საბჭო, რომლებსაც სამეურნეო ხელმძღვანელები მეთაურობენ, არასაკმარისად ზრუნავენ იმისათვის, რომ კადრების პოლიტიკური და ეკონომიკური სწავლება ზელს უწყობდეს მათ თანამედროვე აზროვნების განვითარებაში, მეურნეობის ინტენსიურად წარმართვის მოწინავე გამოც-

დილების დაუფლებაში. აქ, ცხადია, დიდი მნიშვნელობა აქვს საკითხების გაშუქების სიღრმეს, მისაწვდომობას.

ავიღოთ, მაგალითად, ასეთი თემა „მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება — პარტიის ეკონომიკური სტრატეგიის მთავარი მიმართულება“. თუ ჩვენ გვინდა უბრალოდ ინფორმაცია მივაწოდოთ მსმენელებს ამ თემაზე, მაშინ ვიტყვი, რომ ამ თემის სასწავლო პრობლემას წარმოადგენს მტპ-ის დაჩქარების გზების გამოვლენა როგორც პარტიის ეკონომიკური სტრატეგიის წარმატებით რეალიზაციის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი თანამედროვე ეტაპზე. მისი შესწავლის მიზანია მტპ-ის როლის დამაჯერებლად და გასაგებად ახსნა-განმარტება სკკპ ეკონომიკური სტრატეგიის განხორციელებაში, მისი ძირითადი მიმართულებების დაჩქარების ეკონომიკური და ორგანიზაციული წინამძღვრების გაცნობა და სხვ.

ახლა ავიღოთ მეორე თემა „სკკპ XXVII ყრილობა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის როლის შესახებ პარტიის სტრატეგიული ხაზის განხორციელებაში დაჩქარებაზე“. თუ გვინდა ჩვენმა გამოსვლამ ნამდვილად შეასრულოს თავისი ფუნქცია, მეცადინეობის თუ ლექციის დაწყებისას მოკლედ უნდა დავახსიანოთ პარტიის ეკონომიკური პოლიტიკის შინაარსი, რომლის განხორციელების შედეგად უახლოეს 15-20 წელიწადში ჩვენს ქვეყანაში უნდა მოხდეს კარდინალური ძვრები საზოგადოებრივი წარმოების განვითარებაში, სკკპ XXVII ყრილობამ რომ დასახა. ყრილობამ ამასთან განსაზღვრა მკვეთრი შემობრუნება წარმოების ინტენსიფიკაციისა და ეფექტიანობის ამაღლების მხრივ. თვისებრივი გარდაქმნა მოიცავს საზოგადოებრივი ძვრების ყველა მხარეს. მათი განხორციელების მთავარი საშუალებაა მტპ-ის, საზოგადოების საწარმოო ძალების განვითარება. მიზანშეწონილია მსმენელებს შევახსენოთ, რომ მტპ-ის როლი ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ გარდაქმნაში განპირობებულია სოციალისტური საზოგადოების ბუნებით.

მსმენელთა ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, რომ ჩვენს ქვეყანაში ეროვნული შემოსავლის მატების 40 პროცენტზე მეტს (რამდენადაც თითქმის ორი მესამედი მოდის მოხმარების ფონდის ჩამოყალიბებაზე) უზრუნველყოფს მტპ. აქედან აშკარაა მტპ-ის როლის ამაღლების აუცილებლობა ეროვნული შემოსავლის ზრდაში. (მეთორმეტე ხუთწლიედში ეროვნული შემოსავალი გაიზრდება 124 მილიარდი მანეთით, გასული ხუთწლიედის 79 მილიარდის ნაცვლად.)

მსმენელებს პრაქტიკულად უნდა ვუჩვენოთ მტპ-ის დაჩქარების გზები. ერთ-ერთი მათგანია მოწინავე ტექნოლოგიების, ზათ შორის პრინციპულად ახლების, ისეთების, როგორც არის მემბრანული, ლაზერული, პლანმური და სხვ. ფართოდ ათვისება. პრინციპულად ახალი ტექნოლოგიების მაღალი ეფექტიანობა ნათლად დასტურდება ჩვენი რესპუბლიკის საწარმოების მუშაობის გამოცდილებიდანაც.

წარმოების ავტომატიზაციის განვითარების ფართო პერსპექტივები, განსაკუთრებით რობოტების, მანიპულატორების, მოქნილი ავტომატიზებული წარმოებების, წარმოების მართვისა და ტექნოლოგიური პროცესების ავტომატიზებული პროცესების შექმნა და გამოყენება გათვალისწინებულია სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებით. უკვე ამჟამად რესპუბლიკაში ექსპლოატაციაშია ასობით ავტომატიზებული უბნები, ათასობით კომპლექსურ-მექანიზებული და ავტომატიზებული უბნები და საამქროები. ყოველწლიურად მატულობს ჩვენს წარმოებაში დანერგული რობოტების და მანიპულატორების რაოდენობა. (მაგალითად, 1987 წელს რესპუბლიკის მრეწველობაში დაიდგა 103 მექანიზებული ნაკადური, ავტომატური, როტორული და როტორულ-კონვეიერული ხაზი, 128 რიცხვულ-პროგრამული და როტორულ-კონვეიერული ჩარხი, 1.200 ერთეული კომპლექსურ-მექანიზებული და ავტომატიზებული მოწყობილობა. დაინერგა 116 სამრეწველო რობოტი და რობოტიზებული კომპლექსი. ათვისებულია 115 ახალი სახეობის პროდუქციის წარმოება.

ჩვენს პროპაგანდისტულ ღონისძიებებზე მტპ-ის საკითხებზე მსმენელებს შეიძლება მივცეთ კითხვები და დავალებები. მაგალითად, თემაზე „მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ძირითადი მიმართულებები და მეცნიერების განვითარება თანამედროვე ეტაპზე“ შეიძლება ასეთი საკითხების დაყენება:

1. დაასახელეთ მტპ-ის დაჩქარების ძირითადი მიმართულებები და უჩვენეთ მათი ურთიერთკავშირი. კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით განმარტეთ, როგორ რეალიზდება ეს მიმართულებები დარგში, თქვენს ორგანიზაციაში;

2. რით არის გამოწვეული ტექნიკისა და ტექნოლოგიის ძირული გაუმჯობესება. თქვენი დარგის მაგალითზე ანალიზი გაუკეთეთ ტექნიკის თაობების ცვლის პირობებს. ტექნიკის რა თაობებია ათ-

ვისებული და იქნება ათვისებული მეთორმეტე ხუთწლედში და პერსპექტივაში 2000 წლამდე.

3. გააანალიზეთ თქვენი ორგანიზაციის ნაწარმის მასალა-ტევადობა, მისი შემცირების რა რეზერვები არსებობს?

✓ 4. მტპ-ის დაჩქარება რატომ ასრულებს წამყვან როლს წარმოების ინტენსიფიკაციაში?

საინტერესოა, ვინ რა პასუხს გასცემს კითხვას: მთელი შესაძლებლობით იყენებთ თუ არა იდეოლოგიურ მუშაობას, მის სხვადასხვა ფორმასა და მეთოდს მტპ-ის დაჩქარებისათვის?

პასუხები, ცხადია, ერთმნიშვნელოვანი არ იქნება, შეიძლება ზოგმა ვერც გასცეს პასუხი, რაც სამწუხაროა. მაგრამ ერთი რამ მაინც გასაგებია: საჭიროა გავაუმჯობესოთ, დღევანდელი მოთხოვნების დონეზე ავიყვანოთ პოლიტიკური და ეკონომიკური სწავლების მეცადინეობების, ლექციების, საუბრების, პოლიტინფორმაციების ხარისხი, სრულყოთ მასობრივი პროპაგანდის მულტიმექმედი სისტემური ფორმების მუშაობა: მტპ-ის სახალხო უნივერსიტეტების, ლექციების ციკლების, ლექტორიუმების, სემინარების და სხვ. ამისათვის კი საჭიროა ფართოდ გამოვიყენოთ კულტურის უნივერსიტეტები, ტექნიკის სახლები, მეცნიერულ-ტექნიკური პროპაგანდის სახლები, გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოების, მეცნიერულ-ტექნიკური საზოგადოების ორგანიზაციები, მეცნიერულ-ტექნიკური ბიბლიოთეკები, სახალხო მეურნეობათა მიღწევების გამოფენები, კვალიფიკაციის ამალგების მულტიმექმედი კურსები და სხვ. მნიშვნელოვანი როლი შეუძლია შეასრულოს სახალხო უნივერსიტეტებს, სადაც მსმენელთა შემადგენლობიდან შეიძლება შეიქმნას შემოქმედებითი ჯგუფები, რომლებსაც მეცნიერ-მუშაკთა და საწარმოების მთავარ სპეციალისტთა ხელმძღვანელობით შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ შრომის ნაყოფიერების, წარმოების ინტენსიფიკაციის რეზერვების გამოძებნაში.

მტპ-ის დაჩქარების მნიშვნელოვან საშუალებად უნდა ვაქციოთ სოციალურ-ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური ინფორმაცია. მისი ჩამოყალიბებული და ზუსტი სისტემა უნდა დამუშავდეს ყოველ შრომითს კოლექტივში. შედარებით კარგად არის დაყენებული ეს მუშაობა, მაგალითად, თბილისის, ქუთაისის, სოხუმის ზოგიერთ საწარმოში, სადაც საზოგადოებრივ საწყისებზე მოქმედებს სარეფერენტო და საკორესპონდენტო ჯგუფები, ექსპერტები და პატენტთმცოდნეები. საინფორმაციო სამსახურის მუშაკთა ძალებით გა-

მოდის ტექნიკური ინფორმაციის ბიულეტენები, ეწყობა ახალი ლიტერატურის გამოფენები, ტარდება კონფერენციები, „მრგვალი მაგიდა“ და სხვ. დიდი ყურადღება ექცევა ტექნიკური ბიბლიოთეკების მუშაობის სრულყოფას, მათში მუშაობის ხელსაყრელი პირობების შექმნას. ამ მხრივ ბოლო დროს მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, მაგალითად, თბილისის ტექნიკური ბიბლიოთეკის მუშაობის პირობები.

მაგრამ ნაკლოვანებებიც რომ არსებობს და ძნელად აღმოიხივრებიან, ეს არ შეიძლება არ გვაწუხებდეს. სწორად მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნისა და მოწინავე გამოცდილების პროპაგანდა ახსენდებათ მხოლოდ მაშინ, როცა საჭიროა შევისწავლოთ საწარმოში შემოსული ახალი დაზგის ტექნიკური პარამეტრები და შესაძლებლობები. ისეც ხდება, რომ საწარმოში შემუშავებული და დანერგულია თანამედროვე ტექნოლოგია, ხოლო მომიჯნავე კოლექტივში ამის შესახებ არაფერი არ იცინა.

მომწიფდა მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის პროპაგანდის ისეთი ორგანიზაციის აუცილებლობა, რაც საშუალებას მოგვცემს მაქსიმალურად მოვეუყაროთ თავი მეცადინეობას მტკ-ის მნიშვნელოვან მიმართულებებზე. განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს მეცნიერების, ტექნიკისა და ტექნოლოგიების თანამედროვე მიღწევების, უმნიშვნელოვანესი გამოგონებებისა და აღმოჩენების პროპაგანდა და პოპულარიზაცია, რომლებსაც უნარი შესწევთ შეიტანონ ნამდვილად რევოლუციური ცვლილებები მტკ-ის ტემპებში. აქ საჭიროა არა უბრალოდ გავაფართოოთ მტკ-ის გასაშუქებელ პრობლემათა წრე, არამედ ვეძებოთ მეცნიერული და ტექნიკური პროპაგანდის შესაბამისი ფორმები ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროში.

დიდი პრობლემაა მტკ-ის დაჩქარების რეზერვების გამოძებნა და ამოქმედება. ამ პრობლემის გადაწყვეტაში სხვა ფაქტორებთან ერთად აქტიურად უნდა ჩაერთოს იდეოლოგიური, მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა, რაც, ცხადია, ჩვენს პარტიულ კომიტეტებსა და ორგანიზაციებს, იდეოლოგიურ კადრებსა და აქტივისტებს ევალებათ. ამაზე იმიტომ ვამახვილებთ განსაკუთრებით ყურადღებას, რომ ერთი და ორი ფაქტი როდია, როცა სრულად, ზოგჯერ სრულეობით არ გამოიყენება ტექნიკური პროგრესის პოტენციური შესაძლებლობანი. ამას ადგილი აქვს, მაგალითად, ეროვნული შემოსავლის, წარმოების ეფექტიანობისა და ავტომატიზაციის, სახალხო

მეურნეობის ინდუსტრიალიზაციის დონის, უნარჩუნო ტექნოლოგიის მაჩვენებელთა გადიდებაში.

სწორედ მტპ-ის დაჩქარების კონკრეტული რეზერვების გამოძენა და გამოყენება უნდა იყოს დღეს ჩვენი ყურადღების ცენტრში და უნდა იყოს მთელი სერიოზულობითა და პასუხისმგებლობით რეზერვების ძიებაში. პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს მტპ-ის პოტენციალის უკუგების მიღებას მისი სტრუქტურის სრულყოფის, ფუნდამენტური და გამოყენებითი გამოკვლევებისა და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების ინტენსიფიკაციის საფუძველზე. რესპუბლიკის მტპ-ის პოტენციალი დღეს უმთავრესად ხასიათდება ექსტენსიური განვითარებით, მაღალი საკადრო პოტენციალით, მაგრამ მისი არასაკმარისი ეფექტით, აღმოჩენათა და გამოგონებათა დონეზე შესრულებული ნამუშევრების შედარებით მცირე რაოდენობით და სხვ. მაგალითად, ჩვენთან აკადემიურ მეცნიერებაში დაახლოებით დაკავებულია ყველა მეცნიერ-მუშაკთა 20,8 პროცენტი, უმაღლეს სასწავლებლებში — 33,3 პროცენტი, საქარბნო მეცნიერებაში — 6,8 პროცენტი, დარგობრივ მეცნიერებაში — 37,1 პროცენტი. ყოველივე ეს ხელს უშლის მეცნიერულ-საწარმოო ციკლის დაჩქარებას, უახლესი მიღწევების წარმოებაში დანერგვას.

ახლა საჭიროა, და ეს მთავარია, უფრო აქტიურად წარვმართოთ რესპუბლიკის მეცნიერული პოტენციალი, ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიების შექმნასა და ათვისებაზე სახალხო მეურნეობის მოთხოვნების გათვალისწინებით, რომლებიც 5—10-ჯერ, ხოლო ზოგჯერ 50—80-ჯერ ზრდიან შრომის ნაყოფიერებას წარმოების მასალატევადობის ერთდროულად შემცირების პირობებში.

ყვარლის რაიონის ზოგიერთ საწარმოო შრომითს კოლექტივში ფართო ორგანიზატორული და იდეოლოგიური მუშაობა გაიშალა სოფლის მშრომელთა იმაში დასარწმუნებლად, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ინტენსიური ტექნოლოგიის დანერგვას სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდებაში. შემდეგ ამ მუშაობის ძალა გამოიყენეს ინტენსიური ტექნოლოგიის ინტენსიური დანერგვისათვის. 1987 წელს რაიონში ინტენსიურ ტექნოლოგიას ეკავა 700 ჰექტარი. თითოეულ მათგანზე მოიწიეს 41 ცენტნერი მარცვალი. განსაკუთრებით მაღალ შედეგებს მიაღწია სოფ. შილდის კოლმეურნეობამ, სადაც მოიწიეს 47 ცენტნერი მარცვალი ჰექტარზე. წლების მანძილზე რაიონში სოიას დაბალ მოსავალს იღებდნენ. 1987 წელს ინტენსიური ტექნოლოგიის მეოხებით 77

ცენტერი სოიას მარცვალი მოიწიეს. ამასთან თითოეულ ჰექტარზე დაახარჯა 20 მანეთით ნაკლები, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული. რაიონში გრძელდება ახსნა-განმარტებითი მუშაობა ინტენსიური ტექნოლოგიის კიდევ უფრო მასობრივად დანერგვისათვის.

რესურსების მომპირნეობის, მტპ-ის დაჩქარების მნიშვნელოვანი რეზერვები დაკავშირებულია წარმოებისა და პროდუქციის ტექნიკური დონის ამაღლებასთან. აქ საჭიროა თანმიმდევრობით გადაწყვიტოთ ისეთი ამოცანები, როგორც არის: მძიმე, ნაკლებკვალიფიციური და არაკვალიფიციური ხელის შრომის აღმოფხვრა; წარმოების კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის განხორციელება; წარმოების ნაწილობრივ ავტომატიზაციაზე გადასვლის უზრუნველყოფა; წარმოების ავტომატიზაციის უზრუნველყოფა.

ეკონომიკური რეზერვების გადამწყვეტი ნაწილი დაკავშირებულია დაგეგმვისა და სტიმულირების გაუმჯობესებასთან. აქ მთავარია უზრუნველყოთ სახალხო მეურნეობის დაგეგმვის ერთიანობა მტპ-ის დაგეგმვასთან.

ორგანიზაციულ-სტრუქტურულ რეზერვებს შორის საჭიროა უწინარეს ყოვლისა გამოვეყნოთ მტპ-ის საქმიანობის, მტპ-ის ციკლის დაჩქარების, ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურის გაუმჯობესების საკითხები და სხვ. მაგალითად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გადავიდეთ იმ საწარმოთა რაოდენობის გადიდებაზე, რომლებიც ნერგავენ ახალ ტექნიკას.

ამჟამად ქვეყნის, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში ხორციელდება წარმოების ორგანიზაციული გარდაქმნა, რაც მდგომარეობს მსხვილი საწარმოო დარგობრივი და დარგთაშორისი კომპლექსების შექმნაში — მანქანათმშენებლობაში, სათბობენერგეტიკულ, აგროსამრეწველო დარგებში და სხვ.

მნიშვნელოვანია მსმენელებს მივაწოდოთ ინფორმაცია მეცნიერების წარმოებასთან კავშირების ორგანიზაციის ისეთ ფორმებზე, როგორც არის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებები, მეცნიერულ-ტექნიკური კომპლექსები, მათი საქმიანობის უპირატესობაზე განცალკევებულ სამეცნიერო-კვლევით და საპროექტო-საკონსტრუქტორო დაწესებულებებთან შედარებით. მათი განვითარების მნიშვნელობის შესახებ მტპ-ის დაჩქარებისათვის და სხვ.

მაგალითად, თბილისის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ნალიზხელსაწყოს“ კოლექტივი ნამდვილად გამოირჩევა მტპ-ის

დაჩქარებისათვის იდეურ-პოლიტიკური მუშაობის, კერძოდ, მშრომელთა პოლიტიკური და ეკონომიკური განათლების, ლექციური პროპაგანდის, პრესის აქტიურად გამოყენებით. ეს, რა თქმა უნდა, დადებით გავლენას ახდენს როგორც მტპ-ის დაჩქარებაზე, ისე ფინანსურ დაწინაურებაზე. მაგალითად, გაერთიანების კოლექტივის 1988 წლის პირველ კვარტალში თავის განკარგულებაში ჰქონდა 8.728 ათასი მანეთი მოგება.

არ შეიძლება არ შევეხოთ ინტენსიფიკაციის საკითხს, რომელსაც განუსაზღვრელი შესაძლებლობები გააჩნია, გააჩნია, რადგან ტექნიკის, ტექნოლოგიის, შრომისა და წარმოების სრულყოფა უკიდვანაა.

მაგალითად, ლექციაზე, მეცადინეობაზე, სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე თუ გამოვიტანთ ისეთ აქტუალურ თემას, როგორც არის „მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი — ინტენსიფიკაციის გადამწყვეტი ფაქტორი“, საჭიროა ყოველმხრივ ვუჩვენოთ მტპ-ის ძირითადი მიმართულებები, განვიხილოთ ამ პროცესის დაჩქარების შესაძლებლობები. ამასთან რეკომენდებულია მუშაობის ასეთი სამაგალითო გეგმა:

1. სკკპ XXVII ყრილობა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების აუცილებლობა;
2. სახალხო მეურნეობის ახალი ტექნიკური რეკონსტრუქცია;
3. მშრომელთა ტექნიკური შემოქმედება.

პარტია მტპ-ის დაჩქარებას განიხილავს როგორც ქვეყნის მთელი ეკონომიკური პოლიტიკის მთავარ საკითხს. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმზე ჩამოყალიბდა დებულება მტპ-ის ორი ფორმის შესახებ — ევოლუციური და რევოლუციური. ჩვენს ღონისძიებაზე მათი ანალიზი მშრომელებს დაეხმარებათ რევოლუციური გარდაქმნის თანამედროვე ეტაპის პრიორიტეტულობა აღიქვან ტექნიკისა და მტპ-ის მართვის მეთოდებში. მნიშვნელოვანია მსმენელთა ყურადღება მივაპყროთ იმას, თუ როგორ, რა გზებით გადავწყვეტთ მტპ-ით წარმოშობილ ამოცანებს. ცხადია, უწინარეს ყოვლისა მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალის შემდგომი გაზრდისა და ეფექტიანი გამოყენების გზით. ამიტომ როგორც მთლიანად ქვეყანაში, ისე ყოველ დარგში გატარდება აქტიური მეცნიერულ-ტექნიკური პოლიტიკა, რომელიც მიმართული იქნება ტექნიკის ახალი თაობების გამოშვებაზე, ტექნოლოგიის, მასალების, პროგრესული სახეობების დამუშავებაზე. მე-

ხორმეტე ხუთწლედში გათვალისწინებულია დავაჩქაროთ საწარ-
წო აპარატის განახლება ტექნიკის, ტექნოლოგიური პროცესების,
მოქნილი წარმოებების ყველაზე მოქნილი სახეობების სულ უფრო
დართოდ დანერგვის ბაზაზე. ამისათვის დასახულია ამოცანა და-
ვაჩქაროთ წარმოების კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზა-
ცია, ფართოდ დავნერგოთ საწარმოებში ავტომატები, როტორული
ხაზები, რობოტები, კომპიუტერული ტექნიკა და სხვ.

მტპ-ის დაჩქარებით გაუმჯობესდება ბუნებრივი რესურსების—
ნედლეულის, მასალების, სათბობის, ენერჯის გამოყენებაც. რე-
სურსების დაზოგვა წარმოადგენს ბოლო ხუთწლედის განმასხვავე-
ბელ თავისებურებას. უნდა მივალწიოთ, რომ სათბობზე, ენერჯია-
ზე, მასალებზე, ლითონებსა და სხვ. მოთხოვნილებათა მატება 2000
წლამდე პერიოდში 75-80 პროცენტით დაიფაროს მათი ეკონომიის
ხარჯზე. ახლანდელ ხუთწლიან გეგმაში, ჩვენი ქვეყნის ისტორიაში
პირველად, დასახულია მატერიალური წარმოების ყველა დარგში
უზრუნველვეყოთ პროდუქციის მატება მუშათა რაოდენობის გაზრ-
დის გარეშე.

თემის მეორე საკითხის განხილვის დროს მნიშვნელოვანია
მასწი გამოვეყოთ მთავარი მომენტი. სკკპ XXVII ყრილობის, სკკპ
ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმის მიერ და-
სახული მიჯნების მიღწევა ინტენსიფიკაციის დარგში შეიძლება მხო-
ლოდ სასაღზო მეურნეობის ახალი ტექნიკური რეკონსტრუქციის
შედეგად. მტპ-ის მიღწევების საფუძველზე. საქმე შეეხება ქვეყნის
ყველა დარგის, თითოეული საწარმოს მატერიალურ-ტექნიკური
ბაზის სწრაფ განახლებასა და თვისებრივ სრულყოფას. ამასთან
ძალზე მნიშვნელოვანია, რომ მისი მაღალი დონე ნიადაგ შენარჩუ-
ნებულ იქნეს და შეესატყვისებოდეს მსოფლიო მიღწევებს.

სახალხო მეურნეობის ახალი ტექნიკური რეკონსტრუქცია
XXVII ყრილობაზე მიჩნეულ იქნა ჭეშმარიტად ისტორიული მნიშ-
ვნელობის ამოცანად. რა არის საჭირო მისი გადაწყვეტისათვის?
სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ მოხსენებაში ამ საკით-
ხზე გაცემულია ზუსტად აბომწურავი პასუხი: უწინარეს ყოვლისა
შევეცვალოთ სტრუქტურული და საინვესტიციო პოლიტიკა. ცვლი-
ლებების არსია, ყურადღების ცენტრი რაოდენობრივი მაჩვენებლე-
ბიდან გადავიტანოთ ხარისხსა და ეფექტიანობაზე, შუალედური-
დან — საბოლოო შედეგებზე, საწარმოო ფონდების გაფართოები-
დან — მათ განახლებაზე, სათბობ-სანედლეულო რესურსების გა-

დიდებიდან — მათი გამოყენების გაუმჯობესებაზე, მეცნიერებატე-
ვადი, დარგების საწარმოო და სოციალური სტრუქტურის ინფრასტ-
რუქტურის დაჩქარებულ განვითარებაზე.

მსმენელებს უნდა განუხარტოთ, რომ ამ მიმართულებით მე-
თორშეტი ხუთწლედში განხორციელდება დიდი სამუშაოები. ხელა-
ხალი ორიენტაცია გაუკეთდება საინვესტიციო და სტრუქტურულ
პოლიტიკას. გადიდდება კაპიტალდაბანდებათა წილი მოქმედი სა-
წარმოების რეკონსტრუქციასა და ტექნიკურ ხელახლა შეიარაღე-
ბაზე. გათვალისწინებულია დაჩქარდეს მანქანათმშენებლობის გან-
ვითარება. შემცირდეს საინვესტიციო ციკლი.

ქვეყნის სახალხო მეურნეობის ხელახლა შეიარაღებაზე მნიშ-
ვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს სათბობ-ენერგეტიკულმა კომ-
პლექსმა. მისი სტრუქტურა შეიცვლება ბუნებრივი გაზის სასარგებ-
ლოდ.

საზოგადოებრივი წარმოების ინტენსიფიკაციისათვის მუშაო-
ბაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა რესურსების და-
ზოგვა. მეთორშეტი ხუთწლედში 65-70 პროცენტით, ხოლო ცალ-
კეული სახეობების მიხედვით სახალხო მეურნეობის მთელი დამა-
ტებითი მოთხოვნილება სათბობსა და ნედლეულზე დაკმაყოფილ-
დება ეკონომიის ხარჯზე.

დღეს უკვე აღარავინ დავობს რეკონსტრუქციის სარგებლიანო-
ბაზე. ამ მიზნით გამოყენებული კაპიტალდაბანდება ორჯერ მეტ
უკუგებას იძლევა, ვიდრე ახლის მშენებლობის დროს. მაგრამ ადა-
მიანებში ფსიქოლოგიური გარდაქმნა ისე სწრაფად არ ხდება, რო-
გორც ჩვენ გვინდა. ყველა სამეურნეო ხელმძღვანელს ერთნაირი
დამოკიდებულება როდი აქვს რეკონსტრუქციისადმი. დრო კი მო-
ითხოვს გაბედულ გადაწყვეტას. დღეს საჭიროა არა ყოველგვარი
განახლება, არამედ წარმოების მთელი ტექნოლოგიური პროცესე-
ბის კომპლექსური ხელახლა შეიარაღება, ისეთი რეკონსტრუქცია,
რომელიც წარმოებას აამაღლებს მსოფლიო სტანდარტების დონე-
ზე, საშუალებას მოგვცემს გამოვუშვათ საბჭოთა ადამიანების ყვე-
ლაზე მომთხოვნი გემოვნების საქონელი. ასე უნდა მივუდგეთ სა-
კითხს, როცა წარმოების რეკონსტრუქციის შესახებ გვექნება საუ-
ბარი, ლექცია თუ პოლიტინფორმაცია.

სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქცია ახალ ამოცანებს რომ
უყენებს მეცნიერებას, ითვალისწინებს რა მის მზარდ როლს სა-
წარმოო ძალების განვითარებაში, შრომის ნაყოფიერების ამაღლება-

სა და საზოგადოებრივი ურთიერთობის სრულყოფაში, ესეც უნდა განვუმარტოთ ჩვენს მსმენელებს და არა მარტო განვუმარტოთ, არამედ პრაქტიკულად უნდა დავეხმაროთ მათ, რათა მონაწილეობა მიიღონ მათ ხორცშესხმაში.

თემის მეორე საკითხის შესწავლა ჩვენს წინაშე შლის ფართო შესაძლებლობებს, მსმენელები მოვიზიდოთ ტექნიკური ხელახლა შეიარაღების, თავიანთ საწარმოებში მეურნეობის გაძლიერების გარდაქმნის საკითხების განხილვაში სამეურნეო ანგარიშის გაღრმავების, შრომითი პროცესების ორგანიზაციის გაუმჯობესების, პროდუქციის ხარისხის, ნედლეულის, მასალების, ენერგეტიკული რესურსების ეკონომიის ამაღლების გზით.

თემის მესამე საკითხის განხილვისას უნდა აღვნიშნოთ, რომ აქ ულვევი რეზერვია მშრომელთა ტექნიკური შემოქმედების განვითარება. ეს გადაწყვეტი ძალა და მთავარი დასაყრდენია პარტიის სტრატეგიული ხაზის რეალიზაციაში. პარტია დიდ იმედებს ამყარებს მშრომელთა შემოქმედებაზე, როცა საქმე შეეხება ინტენსიფიკაციისა და საზოგადოებრივი წარმოების ტემპების ზრდის პირობების გადაწყვეტას. ღონისძიებაზე შეიძლება განვიხილოთ მშრომელთა ფართო მასების უშუალო მონაწილეობის პირობები წარმოების მეცნიერულ-ტექნიკური განვითარების საქმიანობაში.

ყოველ საწარმოში, ყოველ შრომითს კოლექტივში არიან რაციონალიზატორები, გამომგონებლები, რომელთა შემოქმედება წარმოების ტექნოლოგიური სრულყოფის უზრეტი წყაროა. იგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ამჟამად, როცა პარტია ამოცანად სახავს სწრაფად გავიდეთ პრინციპულად ახალ ტექნოლოგიებზე, უკანასკნელი თაობის ტექნიკაზე, რომელიც იძლევა დიდ ეკონომიკურ ეფექტს. მნიშვნელოვანია მშრომელებმა იცოდნენ, რომ მისი გადაწყვეტა უშუალოდ ეხება იმ მშრომელებსაც, ვინც დაკავებულია წარმოების რაციონალიზაციით, ცდილობს თავისი ძალა და ცოდნა გამოიყენოს უშუალოდ საამქროში, მშენებლობაზე, ტრანსპორტზე, სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. პარტიის მოწოდების პასუხად მშრომელებმა გაააქტიურეს შრომის ორგანიზაციის, მართვის ყველაზე ეფექტიანი ფორმებისა და მეთოდების ძიება, ფართოდ შლიან სოციალისტურ შეჯიბრებას. ამის ილუსტრირება შეიძლება კონკრეტული მაგალითებით ჩვენი კოლექტივის, დარგის, რესპუბლიკის, ქვეყნის მოწინავე საწარმოების გამოცდილებიდან.

მშრომელთა ტექნიკური შემოქმედების განვითარებაში დიდია პარტიული ორგანიზაციების როლი. მაგრამ ამისათვის საჭიროა თვით კომუნისტები, აქტივისტები, ეუფლებოდნენ საჭირო ტექნიკურ ცოდნას და ესოდეთ, როგორ წარმართონ უკეთესად ეს საქმე კოლექტივებში. რესპუბლიკის ზოგიერთ საწარმოში პარტიული კომიტეტები ატარებენ თათბირ-სემინარებს, რომლებზეც საამქროს პარტიული ორგანიზაციების მდივნები ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას. ზოგჯერ კომუნისტთა წინაშე ტექნიკური შემოქმედების განვითარების საკითხებზე გამოდიან პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების მუშაკები. მაგრამ ჯერ კიდევ ყველგან როდია მაღწეული, რომ იდეოლოგიური მუშაობა ნამდვილად ეხმარებოდეს მასების ტექნიკური შემოქმედების განვითარებას.

1987 წელს სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, საკავშირო პროფსაბჭომ და საკავშირო კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღეს დადგენილება თვითმოქმედი ტექნიკური შემოქმედების შემდგომი განვითარების შესახებ. მასში გათვალისწინებულია, მაგალითად, საწარმოებთან, ორგანიზაციებთან, კულტურის სასახლეებსა და სახლებთან, გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საკავშირო საზოგადოების ორგანიზაციებთან თვითმოქმედი ტექნიკური შემოქმედების კლუბების შექმნა.

მეცადინეობის ბოლოს საჭიროა განვაზოგადოთ და შევაჯამოთ მსმენელთა მიერ გამოთქმული წინადადებები და შენიშვნები, რეფერატებში გაკეთებული პრაქტიკული რეკომენდაციები და დავიყვანოთ ისინი საწარმოთა ხელმძღვანელებამდე, მივალწიოთ მსმენელთა ყველა სასარგებლო წინადადების აღრიცხვასა და რეალიზაციას.

ჩვენ მშრომელთა ტექნიკური შემოქმედების გასავითარებლად და გასააქტიურებლად პროპაგანდისტულ და სააგიტაციო კადრებს შეიძლება შევთავაზოთ ასეთი საკონტროლო კითხვები და დავალებები:

1. რა იცით საწარმოს თუ დარგის საუკეთესო რაციონალიზატორსა და გამომგონებელზე, რამდენად ეფექტიანია მათი წინადადებები? რა შეიძლება გაკეთდეს რაციონალიზატორული მუშაობის გააქტიურებისათვის საამქროში, უბანზე?

2. გაანალიზეთ ნოვატორული მოძრაობის ფორმები თქვენს საწარმოში, რომელი უფრო ქმედითია მათგან? შეიტანეთ წინადადებები მუშათა ტექნიკური შემოქმედების ორგანიზაციის სრულ-

ყოფისათვის, ჩაატარეთ თქვენს საამქროში შემოტანილი რაციონალიზატორული წინადადებების ანალიზი და სხვ.

ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაში წამყვანი როლი რომ უჭირავს მანქანათმშენებლობას, ეს ყველასათვის ცნობილია, ცნობილია, ისიც, რომ როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმზე ითქვა, შედგენილია სამამულო მანქანათმშენებლობის მოდერნიზაციის პროგრამა. ახლა ამ მხრივ მთელ ქვეყანაში, მათ შორის ჩვენს რესპუბლიკაშიც გაშლილია მუშაობა, რომელიც მიზნად ისახავს სერიოზული საბოლოო შედეგების მიღწევას. მაგრამ ამ დარგში არსებული მდგომარეობა არ გვაკმაყოფილებს. ახალი დიდფექტიანი ნაწარმების ათვისებასთან და მათი ტექნიკური ღონის ამოღებასთან დაკავშირებული ღონისძიებები ჯერ კიდევ საკმარისი არ არის. ზოგიერთ საწარმოში ჯერ კიდევ ქარბობს წარმოების მთლიან მოცულობაში ათი წლის წინათ და უფრო ადრე ათვისებული პროდუქციის ხვედრითი წილი. გამოშვებული მანქანები, მოწყობილობა, ხელსაწყოები ხშირად ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნებს, რაც იმაზეც მიგვითითებს, რომ გასაკეთებელი და საზრუნავი ჯერ კიდევ ბევრია ამ მხრივ. ეს, ცხადია, პირდაპირ ექნებათ შესაბამის პარტიულ ორგანიზაციებს, იდეურ მუშაკებსა და აქტივს. აქ მთელ მუშაობას ისე უნდა ვეწეოდეთ, რომ ინჟინერ-ტექნიკურ კადრებს, სპეციალისტებს ჩამოვუყალიბოთ თანამედროვე აზროვნება, ხელი შევუწყოთ მათ მოძველებულ შეხედულებებსა და ჩვევებზე უარის თქმაში.

ჩვენი დღევანდელი ცხოვრება მოითხოვს, რომ თითოეული საუბარი, ლექცია, პოლიტინფორმაცია, მეცადინეობა, თითოეული სიტყვა. თითოეული სტატია, ტელე-და რადიოგადაცემა იყოს აქტივალური თითოეული კონკრეტული აუდიტორიისათვის, მოცემული საწარმოს, კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის, საამქროს, ბრიგადის, უბნის ამოცანებთან მიახლოებული, მკიდროდ დაკავშირებული. მაგალითად, რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში პოპულარობით სარგებლობს ლექციები „მეცნიერება — წარმოებას“. ამასთან ლექცია უფრო საგნობრივი და საინტერესო რომ იყოს, ლექტორი წინასწარ ეცნობა წარმოებას, მისი მუშაობის ავ-კარგს, ადამიანებს. ეს საშუალებას აძლევს მას უფრო კონკრეტული წვლილი შეიტანოს ყოველივე ახლის, პროგრესულის მაღალპროფესიულად პროპაგანდასა და დანერგვაში, რეალიზაციაში.

მეცნიერების, ტექნიკის მიღწევების პრაქტიკაში დანერგვის

მთელ რაულ და მრავალფეროვან პროცესში ძირითადი ფიგურაა ინჟინერი. დრო უყენებს მას მაღალ, რთულ და მრავალფეროვან მოთხოვნებს. ამის გათვალისწინებით პარტიულმა კომიტეტებმა, ორგანიზაციებმა უნდა იზრუნონ ინჟინერ-ტექნიკური კადრების ცოდნის განუწყვეტელ გაფართოებასა და განახლებაზე. პროპაგანდისტული, მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის, პროფესიული სწავლების მრავალფეროვანი ფორმები ყოველნაირად უნდა ეხმარებოდეს მათ ცოდნის გაფართოებაში, ოპერატიულად აწვდიდეს სიახლეების მისამართებს, აიარაღებდეს პრაქტიკულად მეცნიერებისა და ტექნიკის, წარმოების მიღწევების დანერგვის ჩვევებით. ამ მხრივ მუშაობა ორგანიზებულად რომ ეწყობა თბილისის საავიაციო ქარხანაში, შედეგებიც უფრო დამაიმედებელია.

ინჟინერი ვახსენეთ და უნდა აღვნიშნოთ, რომ ახლად შექმნილი სსრ კავშირის სამეცნიერო და საინჟინრო საზოგადოებათა კავშირი დიდ წვლილს შეიტანს საწარმოო, სამეცნიერო-ტექნიკურ და ეკონომიკურ პროპაგანდაში.

ცხოვრების მოთხოვნების, მტკ-ის საფუძველზე ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სულისკვეთებით საზოგადოებრივი შეგნების ფსიქოლოგიურ გარდაქმნაში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ბეჭდვით სიტყვას, ტელევიზიას და რადიოს. რესპუბლიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ყურადღების ცენტრში, ცხადია, ყოველთვის არის მტკ-ის აქტუალური საკითხები, მაგალითად, ისეთები, როგორც არის საწარმოების ტექნიკური რეკონსტრუქცია, მეცნიერული ნამუშევრების რეალიზაცია, მეცნიერულ გამოკვლევათა ბაზის განმტკიცება, რესურსების უკეთ გამოყენება, პროდუქციის ხარისხის ამაღლება და სხვ.

მაგრამ ამ მხრივ მუშაობის კიდევ უფრო გააქტიურება ცხოვრების მოთხოვნაა, ამას გვიკარნახებს ტექნიკური პროგრესის შემდგომი დაჩქარების ინტერესები, ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ინტერესები. აქ გარკვეული როლის შესრულება შრომითი კოლექტივების მრავალტირაჟიან და კედლის გაზეთებსაც შეუძლიათ. ამ მხრივ აქტიურად გამოიყურება, მაგალითად, თბილისის ქარხანა „ელექტროაპარატი“. მეცნიერულ-პოპულარული, სასწავლო და დოკუმენტური ფილმების უნარიანად გამოყენებას ნამდვილად შეუძლია მოგვიტანოს სარგებლობა. მაგრამ ფაქტები მოწმობს, რომ ამ ფილმებზე აუდიტორია ძალზე მცირეა. მათ ხშირად უჩვენებენ არა სპეციალურ აუდიტორიას, არამედ მხატვრული

ფელმების წინ. მეცნიერებისა და ტექნიკის თემებზე სატელევიზიო გადაცემებისათვის უპირატესად აჩვენენ შუადღეს, როცა მშრომელთა ძირითად მასას, უპირატესად ახალგაზრდობას საშუალება არა აქვს უყუროს გადაცემას.

მტპ-ის დაჩქარებაში დიდია წიგნის როლი, მისი პროპაგანდა უნდა გააძლიეროს ახალი ცოდნის დაუფლების, თანამედროვე წარმოების წვრილმანებში ჩაწვდომის ემოციონალურ პროცესად. პროფესიისადმი სიყვარულისა და ინტერესის ზრდის მიზნით ტექნიკური ლიტერატურის პროპაგანდას უნდა ვეწეოდეთ მხატვრული ლიტერატურის პროპაგანდასთან ერთად კომპლექსში.

მტპ-ის საკითხებზე გამოცემული ლიტერატურის პროპაგანდაში დიდი როლის შესრულება შეუძლია წიგნის მოყვარულთა საზოგადოებას, მის ორგანიზაციებს ადგილებზე. მთელი საქმე ის არის, როგორი პასუხისმგებლობითა და საქმის ცოდნით, მაღალი პროფესიონალიზმით მიუდგებიან ისინი ამ მეტად საპირო საქმეს. მათ კი ამის მრავალფეროვანი შესაძლებლობები აქვთ: დისპუტები, დისკუსიები, განხილვები, მიმოხილვები, მკითხველთა კონფერენციები, შეხვედრები წიგნის ავტორებთან და გამომცემლებთან, რაციონალიზატორებთან, წარმოების ნოვატორებთან და ა. შ. სასურველია პროპაგანდისტულ ღონისძიებებში აქტიურად ჩაერთოს სამინისტროების, უწყებების, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების, საკონსტრუქტორო ბიუროების წამყვანი სპეციალისტები. სასარგებლო იქნება ჩატარდეს სემინარები თემებზე: „წიგნის როლი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაში“, „მეცნიერულ-ტექნიკური ლიტერატურა და წარმოების ეფექტიანობის ამაღლება“, გამომგონებლებისა და რაციონალიზატორებისათვის, ტექნიკური ინფორმაციისა და მეცნიერულ-ტექნიკური ბიბლიოთეკების ინფორმაციის სამსახურის მუშაკებისათვის მკითხველთა კონფერენციები თემაზე „ინჟინერი — შემოქმედებითი პროფესია“, ტექნიკური წიგნის დღესასწაულები გამომგონებლებთან და საწარმოებთან ერთად და სხვ.

მტპ-ის დაჩქარების დიდი და სწრაფმოქმედი რეზერვია ადამიანის ფაქტორი, რომლის ამოქმედებაში ძალზე დიდია ადამიანებთან ყოველდღიური იდეურ-აღმზრდებლობითი მუშაობის მნიშვნელობა და რომლის დახმარებითაც უნდა დავაკმაყოფილოთ მტპ-ის მოთხოვნილება უნივერსალურ მუშაკებსა და ყოველმხრივ განვითარებული ადამიანის კომუნისტურ აღზრდაზე, გავითვალისწინოთ,

რომ ადამიანის ინტელექტი ყველაზე მნიშვნელოვანია საზოგადოების ყველა რესურსიდან. ადამიანის ყველა უნარისა და შესაძლებლობის გამოვლენა — ეს ხომ საზოგადოებრივი პროგრესის მამოძრავებელი ძალა და უმაღლესი მიზანია. რამდენი ვიცით, სწუხან ადამიანები იმიტომ, რომ ხშირად მუშის პოტენციალს ვიყენებთ არა უმეტეს 80 პროცენტისა, ინჟინრისას კი — მხოლოდ 20 პროცენტით. წარმოიდგინეთ, რა შესაძლებლობები და რეზერვებია აუმოქმედებელი და რას შეგვიძლია მივალწიოთ დამატებითი კაპიტალ-დაბანდების, ახალი მშენებლობების, რეკონსტრუქციის გარეშე, თუ ავამოქმედებთ ამ ყველაზე მნიშვნელოვან რეზერვს — ადამიანის ფაქტორს.

დღევანდელი ცხოვრება მზარდ მოთხოვნებს უყენებს არა მარტო მანქანებსა და ტექნოლოგიებს, არამედ თვითონ მუშაკებსაც, რომლებიც ამ მანქანებს ქმნიან და მართავენ, ყალიბდება ახალი ტიპის მუშაკი, რომლის შრომაში სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს გონებრივი ძალისხმევა, შემოქმედება. ეს არის ფართო პროფესიული თვალსაწიერისა და ოსტატობის ადამიანი, რომელმაც ღრმად იცის თანამედროვე წარმოების პოლიტექნიკური საფუძვლები და უნარი შესწევს უსწრაფესად აითვისოს თანამედროვე ტექნიკა და ტექნოლოგია.

მაგრამ დღევანდელი მტკ არა მარტო რთულ, უფრო მაღალ და ახალ-ახალ მოთხოვნებს უყენებს ადამიანს, არამედ უდიდეს პასუხისმგებლობასაც აკისრებს მას. ავტომატიზაციის ურთულეს, უწყვეტ და მოქნილ წარმოებათა სამყაროში, ინფორმაციის უსასრულო ნაკადში ადამიანზე და მხოლოდ მასზეა დამოკიდებული საქმის წარმატება და წარუმატებლობა, დიდი შენაძენი და დანაკარგი. ასეთ პირობებში, ცხადია, საკბროა ადამიანი იყო მომზადებული არა მარტო პროფესიულად, არამედ იდეურად, პოლიტიკურად, ზნეობრივად. ეს კი მოითხოვს თითოეულ ადამიანს ჩამოვეყალიბოთ მეცნიერული მსოფლმხედველობა, კომუნისტური ზნეობა. ამიტომაც არის, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის დადგენილებაში „მშრომელთა პოლიტიკური, ეკონომიკური სწავლების სისტემის გარდაქმნის შესახებ“ ნათქვამია: ჩვენს წინაშე მდგომი ამოცანების გადაწყვეტა მოითხოვს მშრომელთა იდეურ-ზნეობრივ გამოწრთობას, პოლიტიკური კულტურის, ეკონომიკური აზროვნების გამომუშავებას, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის გამიზნული პარტიის კურსის ღრმად გაგებას.

ყოველივე ეს დიდადაა დამოკიდებული ჩვენს პარტიულ ორგანიზაციებზე, მათს ყოველდღიურ პრობანდისტულ და სააგიტაციო მუშაობაზე, რაც, ცხადია, ადვილი არ არის, მაგრამ სამაგიეროდ, ჩვენი იდეოლოგიის ეკონომიკის განვითარებაზე დიდი გავლენის მომხდენი ფაქტორია, ეკონომიკისა, რომელსაც ძალა შესწევს ასეთივე უკუაღმავალი გავლენა მოახდინოს თვით იდეოლოგიური მუშაობის გააქტიურებასა და გაღრმავებაზე, მის ქმედითობაზე.

მტპ-ის დაჩქარებაში ადამიანის ფაქტორის გააქტიურება წარმოადგენს ინტენსიფიკაციის გზაზე სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების კონცეფციის შემადგენელ ნაწილს. ამ ამოცანების გადაწყვეტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინამძღვარია განათლების მთელი სისტემის გარდაქმნა, უწყვეტი განათლების ერთიანი სისტემის შექმნა. აქ ამასთან ერთად საჭიროა უფრო ეფექტიანად გამოვიყენოთ მუშაკების კვალიფიკაციის ამაღლებისა და შემოქმედებითი აქტიურობის ზრდის ეკონომიკური სტიმულები.

კონკრეტულად მაინც რა ხერხებით და მეთოდებით, რა გზებით გასვავითაროთ, დავაჩქაროთ მტპ, ავამაღლოთ წარმოების ეფექტიანობა და პროდუქციის ხარისხი ყოველ სამუშაო ადგილზე და რესპუბლიკის მასშტაბით? რა უნდა ვავაკეთოთ მეცნიერებისა და ტექნიკის, მეცნიერებისა და წარმოების ურთიერთმოქმედების გასაუმჯობესებლად?

ხომ ცნობილია, რომ ყოველი საქმე უწინარეს ყოვლისა იწყება ადამიანის მიერ, რეალიზდება ადამიანთა გონებითა და ხელებით. ხორციელდება შრომითი კოლექტივების ყოველდღიურ პრაქტიკაში. ამიტომ დღეს მკვეთრად იზრდება იდეოლოგიური და ორგანიზატორული მუშაობის შეხამების, სიტყვის პრაქტიკული მოქმედებით განმტკიცების მნიშვნელობა. აქ მთავარია მოვახდინოთ გარდატეხა ადამიანთა გონებასა და განწყობილებაში, მათი ყურადღება მივაპყროთ ყველაზე მნიშვნელოვანს. მტპ-ის დაჩქარების საკითხებზე სკკპ ცენტრალურ კომიტეტში 1985 წლის ივნისში გამართულ თათბირზე მ. ს. გორბაჩოვმა თავის მოხსენებაში აღნიშნა: ცოტა რამ თუ შეიცვლება ეკონომიკაში, მართვაში, აღზრდაში, თუ არ განვახორციელებთ ფსიქოლოგიური გარდაქმნა, ადამიანებს არ ჩავუნერგეთ სურვილი და უნარი იმუშაონ ახლებურად.

ადამიანის ფაქტორის გააქტიურება, მასების შემოქმედებითი ინიციატივა საზოგადოების გადამწყვეტი გარდამქმნელი ძალაა საქმიანობის ყველა სფეროში, პროგრესის წყაროა უკლებლივ ყველა

სამუშაო ადგილზე, ხომ ცნობილია, რომ შეუძლებელია წარმოების ინტენსიფიკაცია, თუ არ იქნება თითოეულის დაინტერესება, საქმისადმი ინიციატივიანი და შემოქმედებითი დამოკიდებულება.

ყოველივე აქედან გამომდინარე საჭირო და სასარგებლოა შევისწავლოთ დარგის, საუკეთესო შრომითი კოლექტივების გამოცდილება, მოვისმინოთ და განვიხილოთ მსმენელთა მიერ წინასწარ მომზადებული მოკლე რეფერატები, ცნობები, რომლებშიც ნაჩვენები იქნება არა მარტო დადებითი გამოცდილება, არამედ საკუთარ უბანზე, საამქროში მისი გამოყენების შესაძლებლობაც.

ნამდვილად დროის მოთხოვნების დონეზე რომ დავაჩქაროთ მტბ, ნამდვილად მთელი ძალით ჩავაყენოთ იგი ჩვენი ეკონომიკის შემდგომი მძლავრი განვითარების სამსახურში, საჭიროა ღრმა ცვლილებები მთელ პარტიულ, იდეოლოგიურ მუშაობაში, გარდატეხის განხორციელება კადრების მუშაობასა და განწყობილებაში თავიდან ბოლომდე. ასეთ ვითარებაში ვრცელი ასპარეზია გადაშლილი სწორედ იდეოლოგიური, მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის მრავალფეროვანი ფორმებისა და მეთოდების წინაშე, რათა დავარწმუნოთ ადამიანები იმაში, რომ მტბ-ის დაჩქარება — ეს საარსებოდ დიდმნიშვნელოვანი საქმეა, რომელიც შეესაბამება ყველას ინტერესებს, მძლავრ სტიმულს აძლევს თითოეულს ფართოდ გამოავლინოს თავისი უნარი და ნიჭი. განსაკუთრებით ბევრს მოველით ახალგაზრდობისაგან, მისი ენერჯისა და მაძიებელი გონებისაგან, ყოველივე ახლისადმი, პროგრესულისადმი ინტერესისაგან.

იდეოლოგიურმა მუშაობამ მტბ-ის დაჩქარებას ქმედითად რომ შეუწყოს ხელი, საჭიროა იგი ეწყობოდეს სისტემატურად, მოფიქრებულად, საინტერესოდ, ცხოვრებასთან, მწვავე პრობლემების გადაწყვეტასთან, ნაკლოვანებების აღმოფხვრასთან მკვიდრო კავშირში, ხელს უწყობდეს ცხოვრების მიერ წამოყენებული მწვავე პრობლემების გადაჭრას, მუშაობაში წარმოშობილი „ვიწრო ადგილების“ აღმოფხვრას.

მტბ-ის იდეოლოგიური უზრუნველყოფის ორგანიზაციის ერთ-ერთი ორგანული შემადგენელი ნაწილია იდეოლოგიური კადრების შერჩევა და მომზადება, რომლებიც მოწოდებული არიან არა უბრალოდ განმარტონ ცნებები „ეკონომიკის ინტენსიფიკაცია“, „მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი“ და ა. შ., არამედ მკაფიოდ, დამაჯერებლად უჩვენონ მათი განხორციელების გზები. კადრებს ეკუთვნის მთავარი როლი ადამიანთა გონებასა და განწყობილებაში გარ-

დატეხის უზრუნველყოფის პროცესში, მათი ყურადღების კონცენტრაციაში პირველხარისხოვანი ამოცანების გადაწყვეტაზე. მით უმეტეს, რომ მტკ-ის დაჩქარების საკითხების პროპაგანდას კიდრება გაპკირიახი გონება, საქმის არსში ღრმად ჩაწვდომა, განსაკუთრებით როცა საქმე ეხება ტექნიკური შემოქმედების განვითარებას, სიახლეების ათვისებასა და დანერგვას.

უნდა სრულყოფით კადრების სწავლებისა და ინფორმირების სისტემა. პროპაგანდისტთა, ლექტორთა, აგიტატორთა, პოლიტიფორმატორთა დასახმარებლად უნდა ეწყობოდეს სემინარები თემებზე: „მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი და ეკონომიკა“, „მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი და სოციალური სფერო“, აგრეთვე ისეთ აქტუალურ საკითხებზე, თუ რა გავლენას ახდენს მტკ წარმოების ეფექტიანობაზე, შრომის ნაყოფიერების, პროდუქციის ხარისხის ამაღლებაზე და სხვ. ყოველივე ეს ჩვენ კადრებს უნდა დავუხაზუთოთ პრაქტიკულად, კონკრეტულად, ცოცხლად, ციფრებით, ფაქტებით. მაშინ ისინი უფრო მაღალკვალიფიციურად, დამაჯერებლად იმუშავენ ადამიანებთან. მაგალითად, სახალხო მეურნეობაში შრომის ნაყოფიერების ზრდის ანალიზი გვიჩვენებს, რომ იგი თითქმის მეოთხედით დამოკიდებულია წარმოების ტექნიკური დონის ამაღლებაზე, დანარჩენი კი მოდის სხვა ფაქტორებზე.

ჩვენ პროპაგანდისტული და სააგიტაციო კადრების ყურადღება განსაკუთრებით უნდა მივაპყროთ მტკ-ის მთავარ მიმართულებებზე, რომელთაგან შეიძლება გამოვყოთ სამი მთავარი:

1. წარმოების კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზაცია (მისი ბაზაა ახალი ტექნიკა: ლითონგადამამუშავებელი კომპლექსები, რობოტიზებული საპრესი მოწყობილობა და სხვ);

2. პროგრესული ტექნოლოგიის შექმნა და ათვისება (ფხვნილოვანი მეტალურგიის დანერგვა);

3. ახალი მასალების შექმნა და დანერგვა (რომლებიც ამაღლებენ მანქანებისა და მოწყობილობის ტექნიკურ დონეს, მათს მწარმოებლობასა და საიმედოობას, აღიდებენ სამსახურის ვადებს).

თანამედროვე მტკ-ს ახალი ეტაპი დაუდგა, რაც დაკავშირებულია მიკროელექტრონიკის, ინფორმატიკის, რობოტტექნიკის, ლაზერული ტექნიკის, ბირთვული ენერგეტიკის უდიდეს განვითარებასთან.

აქედან გამომდინარე. შეიძლება ჩავატაროთ სხვადასხვა სახის,

სხვადასხვა დონის იდეოლოგიური ღონისძიება ჩვენს კადრებთან ისეთ საკითხებზე, როგორიც არის:

მტკ-ის განვითარება, მისი მიღწევების გზები და საშუალებები;

მტკ-ის განვითარება, მისი მიღწევების მაქსიმალურად გაპო-
ყენება პარტიის ეკონომიკური პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი ამო-
ცანაა;

მტკ-ისათვის ბრძოლა ყველას, თითოეულის საქმეა;

მტკ-ის კარდინალური დაჩქარება — სახალხო მეურნეობის
ინტენსიფიკაციის მთავარი ბერკეტი;

ადამიანის ფაქტორის გადამწყვეტი როლი მტკ-ის დაჩქარებაში;
მტკ-ის დაჩქარების იდეოლოგიური უზრუნველყოფის გზები
და მეთოდები;

რა არის საჭირო მეცნიერებისა და წარმოების ურთიერთკავ-
შირის განმტკიცებისათვის და სხვ.

გასათვალისწინებელია, რომ იდეოლოგიური კადრების მომზა-
დების საკითხში წარმოიშვა ახალი პრობლემები. მაგალითად, პარტი-
ის საქალაქო, რაიონული კომიტეტების მდივნებს, პარტკომებისა
და პარტბიუროების მდივნებს შორის, რომლებიც წარმართავენ იდე-
ოლოგიის საკითხებს, ნიადაგ მატულობს ინჟინერ-ტექნიკური გა-
ნათლების მქონე პირთა ხვედრითი წონა. ეს იწვევს იმის საჭი-
როებას, რომ მათ უფრო ფართოდ გავაცნოთ კომუნისტური აღზ-
რდის თეორიის საკითხები, იდეოლოგიური მუშაობის ფორმები და
მეთოდები. იგივე იდეოლოგიური მუშაკები, რომლებსაც აქვთ ჰუ-
მანიტარული განათლება, მნიშვნელოვანია აქტიურად ჩაებათ ეკო-
ნომიკის პრობლემების, მტკ-ის მიღწევების წარმატებით დანერგვის
შემსწავლელ სისტემაში. ამიტომ საჭიროა იდეოლოგიური აქტივის-
სწავლების უფრო დიფერენციული პროგრამა, რომელიც გამიზნუ-
ლი იქნება მსმენელთა სხვადასხვა კატეგორიაზე, მათი საბაზო მომ-
ზადების გათვალისწინებით. დღეს უფრო მეტადაა საჭირო იდეო-
ლოგიური კადრების მომზადების სისტემაში გავითვალისწინოთ
დარგობრივი სპეციფიკა. არ შეიძლება ერთი და იგივე მიდგომით
წარვმართოთ მუშაობა სხვადასხვა პრობლემის გადაწყვეტისას მან-
ქანათმშენებლებს, მშენებლებსა და ტრანსპორტის მუშაკებს შო-
რის.

ავიღოთ ერთი ასეთი საკითხიც. მსმენელთა წვლილი ჩვენი
სოციალურ-ეკონომიკური საკითხების გადაწყვეტაში, ტექნიკური
პროგრესის დაჩქარებაში, ცხადია, ყოველთვის ტოლფასოვანი არ

არის. პიროვნული მიზეზების გარდა არის ერთი, დამოკიდებული პირდაპირ პროპაგანდისტზე, აგიტატორსა თუ ლექტორზე. ხშირად ეკონომიკის თეორიულ ცოდნას მსმენელი ვერ იყენებს პრაქტიკულ მუშაობაში. აქ საჭიროა პროპაგანდისტის, ლექტორის დახმარება. რამდენად კვალიფიციური, კონკრეტული, საბოლოო დადებითი შედეგების მომტანი იქნება ეს დახმარება, დამოკიდებულია ჩვენს იდეურ მებრძოლებზე. ამიტომაც არის საჭირო, რომ სისტემატურად ვამაღლებდეთ პროპაგანდისტული და სააგიტაციო კადრების მომზადების, მეთოდიკური დახელოვნების დონეს.

წარმოების განვითარებისათვის, ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის დიდმნიშვნელოვანია უნარიანი, საიმედო, გატაცებული მუშაკების მომზადება და შენარჩუნება. ამასთან, მტკ მოითხოვს არა მარტო ვფასებდეთ, არამედ გვიყვარდეს, პატივს ვცემდეთ კიდევ თავიანთი საქმის მცოდნეებსა და ოსტატებს. მაგრამ ამ სიყვარულის, პატივისცემის გამოვლენა არც ისე ადვილია. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, არ უნდა გამოგვრჩეს ზრუნვა იმათ წახალისებაზე, დაინტერესებაზე, რომლებიც გამოირჩევიან თავიანთი ნოვატორული უნარით, ოსტატობით.

კიდევ ერთი პუნქტი, რასაც უნდა დაეუფლონ ისინი, ვინც დგება ტექნიკური გარდაქმნის გზაზე. ავტომატიზაცია დიდი ასოთი და ადამიანთა უღისციპლინობა, ქაოსი შეუთავსებელია. საწარმოს ავტომატიზაცია უნდა დავიწყოთ მასში წესრიგის დამყარებით, რიტმულობის უზრუნველყოფით. არანაკლებ მწვავე საკითხია წესრიგი და საიმედოობა მომიჯნავე საწარმოებს შორის ურთიერთობაში. პრაქტიკა ადასტურებს, რომ მტკ-ისათვის ბრძოლაში მონაწილეობა ზრდის ადამიანებს, შესამჩნევ ზემოქმედებას ახდენს დისციპლინის განმტკიცებაზე, ორგანიზებულობის ამაღლებაზე, აზროვნების გაფართოებაზე, და ყოველივე ამას გამოყენება, სწორად წარმართვა უნდა. მტკ-ის შემდგომი განვითარებისა და დაჩქარების სამსახურში ჩაყენება უნდა. ამაზე კი პარტიულ ორგანიზაციებზე, იდეოლოგიურ კადრებსა და აქტივზე უკეთ, ვფიქრობთ, არავის მიუწევდება ხელი.

შ ი ნ ა რ ს ი

წინასიტყვაობა 3

თ ა ვ ი I

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრამის ძველენის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ღაჩარების კრობაგში

1. როგორ უნდა გვესწოდეს ცნებები: „მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი“ და „მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია?“ ✓ 5
2. რა როლს ასრულებს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი როგორც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მძლავრი ბერკეტი? 8
3. რატომ არის წარმოების ინტენსიფიკაცია ქვეყნის ეკონომიკურა და სოციალური განვითარების საფუძველი? 10
4. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი როგორ ასრულებს წარმოების ინტენსიფიკაციის მთავარი ფაქტორის როლს? 11
5. რატომ არის მეცნიერება საზოგადოების ექლავრი საწარმოო ძალა, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის ბრძოლის მოწინავე ხაზი? 13
6. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების რა გზები არსებობს? 16
7. ახალი ტექნიკა და პროგრესული ტექნოლოგია რა პირობებში ხდება ინტენსიფიკაციის მძლავრი ბერკეტი? 17
8. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი რატომ არის ეკონომიკური განვითარების მთავარი ფაქტორი? 19
9. რით არის გამოწვეული თანამედროვე პირობებში ტექნიკური რევოლუციური გადატრიალების აუცილებლობა და რა შინაარსი აქვს მას? 21
10. რაში გამოიხატება წარმოების კოპკლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დიდი მნიშვნელობა და რა არის საჭირო ამისათვის? 23
11. რას ნიშნავს მოქმედი წარმოების ტექნიკური განახლება და რეკონსტრუქცია და რა შედეგები მოაქვს მას? 25
12. მანქანათმშენებლობა რატომ არის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის წამყვანი ბერკეტი და რა არის საჭირო მისი შემდგომი განვითარებისათვის? 27
13. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი როგორ უწყობს ხელს შრომის ნაყოფიერების ამაღლებას? 30
14. ხელის მძიმე და ნაკლებკვალიფიციური შრომის შემცირების რა გზები არსებობს და როგორ უნდა გამოვიყენოთ ისინი? 32
15. რა როლს ასრულებს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი მატერიალური და ბუნებრივი რესურსების, ნედლეულის, მასალების, სათბობისა და ენერჯიის მომპირნეობაში? 34

16. რა ძირითადი მიმართულებები და თავისებურებები აქვს მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს სოფლის მეურნეობაში?	36
17. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი როგორ უწყობს ხელს პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას?	40
18. როგორ ზემოქმედებს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება სოციალური სფეროს განვითარებაზე?	41

თ ა ვ ი I I

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მართვა

1. რას ნიშნავს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მართვა და როგორ შეიძლება მისი სრულყოფა?	44
2. რა მოთხოვნებს უყენებენ პარტია და საბჭოთა მთავრობა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მართვას?	46
3. რა გავლენას ახდენს მართვის ახალი სისტემის შექმნაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაზე?	49
4. წარმოების ინტენსიფიკაციისათვის რა მნიშვნელობა აქვს ადამიანის ფაქტორის გააქტიურებას, კადრების ზოგადსაგანმანათლებლო და კვალიფიკაციური მომზადების დონის ამაღლებას?	51
5. მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესში რა როლს ასრულებს სასწავლო პროცესის კომპიუტერიზაცია?	52
6. რას წარმოადგენს ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის კომპლექსური პროგრამა?	53
7. რა მეცნიერულ-ტექნიკური კავშირი აქვს ჩვენს ქვეყანას კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან?	55
8. რას წარმოადგენს ციკლის „მეცნიერება-ტექნიკა-წარმოება“ ინტეგრაცია და რა როლს ასრულებს იგი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ეფექტიანობის ამაღლებაში?	57
9. რა როლს ასრულებს სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებები მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განვითარებაში?	60
10. როგორ მოვახდინოთ აკადემიური და დარგობრივი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების, უმაღლესი სასწავლებლების მეცნიერებისა და საქარხნო მეცნიერებათა საქმიანობის კოორდინაცია?	62
11. რა არის საკირო სახალხო მეურნეობაში გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების დანერგვის დასაჩქარებლად, საგამომგონებლო, საპატენტო და სალიცენზიო მუშაობის გაუმჯობესებისათვის?	63
12. როგორ შეიძლება შეექმნათ მეცნიერების, ტექნიკისა და წარმოების ინტეგრაციის ისეთი ორგანიზაციული ფორმები, რომლებიც მაქსიმალურად დააჩქარებენ მეცნიერული იდეების პრაქტიკულ რეალიზაციას?	65
13. რა როლს ასრულებს დარგთაშორისი ტერიტორიული გაერთიანებები მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაში?	68

14. როგორ ავამაღლოთ თვითმოქმედი ტექნიკური შეპოქმედების როლი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაში?	70
15. რატომაა საჭირო მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ინფორმაციული და ტექნიკური უზრუნველყოფა?	71
16. სამუშაო ადგილების ორგანიზაციისა და მათი მომსახურების გაუმჯობესება რატომ არის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის აუცილებელი პირობა?	73
17. როგორია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების დანერგვის გზები, რა მიზეზები უშლის მას ხელს და როგორ აღმოვფხვრათ ისინი?	74
18. რა ზემოქმედებას ახდენს სოციალისტური შეჯიბრება მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესზე?	76

თ ა ვ ი III

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაგეგმვა და სტიმულირება

1. რას წარმოადგენს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაგეგმვის სისტემა?	80
2. რა ადგილი უჭირავს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაგეგმვას სამეურნეო საქმიანობის დაგეგმვის სისტემაში?	82
3. რა როლს ასრულებს წარმოების, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ფონდი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაში?	83
4. როგორ ხდება და რა მნიშვნელობა აქვს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაფინანსების ორგანიზაციას?	86
5. რა კავშირია ფასებსა და მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს შორის?	87
6. რას ნიშნავს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის სამეურნეოანგარიშიანი სტიმულირება და როგორ ხორციელდება იგი?	88
7. სამეცნიერო ორგანიზაციების სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე გადასვლა რატომ არის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების მძლავრი სტიმული?	89
8. როგორ ხდება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის სტიმულირება, მისი მიღწევების წარმოებაში დანერგვისათვის მეცნიერების, ინჟინრების, ტექნოლოგების, კონსტრუქტორების, გამოგონებლებისა და რაციონალიზატორების დაინტერესება?	91
9. ახალი ტექნიკის სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობის რა კრიტერიუმები არსებობს?	94
10. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების პრაქტიკაში დანერგვის რა კრიტერიუმები და მანქანებლები არსებობს?	95
11. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი როგორ ახდენს გავლენას პროდუქციის თვითღირებულების შემცირებაზე?	96

თ ა ვ ი IV

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას — მტკიცე

ნიდროლოგიური უზრუნველყოფა	100
---------------------------	-----

გამომცემლობის რედაქტორი ლ. თავართქილაძე
მხატვარი ვ. ალიოშინი
მხატვრული რედაქტორი რ. მაქარაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ვ. ხუციშვილი
კორექტორი ლ. გულიაშვილი
გამომშვები მ. შვედლიძე
სბ № 6467

გადაეცა წარმოებას 11.05.88. ხელმოწერილია დასაბუქდად 16.03.88.
უე 02073. საბუქდი ქალაქი № 1. 60X84^{1/16}, გარნიტური ეენა. ბუქდვა მალალი.
პირობითი ნაბუქდი თაბახი 7.21. პირ. სალ.-გატ. 7.56, საალ.-საგამომც. თაბახი 6.32.
ტირაჟი 2000. შუქვ. № 1299.

ფასი 40 კაბ.

გამომცემლობა „საბუქოთა საქართველო“
თბილისი, მარჯანიშვილის 5

საქართველოს კვ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელ
დროშის ორდენოსანი სტამბა, თბილისი, ლენინის, 14
Ордена Трудового Красного Знамени типография издательства
ЦК КП Грузии, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.

КАКАБАДЗЕ ДАВИД КОНСТАНТИНОВИЧ

**Научно-технический прогресс
и его идеологическое обеспечение**

Вопросы и ответы

(На грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакартвело»

Тбилиси, Марджанишвили, 5

1988

